№ 18852

ცისკარი

1883

№ IV, აპრილი.

თბილისი.
ამქვეყნიერ სკოლების სტამბა.
1883

n-32
43/1883 /3

ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო
ჟურნალი

---

262 263

წელიწადი მეშვიდე

№ IV

საქართველოს ისტორიის
ეროვნული
საჯარო ბიბლიოთეკა

თბილისი
ეკვთიმე ხელაძის სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე
1883

რედაქციისაგან

,,ივერიის'' რედაქციაუმორჩილესად სთხოვს, ვისაც ამ წლის ფული ჯერ არ შემოუტანია, ან ვისაც მხოლოდ ოთხი, ან სამი მანათი აქვს შემოტანილი, დააშურონ დანარჩენის გამოგზავნაც, თორემ მეხუთე ნომრიდამ ჟურნალი აღარ გაეგზავნებათ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, Апрѣля 13 1883 г.

შინაარსი:

I წამება ქეთევან დედოფლისა, ისტორიული დრამა სუთ მოქმედებად ს. მიხსუბარიძისა. . . . 3

II სათიბი (აზრი მაიკოვიდგან) ლექსი თ. რაფ. ერისთვისა 40

III წერილები ლორენცო ბენიანისა (შემდეგი) თარგმანი ელ. მაქულაშვილისა. 41

IV ბერუას ჩაფიქრება, (ლექსი) თ. რაფ. ერისთვისა 69

V ქართული ლიტერატურა (წერილი პირველი) გრიგოლ ორბელიანი ეგ. იოსელიანისა 76

VI ხალხური ლექსი 91

VII სკოლა და კომიტეტი ს. ლულაძისა. . . . 93

VIII შინაური მიმოხილვა წლევანდელი საზოგადო კრება თბილისის სათავად-აზნაურობანკისა—კამათის საგანი—ანგარიში ბანკისა 1882 წლისა—შენიშვნა კრების წევრისა—რევიზია—კამისია კამიტეტისა თუ ცალკე—განაჩენი—კანდიტატურა ერთისა—ჭორის შედეგი—უცოდინარობა—მნიშვნელობა კრებისა—ცოდნა უნდა—ორში ერთი—ჩვენი რწმენა და იარაღი—ამაოდ ხსენება ახალ-თაობის სახელისა—ახალი განკარგულება მიწათ-მფლობელთა კრედიტის შესახებ—ძველის რედაქტორის გამოთხოვების გამო . . 100

რადგანაც არა ჩვენზედ დამოკიდებულ მიზეზით დასასრული წერილისა «უკულმართი ნაბიჯი» ამ ნომერში არ მოექცა, ამიტომ წიგნი დაგვიანდა და უამ სტატიოთ გამოიცა. იმედი გვაქვს, რომ შემდეგს ნომერში მოიქცეს შემოკლებული და შეცვლილი მაინც.

წამება

ქეთევან დედოფლისა

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად

ამ დრამის წარმოდგენა ავტორის დაუკითხავად აღკრძალულია კანონთა კრების 1684-ე მუხლის ძალით.

მომქმედნი პირნი:

ქეთევან დედოფალი.
კოსტანტინე ბატონიშვილი, ქეთევანის მაზლი, გამაჭმადიანებული.
მარიამ, ყმაწვილი ქალი, რომელიც ქეთევანთან იზრდება.
შერმაზინ ჩოლაყაშვილი—სპასალარი, ხანში შესული.
ქაიხოსრო ომანი-შვილი, სარდალი ქართველებისა, ყმაწვილი კაცი.
ნოდარ ჩოლაყაშვილი, სახლთ-უხუცესი ქეთევანისა.
დავით ასლანიშვილი, ჯარის-კაცი.
ბორჯასპ არაბული, ხევსური.
ფრიდონ, ქეთევანის ძიძის-შვილი.
მამუკა, გლეხ-კაცი.
ამირინდო ამილახვარი, ალავერდობას სალოცავად მისული.
უსუფ-ბეგ.
ალი-ბეგ.
სულეიმან-ბეგ.
მუსტაფა-ალა.
} ჯარის უფროსნი.
შიკრიკი.
ჯალათი.
დედა-კაცი.
დიდებულნი: ქალნი და კაცნი, ხალხი, თუშნი, ფშავნი და ხევსურნი, მეომარნი, მოჯიდაკენი, ყმაწვილი ქალები.

ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ 1.

(სცენა წარმოადგენს მინდორს, რომლის ერთ მხარეს მოჩანს ალავერდის ეკლესიის ნაწილი და გალავანი. იმას იქით დანარჩენს სცენაზედ მოჩანან ჯერ ტყიანი და მერე ველიანი მთები. შორს ყინულიანი მთები სივრცეში იკარგებიან. ალავერდობაა. მლოცველნი ქეიფობენ, მღერობენ, თამაშობენ. მაყურებელნი ზოგნი გადმოყუდებულან, ზოგნიც გადმომსხდარან გალავანზედ და თამაშას უყურებენ. სცენაზედ სხვა და სხვა ხალხია: თუშნი, ფშავნი, ხევსურნი გამოდიან ჯგუფ-ჯგუფად სიმღერით. სცენაზედ გამოდიან მეომარნი, ქაიხოსრო ომანი-შვილის წინამძღოლობით. ხალხი მიეგებება).

ხალხი. გაუმარჯოს მამულის-შვილებს, გაუმარჯოს გახთქმულს მეომარს ქაიხოსროს, გახთა იმედს! (მეომარნი გამოვლენ სცენაზედ, ხალხი შეერევა იმათ, ერთად ფერხულს დაბმენ, რომლის შემდეგაც ზურნა დაუგრავს და ლეკურსა თამაშობენ.)

ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ 2.

ქაიხოსრო და ზორჯასპ.

ზორ. წყალობა ხატისა, ძმაო ქაიხოსრო!

ქაიხ. (გადაეხვევა) ზორჯასპ! ჩემო ძმათ ნათესაო!.. შენც აქა ხარ?...

ზორ. ხატობას მოვედ, შეხვეწილი ვიყავ.

ქაიხ. ალავერდობას მოხვედ და არ მეწვიე, მოხვედ და ძმა არ მოიგონე!... როგორ ბეკვდრებ?

ზორ. ბირი-მზის მადლმა, წუხელ ჩამოვედ... ლაძის-თვა მქონდა შეთქმული.

ქაიხ. აქ რომ არ შეგხვედროდი, იქნება არც კი გენახე.

ზორ. მოგიკვდა ჩემი თავი!... შენს უნახავად როგორ წავიდოდი?... სხვა? რა ამბავია საქართველოში?...

ქაიხ. მშვიდობიანობის მეტი არაფერი... კონსტანტინე, ძმა ჩვენის მეფე დავითისა მოვიდა სპარსის ჯარით... ამბობენ შაჰისაგან რაღაცა აქვს დაბარებული მეფესთანა. მაგრამ ჯერ არავინ იცის, რა განზრახვით მოვიდა.

ზორ. კონსტანტინემ სჯული და სარწმუნოება გაჭეიდა და მამულსაც ადვილად გაჭეიდის, იმას რა საქმე უნდა ჭქონდეს ქართველებთან?

ქაიხ. ეგ ჯერ არავინ იცის... მეფე დავით და იმათი ძმა ალექსანდრე ეხლა კონსტანტინესთან არიან... ამბობენ დიდის პატივით მიიღოო!

ზორ. რჯულის გამეიდავის პატივი ძიიღო ჩვენმა მეფემ?!.. ქაიხოსრო, ვინც სარწმუნოებას გაჭეიდის, ის ძმასაც არ დაინდობს!... რად წასულა მეფე?

ქაიხ. საკვირველია, რომ კონსტანტინეს არავის გული ენდობა.

ზორ. არც უნდა ენდოს... ვინც პატივის მისაღებად სარწმუნოებას ულალატებს, ის მამულს, ძმას, ნათესაობასაც არ გაიხოლიებს.

გამოსვლა 3.

იგინივე და შერმაზინ.

შერ. უმაწვილებს გაუმარჯოს!... მშვიდობა შენს მოსვლას მთის შავარდენო გორჯასპ!.. გამარჯვება შენიც, მამულის სუგეშო, მოძმეთ იმედო, ქაიხოსრო! (ქაიხოსრო და გორჯასპ მდაბლად თავს უკრამენ.) რაღასაც ლაპარაკობდით, სიტყვა ხომ არ გაგაწყვეტინეთ?

ზორ. ძმათ ნათელს ლაპარაკი რად უნდა ძმასთან, დიდებულო სპასალარო!.. იმათ გული ისედაც გაერთებულია, უსიტყოდაც იგრძნობენ ერთი-ერთმანერთის სურვილს; მაგრამ თუნდა ეგეც არ იყოს, შენი გვნესამე, ქართველი შენს წინ გულს ვერ დამალავს... მინდვრის არწივი მალე ამოიცნობს გულის პასუხს.

შერ. (ღიმილით) მეც ვგითხულობ შენს გულზედ წარწერილს და ჩემი გული ჭგრძნობს, რომ საქართველო ბედნიერია თქვენისთანა შვილების ალზრდით! მოძმეთ თავ-მოსწონნო, მტერთა ზარის დამცემნო, გამარჯვებითაც გიგლიათ ყოველ ჟამს!

ზორ. შენი ლოცვა ჩვენთვის ღვთის წყალობაა, შენი კეთილი თვალი ჩვენთვის დაუფასებელი საჩუქარია, (ძმიმედ თავს უკვრენ.)

შერ. აბა, ქაიხოსრო! გახთა საბურავდე გახთქმულია და გორჯასპ კი ჩვენი სტუმარი; შენ იცი როგორც მოუღხენ!

ქაიხ. დიდებულო სპასალარო, ჩემი სახლი გორჯასპის სახლია... ეგ მასპინძელია ჯ მე სტუმარი.

გორ. (გადაეხვევა ქაიხოსროს) გორჯასპს ერთი სიცოცხლე აქვს და ისიც შენთვის მოუცია, სხვა რიღათი გადაგისადოს მაგ სიყვარულისთვის?

შერ. აბა, ყმაწვილებო, წავიდეთ ეკლესიაში; დედოფალი იქა ბძანდება და პარაკლისს ახდეინებს... მეფეს მოკვლოდით და ცოტა დაიგვიანა.

ქაიხ. მართლა საკვირველია, რომ ასე დაიგვიანა! ალავერდობას ის თავის დღეში არ დაჭკლებია და ხალხის დროს გატარება შეუმჯია თავის მხიარულებით...

შერ. მეფე თავის-თავს არ ეკუთვნის, ის ხალხისთვის უნდა ზრუნავდეს... მეფის სახელი დიდია, დიდ სახელოვანს კი დიდი ზრუნვა უნდა. ბევრჯელ საიმოვნებას მოწყდინებული, ხალხის ბედ-იღბალზედ მზრუნველი, თავის სურვილს უნდა აკლდებოდეს... წავიდეთ ყმაწვილებო. (გადიან.)

გამოსვლა 4.

ჯმუხა და ბერდია (ხევსურები ჩაჩქანით და თვარხმლით შეჯურვილნი)

ჯმუხა. (ხალხი მოსდევს უკან) აბა, ბერდიავ, ყოჩაღად იყავ, თავ უნდა გიგენწლა.

ბერ. გამჭცევი და დამწეკი ორნიგ ღმერთს ეხვეწებიან... დაიც მიმავალ იკვეხის, მამაც მომავალ.

ჯმუხ. იფარე. (გაიძრობს ხმალს).

ბერ. (გაიძრობს ხმალს, მიიწევენ ერთმანერთზედ. ორნიგ მეიდანს უვლიან და თან-და-თან ერთმანერთს უახლოვდე-

ბიან, ორნიგ ჩაცუცქდებიან და თვარ-ხმლობენ.) ეჰე თავს მოგხვდა.

ჯმუხ. გადაგიხადე.

ბერ. გამაგრდი, შე წუწკო!

ჯმუხ. თავს მოდის.

ბერ. მიიტანს იერიშს.) სად გარბი დიაცებრ.

ჯმუხ. (უკან-უკან იწევს) თავს გაუფთხილდი.

ბერ. ესეც შენ! (ხმალს ძალზედ დაჭერავს თავში).

სხვა ხევსურები. (ხმლებით აშველებენ) ბერდიამ ჭეენწყლა, ბერდიამ! (მეომარნი გაშორდებიან, ხალხი ულოცავს ბერდიას გამარჯვებას. ხალხში გამოდის ერთი ჯგუფი.)

გამოსვლა 5.

ხალხი, მერე გორჯასპ და ქაიხოსრო.

ხალ. ბურთი მოაქვთ, ბურთი! (გაიოლოვა ხალხი ორ-პირად. ერთი თავადთაგანი შუა ადგილს აგდებს ბურთს, ორივე მხარე მიეშურება წასართმევად. იბრძვიან, ხან ერთ მხარეს გააქვს ბურთი, ხან მეორე მხარეს. შემოდიან ქაიხოსრო და გორჯასპ).

ქაიხ. მეზურნეებს დაუძახეთ! მეზურნეებს.

ხალ. მეზურნეები, მეზურნეები!

ბერ. რად გინდა მეზურნეები?

ქაიხ. პარაკლისი გათავდა, ჯარი უნდა შემოვკრიბოთ და დედოფალს მივეგებნეთ, (მოვლენ მეზურნეები) შესაყარ ნაღარას დაჭკარით. (მეზურნეები უკვრენ, ჯარი გროვდება.

ზურნას გააჩუმებს ხელის აქნევით) დარიგდით, დედოფალი ეხლავ გამოვა (აყენებს ხალხს).

ხალხში ხმა: დედოფალი მოგბძანდება, დედოფალი! (ზარების რეკის ხმა. ხალხი მიეგებება).

გამოსვლა 6.

იგინივე, ქეთევან დედოფალი, მარიამ, შერმაზინ, ნოდარ, და სხვანი, ქალნი და კაცნი.

ქეთ. (შემოდის, ყმაწვილი ქალები თავ-ქვეშ ყვავილებს თვალდაზად უფენენ) კურთხევა თქვენდა, კახეთის ყვავილნო, ძმანო და დანო! (თავს უკრავს ყოველ მხარეს.)

ხალ. (ქუდ-მოხდით და გატაცებით) სცოცხლობდეს ქეთევან დედოფალი, სცოცხლობდეს კახთა იმედად!

ქეთ. (მიუბრუნდება ნოდარს) უბძანეთ საზეადაშე ქვეკრეს მოხადონ და ხალხს დაუხვდენ... მე მინდა დღეს ყველანი გამხიარულდენ...

ხალ. სცოცხლობდეს დედოფალი, სცოცხლობდეს მრავალ-ჟამიერ! (ამბობენ კახურს «მრავალჟამიერს».)

ქეთ. აგრეთვე მოხადეთ პურის ორმოები და დაურიგეთ აქ მყოფ გლახაკთა და დავრდომილთა.

ნოდ. დიდებულო დედოფალო! თქვენს გულ-უხვობას საზღვარი არა აქვს, მაგრამ გკადრებთ და მოგახსენებთ, რომ კახეთის ზოგიერთს მაზრებში სეტყვამ ჭირნახული წაახდინა და ხალხი გაჭირვებაში გახლავს... აქ მოგროვილ პურს დამშეულებისთვის უნდა გაუფოთხილდეთ.

ქეთ. მგონი მე კიდევ მაქვს რამდენიმე ორმო პური?

ნოდ. დიახ, დიდებულო დედოფალო! თქვენი სახლი სიმდიდრე-ულევლია, ისე როგორც თქვენი გულ-უხვობა, მაგრამ ის ორმოები თქვენის სამკაულების სასყიდლად გახლავს დახიშნული.

ქეთ. ჯერ ხალხი და მერე სამკაულები, ჩემო ნოდარ... უბძანეთ ეხლა ეგ პური დაურიგონ და დამშეულებს კი დანარჩენი ორმოები მოუხადეთ.

ნოდ. წელანვე მოგახსენეთ, დედოფალო, თქვენი გულ-უხვობა ულევლია მეთქი. (მდაბლად თავს უკრავს).

ქეთ. თუ ეგეც არ ეყო დამშეულებს, მაშინ გახსენით ჩემი სალარო და რაც სიმდიდრე, ან სამკაულები მოიპოებოდეს, ხალხს გაუნაწილეთ. (ამილახვარს) ბატონო ამილახვარო, რად მოგიწყენიათ?... თუ,—კახეთს დაგიწყებია მასპინძლობა და ღირსეულად ვერ გაუმხიარულებიხართ?

ამირ. დედოფალო, სადაც თქვენა ბძანდებით, იქ მოწყენას ხელი არა აქვს... მარტო თქვენი ხილვაცა გმარა, რომ გაცი ედემის სიამოვნებას მიეცეს!... და მე, მე კი ორ-გვარად ვარ დასაჩუქრებული: თქვენის ხილვით და თქვენის კეთილის თვალით!... რა მაქვს მოსაწყენი? ჯეშმარიტად, დედოფალო! სულითა და გულით ვსიამოვნებ.

პირველი თავადიშვილი. (შერმაზანს) ბატონო შერმაზან, ჭიდაობასა ვმართავთ, დედოფალი ხომ არ ინებებს ყურებას?

შერ. აი ვკითხავ და... (მიდის დედოფალთან) დედოფალო, ჭიდაობა იმართება, ხომ არ ინებებთ ყურებას?

ქეთ. დიდის სიამოვნებით... მე მიყვარს ჩემის ხალხის თამაში, რომელშიაც სიმარდე, ღონე და ვაჟ-კაცობა გამოითქმის.

უბძანეთ აქვე გაშალონ ხალიჩა, აქედგან ვუყურებთ.

შერ. აბა, ქაიხოსრო, უბძანეთ!.. (ქაიხოსრო მიდის).

მეოთხე თავ. ვინ იჯდავებს?

პირველი თავ. ქართლიდგან ჩამოუყვანიათ ნაქები თვალავანი... ამბობენ, მის ქამანდს კამბეჩიც ვერ გაუმაგრდებაო.

მეოთხე თავ. არა მგონია, ჩვენს თვალავანს გაუძლოს!... იმის სარმას ჯერ კაცი არ გადარჩენია.

მესამე თავ. მაგას მოედანი გამოაჩენს.

პირველი თავ. წუხელის ძალიან გაუმარჯვნიათ ქართველებს. (მოიტანენ ხალიჩებს, დორებს, მუთაქებს და შლიან.)

ბეთ. ემაწვილებო! ეგ როგორ მომხდარა, რომ კახეთში ალავერდობას გამარჯვება ქართველებისათვის დაგითმიათ!.. მე მითხრეს, წუხელ შვიდი თვალავანი წაუქცევიათ ქართველებს.

შერ. დიდებულო დედოფალო! ქართველები სტუმრები გახლავან, გუშინ ხათრი შეგვუნახეთ...

ბეთ. (ამოიოხვრეს) გესმისთ, ბატონო ამირინდო, რას ამბობს შერმაზინ?...

ამირ. დედოფალო! უკან დარჩენილს შინ მშვიდობის მეტი რა ეთქმის?!... მაგის სიტყვების სიმართლეს მოედანი გამოაჩენს.

ბეთ. (ქაიხოსროს, რომელიც მიუახლოვდება იმათ.) შენა, ჩემო ქაიხოსრო! შენ კი არ აპირებ ჭიდაობას?

ქაიხ. დედოფალო! სადაც თქვენი კეთილი თვალი ტრიალებს, მე ყოველ-გვარის ბრძოლისათვის მზად გახლავართ.

ბეთ. (ღიმილით) ამირინდო, ეს სიტყვები თქვენ შეგეხებათ. რაკი საქმე ბრძოლაზედ მიგვრდება, ჩემი რაინდნი მასპინძლის ძოვალეობასაც იკისრებენ.

შერ. დედოფალო! ყველაფერი მზად გახლავს.

ქეთ. მაშ დაიწყეთ.

ამირ. ნება მიბრძეთ, ჩემს ფალავანს მივხედო.

ქაიხ. ნება მიეცით წავიდეს, დედოფალო, თორემ თავის ფალავნის დამარცხებას თქვენ დაგაბრალებთ.

ქეთ. თუ აგრეა, შეგიძლიანთ მიბძანდეთ. (დალაგდებიან. ზურნა საჯიდაოს დაუკრავს. ერთის მხრიდან ამირიანდო თავის ამხანაგებით გამოიყვანს მოჯიდავე ქართველს, მეორე მხრიდგან დავით ასლანიშვილი. ორნიგ ამხნევებენ ფალავნებს, უსწორებენ ჩოხებს, უკეცენ ჩოხის სახლებს. ჯიდაობაა. ქართველი წააქცევს კახელს.)

ქაიხ. (გაოცებული დედოფალს) დედოფალო, ნება მიბრძე მე ვიჯიდაო!

ქეთ. დამშვიდდი ქაიხოსრო! ქართველებიც ჩვენი ძმები არიან. ამირიანდოს მიჭყავს თავისი ფალავანი დედოფალთან ლ დასჩოქებს.)

ქეთ. ქართველო, შენ დაგვამარცხე, მაგრამ გამარჯვებული ლირსეულად დასაჩუქრების ლირსია, მტერი იყოს იგი, თუ მოუკვრე. ბატონო ნოდარ, გთხოვთ მომდურავი არ გაუშვათ. (ნოდარ თავს დაუკრავს ლ ფალავანი გაჭყავს) ბატონებო! ახლა კი საქიფოების დრო არის, გთხოვთ ნადიმად ჩემთან მობძანდეთ. შერმაზან, ყველანი მოიწვიეთ. (ქაიხოსროს) შენც ხომ მოხვალ?

ქაიხ. მე სტუმარი მყავს, დიდებულო დედოფალო!

ქეთ. ვინ არის ისეთი სტუმარი, რომ ჩემთან მოსვლა არ ეკადრებოდეს?

ქაიხ. დედოფალო!...

ქეთ. ვინ არის მეთქი?

ქაიხ. გორჯასპ, დიდებულო დედოფალო!

ქეთ. ჩვენი განთქმული მეომარი, ჩვენი სახელოვანი ხევსური!... მოიყვანე, ქაიხოსრო, მოიყვანე უეჭველად. ჩემს სახლში და ჩემს გულში იმას ყოველთვის ადგილი აქვს, როგორც ერთს მამულის ერთგულს, როგორც მისთვის თავ-დადებულს!... მაგრამ აგერ თითონაც (დაინახავს ხალხში) აქ დაუძახეთ, ქაიხოსრო.

ქაიხ. გორჯასპ, გორჯასპ! (გორჯასპ მოვა და დედოფალს მდაბლად თავს დაუგრავს.)

ქეთ. როგორ გეკადრება გორჯასპ, აქა სარ და არა მნახე?

ზორ. დიდებულო დედოფალო! გარს ისეც ბევრნი გეხვევიან და მე ველარ გავბედე თქვენი შეწუხება.

ქეთ. კარგი, კარგი!... მაგ დანაშაულს იცოდე არ შეგინდობ. სადილად ჩემთან უნდა მოხვიდე და ბოდიშს იქ მოიხდი. (თავის დაკვრით) ნახვამდის, ყმაწვილებო! (გადის, ყველანი მისდევენ, გარდა ქაიხოსროსი, რომელიც გატაცებით უყურებს. სხვა ხალხი დაიშლება).

გამოცანა 7.

ქაიხოსრო და მერე ზორჯასპ.

ქაიხ. (უყურებს კარგა ხანს) კურთხეულიმც იქნები დედათა შორის, ნაზო, გულ-კეთილო ქმნილებავ!... ნეტარიმც არის ის ქვეყანა, სადაც შენებრივ ვარდი გაიფურჩქნება.

ზორ. (შემობრუნდება) ქაიხოსრო, რამ დაგათვიქრა, რასა ლაპარაკობ?...

ქაიხ. არ ვიცი, ძმაო! მე თითონაც არ ვიცი!.. რაღაცა მწუხარება, რაღაცა წადილი გულს მიბურავს, გულს მიდა-

ლავს!... მწუხარება გველსავით გულში შემომპარვია და მლრღნის, სისხლსა. მწოვს და მოსვენებას არ მაძლევს!.. ლამე ყველანი განსვენებას ეძლევიან და მე კი ძილ-გატეხილი მინდვრად და ველად უნდა გავიჭრა, რომ გული გადავყოლო!...

ზორ. ხომ არავინ შეგყვარებია? (ქაიხოსრო გაწითლდება და თვალს არიდებს) მითხარ, თუ აგრეა, მითხარ, ვინ არის?... მე არა მგონია საქართველოში უარი გითხრას ვინმემ.

ქაიხ. (ოხვრით) არა, გორჯასპ! მე არავინ მიყვარს...

ზორ. იქნება უარს გეუბნებიან და თავ-მოყვარეობა ძმასთან გამალვინებს... მითხარ, ჯ გორჯასპ მოგიკვდეს, თუ ერთს ლამეს-ღა დაგათვიქროს... ამალამვე მთაში გავიტაცოთ!

ქაიხ. მე დარწმუნებული ვარ შენზედ, მაგრამ ეგ არ შეიძლება, არ მოხერხდება.

ზორ. (გასარებული) მაშ მართალი ყოფილა, ვილაცა გიყვარს.

ქაიხ. (თვალს არიდებს) შენ სცდები.

ზორ. ვცდები? მაშ თვალს რად მარიდებ? რადა წითლდები?... თუ,—მე შენს ძმად ნათვიცს, შენთვის თავ-დადებულს მიმალავ?... ქაიხოსრო! რითი დავიმსახურე შენი უნდობლობა.

ქაიხ. (მღელვარებით) ჭ შენ გენდობი, შენ არათვერს გიმალავ, მაგრამ... (სარჩქაროდ) არის ხოლმე ისეთი გულის მოძრაობა, რომელშიაც შენს თავსაც ვერ გამოსტეხიხარ... გინდა რომ შენს უნებურად გაჩენილი წადილი გულშიგე მოიკლა... მაგრამ ხედამ — ულოინო ხარ, სუსტი, არა შეგიძლიან-რა!... მიშველე რამე, მიწამლე რამე, გორჯასპ!

ზორ. (დაცქერდება) ქაიხოსრო! შენ დედოფალი გიყვარს!

ქაიხ. (პირზედ ხელს აფარებს) მე ეგ არ მითქვამს!

ზორ. არ გითქვამს და აგრე კია... გამოტეადი!

ქაიხ. (არეკვით) არა... რას ამბობ... მაგრამ რაღა დაგმალო მე უბედურმა! (მოეხვევა) მიშველე რამე. მე ვგრძნობ, რომ მაგაზედ მარტო ფიქრიც კი დიდი დანაშაულია, მაგრამ რა ვქნა, რომ ყოველი იმის შეხედვა, იმისი სიარული, იმისი სუნთქვა გონებას მიბნელებს, და თავ-ბრუს მახვევს!... ვხედავ ვიღუპები და ველარ შევმდგარვარ, ვხედავ უწესობას ჩავდივარ და თავი ველარ შემიუნებია!

ზორ. (დაღონებით) ვაუ-ვაცს გამაგრება უნდა, გამაგრდი ძმაო, გამაგრდი!... წავიდეთ, მთაში, ვინადიროთ, ვიარეოთ, ვიქეიფოთ და დრო... მოგარჩენს.

ქაიხ. წავიდეთ, წავიდეთ გორჯასპ!... წამიყვანე, მომარჩინე. (მოეხვევა) მე, რომლის გულმაც შიში არ იცოდა, აგვა, დამონებული, შეშინებული ქეთევანის თვალთა ელვარებისგან, მთაში გავრბივარ, სიმაგრეს ვეფარები!... ღმერთო! (ხელებს დაიფარებს პირისახეზედ. არეულობაა სალხში, შეკრთება) რა ამბავია?... რა მოხდა?!

ხალ. სიკვდილი კაენს, სიკვდილი მოღალატეს.

ზორ. რა მღელვარებაა?

ქაიხ. უეჭველია საშინელება რამ უნდა იყოს. (შემოვარდება შიკრიკი).

მამოსავლა 8.

ივინივე და შიკრიკი.

შიკ. (დაგლეჯილის ტანისამოსით) ბატონო ქაიხოსრო! გვიშველეთ... მეფე მოგვიკლეს, ბატონი ალექსანდრეც მოგვიკლეს!

ქაიხ. და ზორ. (ერთად) ვინ მოკლა, რას ამბობ!?
ხალხი. (მღელვარებს) სიკვდილი მოლალატეთ, სიკვდილი!
ქაიხ. (ბძანებით) გაჩუმდით!... გვიამბე ჩქარა, რას ამბობ?
შიკ. მეფე დავით და მამა მისი ბატონი ალექსანდრე კოსტანტინემ დაახოცვინა!
ქაიხ. და გორ. (გაკვირვებით) როგორ?... კოსტანტინემ დაახოცვინა თავისი ძმა და თავისი მამა?...
შიკ. დიალ, ბატონო?...
ქაიხ. ღმერთო! ეს რა ესმის ჩემს ყურებს!
ზორ. ურჯულოს სარწმუნოების გმობა არ ეყოფოდა, რომ კიდევ ახალი ურჯულოება არ ჩაედინა?
ქაიხ. (შიკრიკს) ეგ რა სთქვი?... არა... უთუოდ სმენამ მიღალატა. დაწვრილებით გვიამბე რა მოხდა, როგორ მოხდა?
შიკ. ხომ მოგეხსენებათ, კოსტანტინე დიდის ჯარით მოვიდა და მიიწვია თავისი ძმა მეფე დავით და ბატონი ალექსანდრე... რაცა იქ გიახლიით, ნადირობა გამართეს და ჩვენ კი თან არავინ გვიახლეს... მეფემ კი ბძანა, რომ ჩემს ძმას კოსტანტინეს შაჰისგან საიდუმლოდ რაღაცა აქვს დაბარებული ჩემთანა და ტყეში იმიტომ მიგდიგართ, რომ იქ მარტოდ შეგვტყობინოსო... ჩვენ დავრჩით სპარსების ურდოში. რა გვეცოდინებოდა იმათი განზრახვა?... საღამო ხანს, ერთი დაჭრილი ქართველი, მეფის მხლებელთაგანი მოვიდა და იმან შეგვტყობინა, რომ მეფე დავით, ბატონი ალექსანდრე ჯ შვიდნი დიდებულნი, რომელნიც თან ახლდენ, ოთრებს დაუჩეხიათო!... მე მაშინვე თქვენთან გიახლიით, რომ შემეტყობინებინა.
ქაიხ. ოჰ, უკაცურო, უსინდისო!... საღამდის მიგიყვანა თავმოყვარეობამ?... რა დედამ გშობა, ღვთის პირისაგან წყე-

ულო, მოლალატევ, კაენო!... ხალხო, გაგწყდეთ და ნუ შეგირჩენთ სირცხვილს!

ხალ. გაგწყდეთ, გაგწყდეთ!

ქაიხ. კოსტანტინეს იმედი აქვს, რა თავიდგან მოიშორებდა კანონიერს მეფეს და თავის მამას, თითონ გამეფდებოდა... დაგუმტკიცოთ, ძმანო, რომ ავაზაკი ვერ გამეფდება საქართველოში, იგი ვერ მიიღებს ბატონობის ღირსებას, ვერ მოიპოებს ხალხის სიყვარულს!

ხალ. სიკვდილი ავაზაკს, სიკვდილი კონსტანტინეს!

ქაიხ. სცოცხლობდეს საქართველო და მასთან დედოფალი ქეთევან!

ხალ. სცოცხლობდეს, სცოცხლობდეს! (შემოვარდება შერმაზინ.)

გამოსვლა 9.

იგინიენ, შერმაზინ და რამდენიმე თავადი.

შერ. (შეშინებულის სახით) რა ამბავია, ყმაწვილებო!

ქაიხ. კოსტანტინემ მეფე და მისი მამა მოგვიკლა!

შერ. რას ამბობ? (გაშტერდება. შესდგება და წყნარად) ოჰ! რა სიმტირეა, რა უკადრისი სიმტირე! (პირზედ ხელებს დაიფარებს).

ხალ. სიკვდილი ავაზაკს, სიკვდილი მტერთა!

შერ. (გამოფხიზლდება) მართალი ხართ!... სიკვდილი ავაზაკს, სიკვდილი მტერთა! (საჩქაროდ გაბრუნდება.)

(ფარდა)

მოქმედება მეოთხე

(სცენა წარმოადგენს დარბაზს, ტახტებით მორთულს და მთლად ორხოებით მოფენილს. საღამოა. დარბაზი განათებულია.)

გამოსვლა 1.

ქაიხოსრო მარტო

ქაიხ. (ზის დაფიქრებული) გადაწყდა!... უნდა დავრჩე!... უნდა დავრჩე სატანჯველად!... ამას ითხოვს სინიდისი და მოვალეობა!.. გამაგრდი გულო, გამაგრდი! შენ მოგელის ჯოჯოხეთის წვალება, მაგრამ კაცად იმიტომ გავჩენილვარ, რომ უნდა გავუძლო, ავიტანო! (დაფიქრდება) ადვილი სათქმელია «გავუძლო, ავიტანო»!... გავუძლო ყოველ ყამს ქეთევანის სიასლოვეს, გავუძლო იმის მიკარებას, რომელიც მათრობს, მაგიჟებს, გონებას მაკარგვინებს!... ავიტანო გაუწყვეტელი ცეცხლი, რომელიც გულს მითუთქავს, სისხლს მიშრობს და ბოლო კი არსად სჩნდეს?.. ეგ მარგუნა ბედმა. (დაფიქრდება) არა, არ შეიძლიან!... ვერ ავიტან, ვერ გავუძლებ!... კიდევ უნდა ვნახო მე ქეთევან? კიდევ უნდა ვნახო იმის ცეცხლის მფრქვეი თვალები!... არა, არ შეიძლიან, ველარ გავძლებ! (სჩქარად) რალად ჩაგისხა გულში საწამლავი, რალად გაგიძლიერო

წყლული? გასწი ჩემო თავო, გაიქეცი, გადაიკრეგე სადაც იყოს. მეტი ნახვა—მეტი მწუხარებაა! (გარბის კარებთან, შესდგება) მერე მამული? მერე ჩემი მოკვლეობა?! (მწარედ) ღმერთო რა ძნელია სიცოცხლე, რა ძნელია კაცად ყოფნა, რა ძნელია კაცისაგან მოკვლეობის აღსრულება!.. (დაფიქრდება) ახლა, ამ საერთო გაჭირვების დროს, როდესაც ყოველ მხარეს მტერი შემოგვსევია ღ ფიქრობს ჩვენს დამარცხებას, ჩვენს დამცირებას, მე ველარ დამიმორჩილებია ჩემი გული და გაქცევას ვაპირებ!... გრცხვენოდეს ქაიხოსრო, გრცხვენოდეს მაგ ფიქრისთვის! (დაფიქრდება ერთბაშად) განმშორდი უკაცურო ლაჩრობას! რა ხელი გაქვს მეომართან, მამულის-შვილთან! შენ ვინ მოგცა ნება, გაჭირვებაში მას თავი დანებო? (მისწვდება გულს) გაჩუმდი, შესდექ, მოკვდი გულო!... მამულმა გასესხა სიცოცხლე და მასვე უნდა დაუბრუნო! (შემოდის ქეთევან. ქაიხოსრო შეკრთება.)

გამოსვლა 2.

იგივე და ქეთევან

ქეთ. (მძიმე შაგებში) ქაიხოსრო! შენ კიდეც მოსულხარ?

ქაიხ. (მდაბლად თავის დაკვრით) დიახ, დედოფალო!

ქეთ. (თანაგრძნობით) ჩემო ქაიხოსრო, რა რიგად ფერი წაგსულია, რა რიგად შეუწუხებიხარ უბედურს შემთხვევას!

ქაიხ. განა არ უნდა შეგწუხებულვიყავ, დედოფალო, საერთო საქმისთვის... მე ქართველი გახლავარ და მესმის ჩემი მოკვლეობა.

ქეთ. მართალი ხარ, მართალი. ყველა ქართველის მოვალეობაა იზრუნოს, იწუხოს თავის სამშობლოსთვის, მაგრამ თავგანწირულებამდის კი არ უნდა მივიდეს. საქმე, ჩემო ქაიხოსრო, საქმე!... საქმე ეჭირვება ჩვენს ქვეყანას.

ქაიხ. (გაცცებით) დედოფალო, საქმე ეჭირვება, და მეც ვფიცავ ვაჟ-კაცის სახელს, ვფიცავ ჩემს მამულს, ვფიცავ შენს სახელს, დედოფალო, რომ სამსახურს საქმითაც დაგიმტკიცებთ!

ქეთ. შენ მეტად აუღელვებიხარ პატიოსანს გრძნობას.

ქაიხ. დიაღ, აკუღელვებივარ და აგრეც უნდა იყოს... განა მე საქართველოს შვილი არა ვარ?... მაგრამ მე რა ზრუნვის ღირსი ვარ, დედოფალო!... ქვეყანაში მეც ერთ ჩალას შევადგენ, დამბერავს ქარი და ვინ იცის საით გადამაგდებს!...

ქეთ. ყველანი აგრე ვართ, ჩემო ქაიხოსრო!... მაგრამ ეგ მაინც ნებას არ გვაძლევს მოვალეობას ვულალატოთ.

ქაიხ. (აღელვებით და მწარის ღიმილით) აკი მეც არა ვლალატობ, დედოფალო!

ქეთ. (რადენიმე ხანი სიჩუმეა) ქაიხოსრო! შენ ხომ იცი, რომ კოსტანტინეს შუა-კაცები მოუგზავნია!

ქაიხ. დიაღ, დედოფალო, ვიცი.

ქეთ. იცი იმისი სურვილი?

ქაიხ. დიაღ, ის ითხოვს, რომ კახეთმა მეფედ მიიღოს. მაგრამ ეგ შეუძლებელია, სანამ ჩვენს ძარღვში წვეთი სისხლი სდგას, სანამ ჩვენი გული სცემს.

ქეთ. ეგ ხომ გადაწყვეტილია... მაგრამ მაგის გარეთ რას ითხოვს, არ იცი?

ქაიხ. ეგ სათხოვარიც მეტის-მეტია, დედოფალო! სხვა რალა უნდა ითხოვოს?!

ქეთ. უსჯულო არა კმარობს ამდენს ავაზაკობას! ის მე მთხოულობს ცოლად!

ქაიხ. (შეშინებით.) თქვენ!... რა ბძანეთ, დედოფალო?.. არა, სმენამ მიმტყუნა, ეგ აგრე არ იქნება!

ქეთ. ნამდვილად, ქაიხოსრო!... მე მთხოულობს.

ქაიხ. მაშ მართალია?... მაშ ტყუილად არ დადიოდა ეგ ხმა?

ქეთ. შუა-კაცები დღეს საქვეყნოდ გამოაცხადებენ იმის თხოვნას... იმისთვის შეგყარეთ დღეს.

ქაიხ. მერე, დედოფალო! თქვენ რა პასუხი გაქვთ მოამზადებული?

ქეთ. მაგას გაიგონებ, როცა შუა-კაცები მოვლენ, და ჩვენი დიდებულნი შეიკრიბებიან...

ქაიხ. (წაიწევს წინ, მღელვარებით) იქნება... (ხმა-დაბლად) მაგრამ, მოამიტევეთ... ეგ არ შეიძლება, ეგ არ მოხდება!... მოამიტევეთ... გონება მეფანტება, როდესაც საქმე თქვენ შეგეხებათ!

ქეთ. (თვალს არიდებს) გმადლობ, ჩემო ქაიხოსრო, მაგ... მაგ ერთგულებისთვის. ჩვენ ყმაწვილობითვე ერთად ვართ შეზდილნი.

ქაიხ. დიალ... ყმაწვილობითვე... ჩვენ... შეგეჩვიენით ერთმანერთს... მერე თქვენ შეიქენით კახთა დედოფალი... მე კი თქვენი ერთგული ქვეშევრდომი...

ქეთ. (იქით) ღმერთო, ძალა მომეც, აღვასრულო ჩემი კალი! (ქაიხოსროს) გორჯასპ ხომ მოვა ამალამ?

ქაიხ. დიალ, გიახლებათ.

ქეთ. მე მინდოდა მეთხოვნა, ხევსურნი მოეშველებინა ჩვენთვის.

ქაიხ. გორჯასპ ჩემი ძმაა, დედოფალო, და მაშასადამე თქვენთვისაც თავ-დადებული! ის თქვენს ბძანებას ელის. (შემოდის მარიამ).

გამოსვლა 3.

ივინიე და მარიამ.

მარ. (თავს უკრავს ქაიხოსროს) დედოფალო!... ეპისკოპოზი გიახლათ, რაღაცა საიდუმლო აქვს თქვენთან სათქმელი.

ქეთ. მე ქაიხოსროსთან დამალული არა მაქვს-რა, მოახსენე აქ შემობძანდეს.

მარ. ის მოგახსენებს, რომ დედოფალი ცალკე უნდა ვნახოგო.

ქეთ. (უსიამოვნოდ) ნეტა რა უნდა?... უეჭველია, საქმე ჩვენს სამეფოს შეეხება და ხალხის საქმე კი მე არ მინდა ხალხს დავუმალო! (მიდის. მარიამ მისდევს.)

გამოსვლა 4.

ქაიხოსრო, მერე ნოდარ და დიდებულნი.

ქაიხ. (დაფიქრებული დგას) ურწმუნოვ! ახლა ეგ უსჯულოება. მოიგონე, რომ რძალი, შენის ძმის ცოლი შეირთო?... წერას აუტანიხარ, კოსტანტინე, გაფთხილდი, გაფთხილდი!... შენ ქართველებს ეთამაშები, მაგრამ იმათთან ხუმრობა ისე ადვილი არ არის, როგორც შენა გგონია. ცო-

ტანი ვართ, მაგრამ შეხედე ჩვენს მთებს, ჩვენს ტყეებს, ჩვენს ბუნებრივ სიმაგრეთ და თავ-გადადებას საერთო საქმისთვის, შეხედე და დარწმუნდები რომ ერთს ათობა შეუძლიან!... მაშ გაფთხილდი, თორემ... (ერთბაშად თავში ხელს წაიკვლებს) ქეთევანი რომ დასთანხმდეს?... მისთხოვდეს, მაშინ?... ო-ო! მაშინ ჩემთან გექნება საქმე, საკუთრივ ჩემთან, კოსტანტინე, და გეფიცები ქეთევანის სახელს, რომ ჩვენში ერთი-ლა იკლის დედა-მიწაზედ, ერთი-ლა დასტკბება მზის სხივით! (შემოდის ნოდარ.)

გამოსვლა 5.

იგინივე, ნოდარ, შერმაზინ, დავით, ფრიდონ და დიდებულნი (შავებში).

ნოდ. მობძანდით, ბატონებო, მობძანდით! (შემოდიან დიდებულნი და დასხდებიან.)

შერ. (ცოტა სიჩუმის შემდეგ) ბატონებო! თქვენ კარგად მოგეხსენებათ კოსტანტინეს საძარცხვინო მოქმედება... ნამუსის, სინდისის და კაცობრიობის წინააღმდეგ მან დაიწყო ძმისა და შვილის მოკვლობა, მან ურწყო სარწმუნოება, ჭეშმარიტი სული-წმიდა და ამ სიბილწისთვის მოიპოვა შაჰ-აბაზის წყალობა და მეგობრობა... იმან მისცა ჯარი და აწ ჩვენს მამულს უკვე შემოეხვივნენ ურჯულონი. ამათის შემწეობით კოსტანტინე კახეთში გამეფებას აპირებს და იმას კი იკიწყებს, რომ ამ წადილის მისაღწევად მარტო შაჰ-აბაზის და სპარსელების თანაგრძნობა

არა გმარა. აქ ეჭირება ქართველთ თანხმობა, ქართველთ მიმხრობა, ქართველთ პატივის-ცემა!... ვერც ერთს ამ გრძნობას ვერ დაიმსახურებს მოღალატე, რჯულისა და ერის გამყიდავი, მამისა და ძმის მკვლელი ავაზაკი!... სხვა რჯულის სალხი ვერ იხარებს საქართველოში, იგი ვერ გაიდგამს ფესვებს, იგი ვერ მოგვცემს ნაყოფს!... ითვიქრეთ, დიდებულნო, გადასწყვიტეთ: შეგვიძლიან მივიღოთ კოსტანტინეს სურვილი, შეგვიძლიან დავნებდეთ?

Ფველანი. არასოდეს, არასოდეს!

Ბორ. კაცის მკვლელს სისხლი მოეთხოების... მამისა და ძმის მკვლელი ჩამოსალრჩობია, ორივი წაიბილწების მის მიკარებით... აქ რა ლაპარაკი გვინდა, წავიდეთ, ძალლსავით დავალრჩოთ.

Ქაიხ. ბატონებო! მე მიკვირს წინადადება განთქმულის სპასალარისა... მაგის სიტყვებს ადგილი არა აქვს ჩვენს კრებაში, ყველა ქართველს შეუძლიან იყოს ქართველი და მხოლოდ ქართველი!... მას შიში ჯ ძალა ვერ შეაკრთობს, ვერ აცვლევინებს ფერს... ჩვენ ეს დაგვიმტკიცეს ჩვენთა წინა-პარით, მათ გაგვიკვალეს გზა და მათის ნაკვალავს უნდა მივყვეთ!.. თუ უბედურებამ დაგვძალა, გავწყდეთ პირზე ღიმილით, გავწყდეთ დარწმუნებულნი, რომ ჩვენის მოკვლობისათვის არ გვილალატნია?

Ფველანი. გავწყდეთ, გავწყდეთ!

Შერ. ჩემი თოვლსავით გათეთრებული თმა ამტკიცებს ჩემს ხნიერებას, მაგრამ თქვენის სიტყვების გამგონეს გული მიღალდება, სისხლში ძალა და სითბოება მემატება... ეხლა შემიძლიან თამამად წარვსდგე ჩემს წინაპრებთან და ამაყად ვუთხრა: საქართველოს სახელი ბრწყინავს, მას დარ-

ჩა ლირსეულნი შვილნი, რომელნიც მის ლამპარს არ განაჭრობენ! (მლელვარებით) მოდი, ქაიხოსრო, მოდი, ჩემო შვილო! მშობელსა სურს გულში ჩაგიკრას, მიუახლოვოს თავისი მკერდი შენს მხნე მკერდს. (მოეხვევა) მაშ გადავწყვიტოთ ბრძოლა, ბრძოლა სანამ უკანასკნელი წვეთი სისხლი ძარღვებში დაგვრჩება... ეხლა უნდა მოგახსენოთ, დიდებულნო, რომ ქეთევან ვერა ჭბედავს დედოფლობის მიღებას თავის-თავზედ... მობეზრებულა იგი ამ სოფლის ამაოებით და სურს მონაზნად შეკიდეს, რომ თავის ხალხის ბედი დედა-ღვთისას შეავედროს.

Ფელ. ეგ არ შეიძლება, არ იქნება!

Ზორ. ქეთევანია დედოფალი, მან უნდა იბატონოს, ვიდრე მისი შვილი თეიმურაზ წამოიზდება.

ქაიხ. უმაგისოდ ჩვენში განხეთქილება ჩამოვარდება, კახეთი დაიღუპება.

Შერ. მაგის გარეთ უნდა შეგატყობინოთ, რომ კოსტანტინეს შუა კაცები გამოუგზავნია, რომელნიც ამ ცოტას ხანში აქ მოვლენ.

Ზორ. რად გვინდა იმათი მოსვლა, იმათი შუა-კაცობა... ჩვენი პასუხი გადაწყვეტილია... შენ ქეთევან გვაჩვენე და შეკემუდარნეთ არ დაღუპოს კახეთი.

Შერ. დედოფალი ეხლავ აქ გამობძანდება, აგერ მგონია კიდეც მოდის! (დიდებულნი ფეხზედ წამოდგებიან, შემოდის ქეთევან და მარიამ, ყველანი მდაბლად თავს უკვრენ, ქეთევან ჩამოჯდება.)

გამოსვლა 6.

იგინივე, ქეთევან და მარიამ.

ქეთ. ბატონებო, დაბძანდით.

ბორ. დედოფალო! მე მთის კაცი გახლავარ ლ მაშასადამე ბირში მთქმელი... შემინდე კადნიერება, მაპატიე გაბედულობა, მაგრამ უნდა შემოგკადრო, მოგახსენო... შენ დედა ხარ ჩვენი, ჩვენ შენი შვილები. მიიღე მუდარება ჩვენი, ნუ უკუაგდებ შენს ხალხს, ყველას შენგან უჭირავს თავი!...

ქაიხ. თუ შენ დაგვანებე თავი, დედოფალო, უთანხმობა ჩამოვარდება და მთელი საქართველო შეიმუსრება მტერთაგან!... არა, დედოფალო, თქვენ უარს ვერ იტყვით ჩვენს თხოვნაზედ.

შერ. დედოფალო, ხალხი ითხოვს თქვენს სამსახურს, მარტო თქვენ გერწმუნებიან, თქვენდამი მოუპყრიათ თავი.

ქეთ. ხალხისთვის თავის შეწირვა წმიდაა და შეუგინებელი, მისთვის ბრძოლა სასახელოა და მოვალეობაა ყოველის სულისა... მაგრამ, ბატონებო, მე რა შემიძლიან ერთს ულონო დედა-კაცს?... მე მინდა თავი შეგწიროთ, გემსახურო მით, რითიც შემიძლიან; მაგრამ ხალხის გამგეობა ვიგისრო, როდესაც ჩემს თავზედ დარწმუნებული არა ვარ, —ეგ არ შემიძლიან, ეგ არ შეშვენის ნამდვილს საქართველოს შვილს.

ულელანი. დედოფალო მიიღე ჩვენი თხოვნა, ჩვენი მუდარა...

დედოფალი დედაა თავის ხალხისა, განა მშობელს ნება აქვს გაჭირვებაში შვილს თავი დანებოს?

ქეთ. (გრძნობით) ნეტა შემეძლოს, გავიგო მკერდი, რომ დამენახვებინა, როგორა სურს ჩემს გულს თქვენი სამსახური, თქვენთვის თავის შეწირვა... მაგრამ მე არ ძალმიძს გავხდე ხალხის მეთაურად, როდესაც დარწმუნებული ვარ, რომ ჩემზედ ნიჭიერები იპოვებიან, არ ძალმიძს ვიგისრო მოვალეობა და იმედი კი არ გავამართლო.

(კულისებიდამ ხალხის ხმა:) ცოცხლობდეს დედოფალი ქეთევან! ცოცხლობდეს!

შერ. გესმით დედოფალო! ხალხი თქვენ გითხოვთ, თქვენ მეტი არავინ უნდა!... დედოფალო, თქვენ უარის ნება არა გაქვთ.

ქეთ. ღმერთო მაღალო!... შენ მომეც ძალა და გონება!... ნუ მიმიყვან იქამდის რომ მაგისრებინო, რისიც ალსრულება არ შეიძლიან... დაიხსენ ეს ერი ჩემის ხელიდგან, თუ მათი გაბედნიერება არ შეიძლიან!

ქაიხ. (ალალებით) მაშ თანახმა ხართ, დედოფალო?!

ქეთ. სიხარულით გული თრთის, ჩემო ქაიხოსრო, როდესაც გესმის ხალხის ხმა, რომელიც შენ გენდობა, სიყვარულით შენს სახელს ახსენებს, შენგან შველას მოელის!... ამ ხმას კაცის გაგიყება შეუძლიან, მაგრამ გევედრებით, ხვალამდის მომითმინეთ, მოვიფიქრო, მოვიაზრო!

ეველანი. მუხლ-მოდრეკით გევედრებით!

ქეთ. ემაწვილებო, ხვალამდის, მხოლოდ ხვალამდის.

ქაიხ. (ალალებით) მაშ გვიბძანე,—მივიდეთ და კოსტანტინეს, ავაზაკს და ჩვენის ერის დამხობის მსურველს მუხლი მოვუდრეკოთ?!

ქეთ. (თვალები აუნთებს) კოსტანტინე არის სულიერ-წმიდის მგმობელი!... მამისა და ძმის მკვლელი! იმისთანა ბილწი, უწმინდური ხალხის მმართველად ვერ გახდება!... ის ავაზაკია და უნდა დაისაჯოს!

შერ. ბატონებო! მეტს ნუღარ შეკვწუხებთ დედოფალს!... ხვალამდის დავაცადოთ, ჩვენ კიდევ დრო გვაქვს: კოსტანტინეს შუა-კაცები ეხლა აქ წარმოსდგებიან თქვენს წინაშე. სანამ ისინი პასუხს არ მიუტანენ, მტერი გადაწყვეტილებას არ მიიღებს... იმათ უალერსებს იმედი, რომ სიტყვითაც დაგვიმორჩილებენ, მაგრამ სიკვდილი იმ საქართველოს შვილს, რომელიც მათ დამორჩილდეს.

ულელანი. სიკვდილი, სიკვდილი!

ქაიხ. ხვალამდის გელით დედოფალო, ხვალ კიდევ მოგვენ შენი ქვეშევდრომნი, ხვალ მშობლისგან სამსასურს მოითხოვენ იმისი შვილები!

ქეთ. კარგი, ჩემო ქაიხოსრო, კარგი. (შემოდის კარის-კაცი).

გამოსვლა 7.

იგინიე და კარის-კაცი, მერე ალი-ბეგ, სულეიმან-ბეგ და მუსტაფა-ალა.

კარის-კაცი. შუა-კაცნი გიახლენ!

ქეთ. (შერმაზინს) მიიღე. (შერმაზინ მიგა კარებთან და მოიპატიჟებს.) მობძანდით, ბატონებო, მობძანდით. (შემოდიან ალი, სულეიმან, მუსტაფა, მიგლენ წყნარად, დაუკვრენ თავს დედოფალს, მუსტაფა დაიჩოქებს და ქეთევანს

წერილს მიართმევს.

მუს. კახეთის მნათობო, მოგვირთმევია სალამი და მასთან წერილი დიდებულის კახთა მეფის კოსტანტინესი.

მაიხ. (აინთება და ხმალს გაიგლებს ხელს) თქვენ გითვარაკს შუა-კაცობის სახელი და იმისთვის ვბედავთ ასე ლაპარაკს... კოსტანტინე აკაზაკია და არა კახთა მეფე... მისი სამეფო საუფლოა, მისი ტახტი საღრჩობელა.

მუს. რაინდო, ნუ ჩქარობ!... კოსტანტინე ძლიერია, იმას შაჰი ჰყავს მფარველად.

ქეთ. დამშვიდდი, ქაიხოსრო! დამცადე ღირსეულს ღირსეული პასუხი ვუგო! (მარიამს) შვილო მარიამ, გამოართვი წერილი და წაგვიკითხე.

მარ. (გამოართმევს წერილს და კითხულობს) «შეწევნითა ღვთისათა და მის მოციქულის მაჰმადისა, მე, მეფე კახეთისა, ვუცხადებ ჩემს ქვეშევრდომთა, რათა გამოცხადდენ ჩემთან, მომიტანონ დრაშა და გასაღები ქალაქებისა... მოწინააღმდეგე საჯაროს დაისჯება წამებით და სიკვდილით... მოეწერების ჩემის ძმის ნაცოლარს ქეთევანს, მოამზადოს დარბაზი ჩემს მისაღებად და თითონაც მოემზადოს ჩემთან ქებინის გასაჯრელად...»

ხალხში მოძრაობაა. ღმერთო!... ეს რა გვესმის!?

მარ. (კითხვას გააგძელებს) «მოემზადოს ჩემთან ქებინის გასაჯრელად, რადგანაც მაჰმადის სარწმუნოება, რომელსაც ვემსახურები, მე მაკუთნებს მაგის თავს, როგორც ჩემის ძმის ნაცოლარს.»

ქეთ. (განრისხებული უყურებს შუა-კაცებს) სხვა... რალას გვიბძანებთ კიდევ?

ალი. დედოფალო! აქ თქვენა ხართ მბძანებელი, ჩვენ ალმას-

რულებელნი!...

ქეთ. უთხარით კოსტანტინეს, რომ უწინ ქვეყანა ვირ-ქვე მოიქცევა, მდინარენი უკან გაბრუნდებიან, ვიდრე იმას რომელიმე სურვილი აუსრულდება. უთხარით, რომ ის არის მოღალატე, გამსყიდავი თავის სარწმუნოებისა, უთხარით, რომ კახეთი და მასთან მთელი საქართველო უცხადებს მას ომს, როგორც სხვა გვარ-ტომობის მოსამსახურეს, რომ მის სასჯელი უკვე გადაწყვეტილია. მთელი საქართველო აღსდგება ერთ-ხმად და ვიდრე უკანასკნელის სისხლის წვეთიდგან არ დაიცლება, მტერს თავის მამულზედ არ ახარებს... ეგ არის ჩვენი პასუხი, გაბედოს ურცხვმა, თუ რამე შეუძლიან.

ყველ. მართალია, მართალი.

ალი. დიდებულო დედოფალო! გაგბედავ და კვალად გკადრებთ...

ქეთ. (გაწყვეტინებს) ხმა!... მაგ საგანზედ სიტყვა აღარ გასძრათ... ეხლა გავათავოთ მაგაზედ ლაპარაკი. თქვენ სტუმრები ხართ აქ ჩ ჩვენი მოვალეობაა გაგიმასპინძლდეთ... ნოდარ!... ამათ კარგად დაუსვდი...

ნოდ. (თავს დაუკრავს დედოფალს. სპარსელებს) მობძანდით, ბატონებო.

მუს. ედემის ყვავილო! თქვენის ქვეყნის პურადობა განთქმულია... ჩვენი სურვილი მხოლოდ ის არის, უბრალოდ სისხლი არ დაიღვრას.

ქეთ. მე გავათავე. საქმეს ავრალი გადასწყვეტს.

მუს. (შეწუხებით) მაშ უნდა ვიბრძოლოთ?

ქეთ. დიახ, ვიბრძოლოთ, ვიბრძოლოთ შეუწყალებლად!

მუს. დედოფალო, კიდევ გაგბედავ...

ქეთ. (გაკვეტილებს). ნახვამდის, ბატონებო! (თავს უკრავს.)
მუს. ნუ გაგვირისხდები, დედოფალო! (თავს უკრავს. სპარსელები მძიმედ თავს უკვრენ და ნოდართან ერთად გადიან.)
შერ. მაშ ხვალამდის, დედოფალო! ჩვენც გიახლებით, მოსვენებას გეწირებთ! (მდაბლად თავს უკვრენ ყველანი და გადიან).

გამოცვლა 8.

ქეთევან და მარიამ.

ქეთ. წავიდეთ, შვილო მარიამ, ხალვათს, მიშველე სამკაულები მოვიხსნა... ამალამ ბევრი საფიქრებელი მაქვს. (გაბრუნდებიან. ქეთევან ხელს გადახვევს და გადიან).

გამოცვლა 9.

დედა-კაცი და კოსტანტინე.

(ცენა ბნელდება. რამოდენიმე ხანს ცარიელია. შემოდის წყნარად დედა-კაცი).
დედ. (შემოიხედავს კარებიდგან) მობძანდი, მობძანდი.
კოს. (შემოდის ნაბადსა და ყაბალახში გახვეული) კარგი, შეგიძლიან წახვიდე.... თუ საშიში ნახო რამე, ხველა ასტეხე... ეს ფანჯარა ხომ ბაღში გადის?

დედ. დიაღ, ვირდაკვირ... ბაღის ბოლოს ცხენები და კაცები დაგხვდებათ.

ქოს. კარგი, წადი. (დედა-კაცი გადის).

გამოცვლა 10.

ქოსტანტინე, მერე ქეთევან.

ქოსტ. (აღელვებული) ღმერთო! რა მოამდის?... რადა გარ ასე მოუსვენრად?... აჭა, მიგაღწიე ჩემს საწადელს, წინ გელარა დამიდგება-რა: ვერც მამა-ჩემი, ვერც ჩემი ძმა. დღეს თუ სვალ კახეთის მეფე შეგიქნები და რაოდენიმე ხნის შემდეგ —მთელის საქართველოსი!.. ჰ როდესაც ყველა მოგმართე, როდესაც საქმე თითქმის დაგაბოლოგე, რალაცა გულს მიწუსებს?... ნუ თუ ეს გრძნობა ქეთევანის სიახლოგით მოამდის?... ნუ თუ ეს შიშია, დედა-კაცისგან აღძრული შიში?... (დათიქრდება) მე ვგმე სარწმუნოება, არ შეგიბრალე მამა, ერუდ დაგრჩი ჩემის ძმის ხვეწნისადმი, შეუბრალებლად დაგხოცე ისინი მხოლოდ იმისთვის, რომ ქეთევანი დამესაკუთრებინა. და ამოდენი წვალება, ამოდენი გულის დუღილი იმისთვის გამოგიარე; სამშობლოს, ჩემს მიწაწყალს იმისთვის მოგშორდი, რომ დღეს გულის-ძგერით, როგორც ლარჩარი, მშიშარა დიცი, უკუ ვიქცე?... არა, მე საკმაოდ ვიტანჯე, საკმაოდ ვეწვალე და სწორედ ამით დაგისაკუთრე ქეთევანის სიყვარული და სხვა გზა არ არის, უნდა მიმიღოს!... გასწი, კოსტანტინე, შენ არ გცოდნია უკან მოხედვა, შენ არ გცოდნია შედგომა, როდესაც წინ

განსარიგებელი საქმე გიძევს და ვერც ეხლა შესდგები... ჭეთევან გიყვარს და შენი უნდა იყოს. (მიიმალება თალებ შუა.)

გამოსვლა 11.

ჭეთევან და მარიამ (რომელსაც ხელში სანთელი უჭირავს. სცენა განათლდება.)

ჭეთ. (შემოდის თმა-გაშლილი, თეთრის ტანისამოსით, ფერმკრთალი) შვილო მარიამ! დადგი შანდალი და თავი დამანებე... უნდა შეგვეგედრო ჩემს სასო და სასიქადულო ღვთის-მშობელს, რომ მან მოგცეს ძალა და ღონე იმ მძიმე ტვირთის საზიდავად, რომელიც ბედმა მარგუნა. წადი, შვილო, შენც ილოცე. (აკოცებს შუბლში და გაის ტუმრებს. ცოტა სიჩუმის შემდეგ) საყვარელო მოძმენო!.. თქვენ ითხოვთ, რომ თავი შემოგწიროთ და აჭა მიიღეთ, მოვიტანია მსხვერპლად... ვისი გაქვავებული გული დარჩება უგრძნობლად, ვინ შეიშურებს თავს, როდესაც მამულს და ერს გაწირვებაში ხედავს?... ქალები ვართ, ბრძოლა არ შეგვიძლიან?... განა ძუ-ვეფხვი არ იბრძვის შვილების დასათვარაგად?... ნუ თუ ჩვენ პირუტყვებზედ დაბლა უნდა ვიდგეთ?... არა, ჭეთევან, შენ ადამიანი ხარ და თავ-განწირულებაც მეტი უნდა გქონდეს!... შენ მოაზრება გაქვს და შენი მოგვლეობა მეტად უნდა გესმოდეს. დიდი, პატარა, კაცი, ქალი, ყველანი უნდა შეერთდენ, ყველას სასახელოდ უნდა მიაჩნდეს ბრძოლა სამშობ-

ლოსათვის. (მიბრუნდება, კოსტანტინე გადიგდებს ნაბადს და გაძოვა, დაჩოქებას აპირებს.)

ქოს. ქეთევან!

ქეთ. (შეკრთება) კოსტანტინე!

ქოს. გიკვირს რომ აქ ვარ?

ქეთ. რა გინდა, რისთვის მოსულხარ?

ქოს. (მიიწევს, რომ ხელი მოჭიდოს) ქეთევან, გამიგონე...

ქეთ. (სიტყვას გაწყვეტინებს) არ მოშეკარო!.. რამ გაგაბედვინა აქ შემოსვლა, ამ სიწმინდის ტაძარში, სადაც მარტო შენი მიკარებაც კი ცოდვად ჩაითვლება?

ქოს. ქეთევან! გამიგონე, შემიბრალე!... ვეევდები, ვიტანჯები... შენი სიყვარული მოსვენებას არ მაძლევს!... მან მოამშორა სამშობლოს, გამოაცვლეინა სარწმუნოება, მოაკვლეინა მამა, ძმა და უბედური გამხადა!... ამდენი ავკაცობა შენის გულისთვის ჩავიდინე. ვეცადე მოგშორებოდი, დამეიწყე, მაგრამ გამხეცებული სიყვარული გულს მიღრღნის, მიხოკავს და მოსვენებას არ მაძლევს!... რამდენიც მინდა გაგშორდე, იმდენი გონება შენ გიახლოვდება, რამდენსაც შენს დავიწყებას ვცდილობ—იმდენად მეტად მიდუღდება გული შენთან შეერთების სურვილით... შენ გონიერი ხარ, ქეთევან,—განსაჯე.

ქეთ. ადამიანი მით განსხვავება პირუტყვს, რომ მოაზრება აქვს და გონებით გრძნობას იმორჩილებს... ვინც გაშმაგებას ვერ შეიკავებს, ის შებრალების ღირსი არ არის.

ქოს. შებრალების ღირსი არ არის?... ღმერთო ჩემო! მე მინდა დავიმორჩილო ეგ გრძნობა, მაგრამ რა ვქნა, რომ გრძნობა სძლევს გონებას და ჩემსავე უნებურად მიმორჩილებს, ერთის კიდურიდგან მეორეზედ მაგდებს... მე

ვცდილობ გაგშორდე, გწყევლი, გიშორებ თავიდგან, მაგრამ რადაცა ძალა ბირში სიტყვას მილევს, გული შენს ფეხ-ქვეშ მაწყვეტს!... მე ალარ მესმის რას ვჩადი?... ცხადად, სიზმრად, ფიქრად, ყველგან შენა ხარ, ყველგან შენი სახე მეხატება!... შენ შეგიბურია ჩემი გული, ყოველ ჩემს სისხლის წვეთში შენი სახელი ჩასახულა და ყოველ მოძრაობაზედ ცხელს შანთებსავით სწვავს, სდაღვს ტვინს, გონებას, მთელ სხეულს...

ქეთ. შენ ამბობ,—გიყვარვარ და იმისთვის, რომ ჩემი თანაგრძნობა, მოიბოვო შენ ბოროტებას გამოუდექ?... მისთვის მოგვკალ შენი მამა, შენი ძმა?... მისთვის ჭეშმე სულიწმინდა, მისთვის ულალტე შენს სამშობლოს?...

ქოს. (მწუხარებით) ქეთევან...

ქეთ. (გაანწყვეტინებს) და ამდენის სიმცირის შემდეგ შენ ჭბედავ იმედი იქონიო ვისმე თანაგრძნობაზედ?!.. შენ წყეული ხარ და წყეულიმც იქნება ის ქვრთველი, რომელიც შენ მოგეკარება, რომელიც შენ ხელს მოგაწვდის!

ქოს. ოჰ, ღმერთო! შენ ამბობ ქრისტიანი ვარო და ქრისტიანული შეწყალება კი არა გცოდნია!

ქეთ. რითი დაიმსახურე ეგ შეწყალება? ენით-უთქმელის ავაზაკობით თუ?.. ერთი ცოდო მეორეთი თუ გინდოდა შეგესუდა, ერთი ავაცლობა—მეორეთი? არა, შენ საზიზღარი ხარ და მეზიზღები!

ქოს. ქეთევან, იქონიე შეწყალება!... მიჩვენე გზა და ნახავ...

ქეთ. (გატაცებით) შედი მონასტერში, ილოცე ღმერთი, ეარჭყავ ყოველივე ამ სოფლიური თუთუნება!... ზეციერი მამა გულ-უხვია, ის შეგინდობს შეცოდებას...

ქოს. (მლოდვარებით) და შენ?

ქეთ. მეც გეფიცები დედა-ღვთისას, რომ ვილოცავ, ვილოცავ განუწყვეტლივ შენის სულისთვის... (კოსტანტინეს მღელვარება დაეტყობა) შეკვეჯერებ ზეციერ მამას, რომ მან მოგიტევოს, მიგიღოს სასუფეველსა შინა... (სიჩუმე რაოდენიმე ხანს) მიპასუხე, კოსტანტინე, თანახმა ხარ?

კოს. (მღელვარებით) და... შენთან შეკავშირებაზედ კი უარი უნდა ვსთქვა?...

ქეთ. (მკაცრად) ნუ ჭვმობ ღმერთს, ნუ დამორჩილებიხარ მცდურს.

კოს. (ერუდ) არ შემიძლიან!

ქეთ. (მწუხარებით) კარგად ითქვიქრე რას სჩადი, რას ამბობ.

კოს. არ შემიძლიან.

ქეთ. (მკაცრად) მაშ გადი აქედგან.

კოს. (მწუხარებით) შეწყვლება ალარ არის?

ქეთ. (მკაცრად) გამეცალე!... მე ხელი დამიბანია შენგან.

კოს. (მთრთოლარეს ხმით) ქეთევან...

ქეთ. (გაანწყვეტინებს) გამეცალე, მეთქი!

კოს. (ჩქარის ლაპარაკით) შენ ეხუმრები ქეთევან გაშმაგებულის კაცის გრძნობას, შენ არ იცი რა შეუძლიან ჩემს ყოფაში კაცსა.

ქეთ. აკაზაკს ღმერთი გამარჯვებას არ მისცემს, გამეცალე!

კოს. შენ ეხლა მაგდებ, მაგდებ იმიტომ რომ ძალა გაქვს კიდევ, მაგრამ ხვალ, ხვალ მე თითონ ძალით მოვალ და რასაც ნებით არ მაბულდები, ძალით ავისრულებ!

ქეთ. უკაცურო!... მე შემეძლო ხვალამდის ალარ დამეცადნა ჩემის ერთის ხმის ამოღებაზედ მსწრაფლად გაგიქრობდენ სიცოცხლეს... მაგრამ ეს სახლი წმინდაა და მე არ

მინდა წაგბილწო იგი შენისთანა უწმინდურის სისხლის დალვრით... წადი, გამეცალე.

ქოს. (მკაცრად) ვერ წავალ!

ქეთ. (მიიწევს კარებისკენ და შესდგება) იძულებულს ნუ მყოფ, რომ კარის-კაცთ დაგუძახო.

ქოს. რა მენალვლება, დეე მოამკლან.

ქეთ. (განრისხებული უყურებს და თანდათან უახლოვდება.) სულ-მდაბალო, მოღალატევ! განვედ, ეს სიწმინდის ტაძარია და შენ აქ ადგილი არა გაქვს!

ქოს. (განკალს დაიწყებს და თვალს არიდებს) ქეთევან!... მაშ სრულიად იმედი უნდა გადავიწყვიტო?...

ქეთ. სრულიად.

ქოს. კარგი, ქეთევან, ხომ მაგდებ და გახსოვდეს, ბოლოს არ ინანო! (ქეთევან მოუთმენლად უჩვენებს კარებზედ და კოსტანტინე საჩქაროდ გადის.)

გამოსვლა 12.

ქეთევან მარტო.

ქეთ. (უყურებს კარებს, რომელშიაც კოსტანტინე გავიდა) ბიწიერო! სადამდის მიუყვანიხარ თავ-მოყვარეობას?... მე, ქეთევანს, ხალხისაგან დედოფლად არჩეულს, მე, რომელიც იესოს სასძლოდ ვირიცხები, მე მიბედავ ხელის შესებას!... არა, კოსტანტინე! შენ შემცდარი ხარ, დაბრმავებული!... მე რომ მსურდეს კიდეც, ალარ შემიძლიან ჩემს ნებაზედ მოვიქცე, მე ვეკუთვნი ხალხს და არა ჩემს თავს. (დაიჩოქებს და ლოცულობს).

დედავ ღვთისაო, შენ მოამხედე, მოამეც შენ ძალა,
რომ კისრად ვიდო ერისათვის ზრუნვა და ბრძოლა...
შენ გეკედრები, რომ დღეს მტერი დამძლეინო
და ერისათვის გზა ნათელი გამაკვლეინო!

—

უზენაესო! შენც ხომ ხედავ, მე არა ვცდილვარ,
თავ-მოყვარებით, ხელთა მეგდო კვლავ დედოფლობა;
და თვით ერისთვის, მის ბედისთვის და ნუგეშისთვის,
მე მიმიღია ჩემს თავზედა წინამძღოლობა.

—

მაშ დამეხმარე, ძალა მოამეც, რათა შევიძლო
ლირსეულად კვლავად შენი საუფლისწულო—
ქართველთა შვილნი, ქართველთათვის თავ-განწირულნი—
წარმოვადგინო შენს წინაშე, დედავ ქალწულო!

(დაეურდობა ხელებზედ და ოცნება წაიღებს. რამდენსამე ხანს იდუმალებით სავსე სიჩუმეა. ქეთევანს პირისახე უბრწყინდება.)

(ფარდა).

(დასასრული შემდეგს ნომერში)

სათიბი

(აზრი მაიკოვიდგან)

აყვავებულა მინდორი, ლურჯად ბიბინებს სათიბი,
შიგ ლაღლა გამოიძახის, უხდება ჭრელი ქათიბი...
აგერ იელა ცელმაცა, წამოაწვინა მოლია,
თან მოჰყვა ტურფა ლიღიდო, ყაყაჩო, თოძი, ფოლია...
ნორჩი, სუნნელი ბალახი, გვერდზედ წამოწვა წყობითა,
ახარებს გულსა მცელველის, სიმწვანით, ენოსვის ტკბობითა!..
გამოშრა, აბულულეს, შედგა და შედგა ზვინები,
შიგა გორავენ ბალღები, წამოდგეს დიდი ძირები...
ბირუტყვის სარჩო მზადა მაქვს, ზამთარს გავუძლებ მგონია,
აბრეშუმიგით თივა—ხარს, იგი ხომ ჩემი ღონეა!...

თ. რაფ. ერისთავი.

წერილები

ლოგინიერ ბენოვნისა.

(შემდეგი *).

თავი XIII

მაგალითი სასწავლებლიდამ გამოსვლის შემდეგ.—სემინარია.—ძველი მეგერი.

რასაკვირველია, რომ ასეთმა დაუჯერებელმა სწავლაში გამარჯვებამ თავი აბირია. ჩემის წარმატებით გაკვირვებული ალფრედიც ვერ გამოიყვანდა ამ მდგომარეობიდამ. თუმცა ცხოვრებას ისე ვერ შეეყარე, როგორც ნამდვილი გმირი, მაგრამ გაგიტუდებით და გეტუვით,—ასე მეგონა ჩემის გამოსვლით ცხოვრებაში საზოგადოებამ დიდი განძი შეიძინა მეთქი. თავისმოყვარეობამ მალე გაიდგა ჩემში ფესვი... მაგრამ ამასაც მალე მოელო ბოლო.

ერთს საგანში მე დამარცხება მომელოდა, ეს საგანი ჩემი ტანისამოსი იყო.

მე ვთხოვე რომ ჩემთვის შეკეთებინათ ორი ხელი ტანისამოსი და მეგონა, რომ უარს არ მეტყოდენ; პირიქით—მეგო-

---

*) «ივერია» № 3, 1883 წ.

ნა გაჭკვირდებოდენ კიდეც, რომ ასე ცოტას ვთხოულობდი. მაგრამ ტყუილად ვფიქრობდი ასე. მამა-ჩემი მოიღრუბლა და სთქვა, რომ მაუდი და ხელფასი ძალიან ძვირად ჯდებაო.—ორი ხელი! ამის ნახევარიც ბევრი არ იქნება? ამასთანავე, ერთის წლის შემდეგ ეს ტანისამოსი კიდეც დაუმოკლდებაო. შავი ტანისამოსი მაგისთვის უქმე დღეებშია მხოლოდ საჭიროდ ჯ ისე დღით ისევ სკოლის ტანისამოსი იხმარესო.—ამ ამბავმა საშინლად დამაღონა. ოჰ, რა ბედნიერნი იყვნენ დანარჩენი ჩემი სკოლის ამხანაგები! ზოგს ოქროს საათს დაჭვირდენ, ზოგს ცხენსა,—სულ კი კარგის სწავლისათვის, და იმათი სწავლა ჩემ სწავლასთან ნარცხადაც ვერ მოვიდოდა. ჩემი დედ-მამა კი ორ ხელ ტანისამოსზედაც მეკაჭრებოდა! განა იმას რამე დაეჭირებოდა, რომელმაც ბირველი საჩუქარი მიიღო? მე რომ ალისფერი მანტიაც მომენდომა, ვის შეეძლო ამის წამოსხმა ჩემთვის დაეშალა.

დედა-ჩემი ძალიან ცდილობდა ჩემის გულისთვის და ყველას ჩემის გამარჯვების ამბავს უამბობდა. «ოჰო, ჰო, ჰო,—წარმოსთქვა მამა-ჩემმა მოუთმენლად: განა სხვა ძმები კი მაგაზედ ნაკლებნი არიან?»

თუ გინდ მთელი ქვეყანა დაიმორჩილოთ, მაინც გეტყვიან, რომ თქვენზედ წინად ალექსანდრე და იულიოს კეისარი ყოფილან.

ასე თუ ისე, დედა-ჩემმა მაინც თავისი ასრულა. მე მომცეს ნება შემეკვეთნა ორი ხელი ტანისამოსი. ახლა ის გამიხდა საფიქრებლად,—თუ როგორი მაუდი ამოვირჩიო, ან ნ როგორი ტანისამოსი უფრო მოგიხდებოდა? არავინ არ იყო, რომ რჩევა მეკითხნა: ალტრედი მეორე დღესვე, ჩემის დათხოვნის შემდეგ, დედ-მამამ სოფელში წაიყვანა; ჩემს ძმებში შინ მარ-

ტო უმცროსი ძმა იყო, რომელიც ჩემს მაგივრად უნდა წასულიყო სკოლაში, და აბა იმას რას დაკეკითხებოდი; უფროსი კი ხასიათით კაჟ-კაცსა ჰგავდა და მცხვენოდა, რომ ჩემი ასეთი თავ-მოყვარეობა იმისათვის გამომეცხადებინა. მარტო ჩემს ძმას ცეზარს, რომელიც თვრამეტის თვით ჩემზედ დიდი იყო, შეეძლო ამ საქმეში დამხმარებოდა, მაგრამ ის ბიძა-ჩემ მღვდელთან წავიდა, რომ ავად-მყოფობის შემდეგ ჭერი გამოეცვალა. ისევ მე უნდა ამოვერჩიე ტანისამოსი და გადავწყვიტე, რომ უშავ-ტანისამოსოდ ჩემი ყოფნა არ შეიძლებოდა. გსთქვათ, მაგალითად,—და ან აქ რა არის შეუძლებელი?—გსთქვათ, რომ არხიეპისკოპოზმა, ან ლუბერნატორმა დამიბარეს... ან სასახლეში რომ მიმიწვიონ... რატომაც არა, მერე? დიალ, უშავ-ტანისამოსოდ მე იოლად ვერ წავალ. მეორე ხელის ტანისამოსისთვის ბაცი წაბლის ფერი მაუდი და ბაცი ცისფერი შარვალი ამოვირჩიე, შევეხვაწე კიდეც დერეფეს, რომ უკანასკნელ მოდაზედ შეეკერა. მთელი კვირა იმაში გამეპარა, რომ დღეში რამდენჯერმე მივდიოდი დერეფეთან და ვეხვეწებოდი მალე შეეკერა.

შლიაპის ამორჩევასაც დიდ-ხანს მოვუნდი. იმ დროს მოდაში ორ-ნაირი შლიაპა იყო: ვიწრო და განიერი. მე უფრო უკანასკნელი ამოვირჩიე. ბოლოს ტანისამოსიც ჩავიცვი და ერთს მშვენიერს კვირა დილას დიდის სარკის წინ ვიდექი და ჩემის ტანისამოსის ცქერით ვსტკბებოდი. ამის შემდეგ მე წავედი ვიზიტად ბიძა-ჩემს ჯოვანისთან.

ბიძა-ჩემი ჯოვანი, ერთად-ერთი ძმა დედი-ჩემისა, დედა-ჩემზედ ოცის წლით იყო უფროსი. რადგანაც დედა-ჩემს ძალიან უყვარდა იგი, მთხოვა, რომ პირველად იმასთან წავსულიყავ. ამ დროიდის ბიძა-ჩემი ჯოვანი სულ ათჯერ არ მენახა,

თუმცა ჩვენს სახლში იმაზედ ხშირად ჩამოაგდებდენ ხოლმე ლაპარაკს. ხუთ წელს სკოლაში ყოფნის დროს მე იმას სულ თორმეტჯერ არ უნახავარ. ბიძა-ჩემს ბავშვები არ უყვარდა და ამისათვის იმასთან წასვლა მეზარებოდა.

როდესაც ბიძა-ჩემთან მივედი, იგი თავ-ჩაღუნული წიგნსა კითხულობდა. რომ შეკხედე, იმის პირისახისა ნახევარ მხარე დავინახე და იმისმა სახის-მეტყველობამ და გაწყობილობამ განმაცვიფრა. როგორც შემდეგ გავიგე—იგი იყო ცოცხალი სურათი ლეონარდო-და-ვინჩისა. თუმც საძოც წელს გადასცილებოდა, მაგრამ იმის მოკლედ გაკრეჭილი თმები სულ შავი იყო, მხოლოდ აქა-იქ ერია ჭაღარა, რომელიც თითქოს უფრო უხდებოდა.

«ე! ე! ჩემო საყვარელო», შეჭყვირა ბიძა-ძემმა ჩემს დანახვაზედ: «რა ყოჩაღი რამა ხარ!» იგი ადგა სკამიდამ და მოვიდა ახლო ჩემს დასათვალიერებლად.—«ეგ რა მასხარულადა ხარ მორთული?» მე ეურებამდის გავწითლდი. «ნუ გრცხვენიან, ჩემო მეგობარო, ახალ-გაზდობისას მეც ეგრე ვიქცეოდი. თქვენისთანა ემაწვილები რომ არ იყვნენ ქვეყანაზედ, დერეფანები შშიერები დაიხოცებოდენ. მე ამით მხოლოდ ის მინდა გითქვა, რომ თუ მამა შენი ცოტა ჭკვიანი კაცი ყოფილიყო და ჩემთან მოებარებინე, მაშინ ამ ტანისამოსით არ გატარებდი სასეირნოდ.» ბიძა-ჩემს ძალიან უნდოდა, რომ მეც იმასავით ვაჭრობა დამეწყო, მამა-ჩემს კი ვაჭრობა ჭირსავით ეჯავრებოდა!

მე არ ვიცოდი რა მეპასუხა—და ჩუმად ვიდექი. შემდეგ ბიძა-ჩემმა სწავლის შესახებ დამიწყო ლაპარაკი, და მითხრა: «მე დიდის სიამოვნებით წავიკითხე შენი ლექსი «გალობა შემოქმედზედ» და დავრწმუნდი, რომ შენ ლექსების წერა შეგიძლიან. მხოლოდ უნდა ისწავლო აზრის მოკლედ გამოხატვა ლ

არა გაგრძელება. აი ეს შენ ვისგან შეგიძლიან ისწავლო; აიღე დანტე და თავით ბოლომდინ რამდენჯერმე გადიკითხე.— და მიჩვენა თავის წინ გაშლილი დანტეს თხზულება,—შემდეგ, თუ ან დრო და ან მოსაზრება გექნება, სწერე ლექსები, მხოლოდ მანამდის კი არა, გესმის?»

მე მგონია მიეხვდი იმის სურვილს.

ბიძი-ჩემის ამისთანა საუბარმა ცოტა არ იყო შემაფიქრიანა. მე ვფიქრობდი ისე მოგშორებოდი ბიძა-ჩემს, რომ ჩემი წყენა არ შეეტყო. გამოსვლის დროს მითხრა:

— აბა, ჩემო საყვარელო, თუ რომ შენ შეგიძლიან ყური დამიგდო და არ გაჯავრდე ჩემს სამართლიანს ლაპარაკზედ, შემოდი ხოლმე ჩემთან და ნუ გეწყინება, თუ ცოტადენ მგვახე სიტყვებს ვეტყვი, სულ შენ სასარგებლოდ იქნება, რასაც კი ვიტყვი. მაშ მშვიდობით!

ქუჩაში გამოვედი თუ არა, მე ჩემს თავზედ ისე ალარ ვიყავ დარწმუნებული, როგორც ნახევარ საათის წინად. ბიძა-ჩემის ჯოვანის შენიშვნებმა ისე იმოქმედეს ჩემზედ, თითქო ოთხლიან კაცისათვის თავზედ ერთი კოკა ცივი წყალი დასხათო.

ბიძი-ჩემის სახლიდამ მე წავედი ღვთისმშობლის ეკლესიაში წირვის მოსასმენად. შემდეგ მეც გავერიე ყმაწვილებში, რომელნიც ქალებს ლორნეტებით სინჯავდენ. მე ყურადღება არავინ მომაქცია: არც ერთი ქალი, არც ხნიერი ან არც ახალ-გაზდა, არ გაწითლდა, არც ერთს არ ეტყობოდა არავითარი ალელვება ჩემს დანახვაზედ; ერთმაც არავინ არ მითხრა: «თქვენ არა ხართ ის ახალგაზდა ყმაწვილი, რომელმაც სწავლისათვის მიიღეთ იმდენი გვირგვინებიო?» მე ქუჩაში სიარული დავიწყე, შემდეგ, სალამოზედ, წავედი აკვასოლში—ეს ადგილი კეკლუცების სასეირნო ადგილი იყო, იქ რიგ-რიგად უკრავდა ორი დასი სამხედ-

რო მუსიკისა და ძალიან ბევრი ხალხიც იყო, მაგრამ ერთმა არავინ არ მომაქცია ყურადღება, არც მე, არც ჩემს ცისფერს შარვალს; და როდესაც სახლში დალალულ-დაწყვეტილი დავბრუნდი, არც არხიეპისკოპოზის ან არც ღუბერნატორის მიწვევის წერილები არ დამხვდა.

შემდეგ მე ყველგან დავიწყე სიარული, მაგრამ უწინდელივით ყურადღებას არავინ არ მაქცევდა. ერთხელ სეირნობის დროს შემომეყარა ორი ყმაწვილი ბიჭი, რომელთაც პირში დაცინვა დამიწყეს და მემუქრებოდენ ჩემივე ჯოხით ცემას. მეორეჯერ არისტოკრატიულ ყავახანა «ყაირში» ხელიდამ გამვარდა ერთი სტაქანი მაროყინა, რომელმაც მეც გამისვარა ტანისამოსი და ერთს ჩემს გვერდზედ მჯდომარე ყმაწვილს ქალსაც. ყველამ მე დამიწყო ცქერა. ორის კვირის უკან ჩემის დიდების მოყვარეობა განვქარდა და ჩემთავად ვფიქრობდი: «რისთვის ვკარგავ დროს, ტყუილად რისთვის ვცვეთავ წაღებს და ამდენს პომადას რად ვაფუჭებ?'' მართლაც, ეს გარეწრული ცხოვრება არ შეეფერებოდა ჩემს ხასიათს და მეც ადვილად დავანებე ამ ცხოვრებას თავი. ამას იქით ვიჯექ ხოლმე შინა და ვკითხულობდი წიგნებს.

დიდიდამ საღამომდის მოკიდებული ვკითხულობდი რომანებს, ზღაპრებს, რაინდულს მოთხრობებს, ერთის სიტყვით ყველას, რაც კი შემხვდებოდა. წიგნის საკითხავად ერთი მიყრუებული ოთახი მქონდა ამორჩეული, კითხვაში გართულს გარედ გამოსვლა ალარც კი მაგონდებოდა. რა სიამოვნებასა და ტკბილს ოცნებას ვეძლეოდი ამ წიგნების კითხვის დროს! როდესაც დედა-ჩემი შემოვიდოდა და მეტყოდა გამესეირნა სადმე ძალიან მეწყინებოდა ხოლმე. ერთს წიგნს, რომელმაც ბევრი სიამოვნება და მწუხარება მოამიტანა, ერქვა ,,პაგლე და ვირგი-

ნია.'' ამ წიგნის კითხვის დროს მე იმდენი ცრემლი დავღვარე, რომ იმ ცრემლების მორევში ამ მოთხრობის უბედური გმირი ქალი შეიძლებოდა მეორედ დამღვრჩალიყო. მეორე წიგნი, რომელმაც ჩემზედ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, იყო—,,იტალიელი'', რატკლიფისა. სხვათა შორის ამ წიგნში იყო აწერილი ერთი ტომარა, რომელიც თავის-თავად ოთახებში დადიოდა. რამდენჯერ ძილში მომლანდებია ეს ტომარა და შიშით გამომღვიძებია!

ასე გამუდმებულის წიგნის კითხვით მე ავად გავხდი, ძალა წამერთვა და თვეხებს ძლივს ვადგამდი. დედა-ჩემი ამან ძალიან შეაწუხა და საჩქაროდ სოფელში წამიყვანა. თან წიგნების წაღება ამიკრძალეს. ორი თვე გავატარე სოფელში და მთებში და ტყეებში სიარულის მეტს არას; ვაკეთებდი ამ მოძრაობამ ბევრი სარგებლობა მომიტანა, ასე რომ როდესაც ოკტომბერში ქალაქში დაბრუნდი, სრულიად კარგად ვიყავი.

ამ დროს თეატრში პირველად წამიყვანეს. მუსიკამ, თამაშობამ, ტანისამოსმა, დეკორაციამ და სიმღერამ ჩემზედ დიდი შთაბეჭდილება იქონია. რას არ მივცემდი იმ კაცს, რომელიც მე თეატრის ასპარეზზედ გამოიყვანდა! რა რიგად ვიყავ თეატრისაგან აღელვებული, ამას იქიდამ გაიგებთ, რომ როდესაც შინ დაბრუნდი, სიცხე მოვცა ჯ სამი დღე ჯ ღამე ლოგინში ვიწექი.

ერთხელ, როდესაც სოფლიდამ დაბრუნდით, მამა-ჩემმა თავის კაბინეთში შემიყვანა. არ ვიცი რა მიზეზით, მაგრამ მამა-ჩემის ახლოს ჩემს თავს დამშვიდებულად ვერა ვგრძნობდი. მამა-ჩემი ისე მექცეოდა, როგორც უცხოს; არას დროს მარტოდ ყოფნის დროს ჩემთვის აღერსიანი სიტყვა არ უთქვამს, როგორც დედა-ჩემი სჩადიოდა, თუმცა სხვებთან კი კიდეცა მკოცნ-

ნიდა, მაგალითებრ, რადესაც საჩუქრებს გვირიგებდენ. მე რომ ვსთქვი მგონია მეთქი, სწორედ ვერა ვსთქვი. ის მხოლოდ ლოყას მოგვიშვერდა ხოლმე და ჩვენ კი ვგონიდით.

მამა-ჩემმა მითხრა, რომ შენ ვგონებ უსაქმო ცხოვრება მოგწყინდა: დრო არის შესცვალო ეგრეთი ცხოვრება; დრო არის იმუშავო; თავის დღეში ნებას არ მოგცემ რომ ვაჭრობა დაიწყო, შენ გაქვს ნება ორში ერთი ამოირჩიო: ან ექიმობა და ან ადვოკატობა. რაგორც ერთისთვის, ისე მეორისთვის საჭირო იყო თეოლოგიის კურსის მოსმენა. რადგანაც ამ დროს უნივერსიტეტი დაკეტილი იყო, ამისათვის თეოლოგიის კურსი ან სასულიერო კოლეგიაში უნდა მოემზადინა, ან სემინარიაში. მამა-ჩემმა თავის მხრივ კოლეგიაში შესვლა მირჩია და მითხრა, რომ თუ გინდა შენ სემინარია ამოირჩიო.

სასულიერო კოლეგიაში ჩემი შესვლა არ შეიძლებოდა. რისთვის? მეტყვით თქვენ. თუ გინდ დაგენაძლევებით, რომ ვერ გამოიცნობთ.—წინად მოგახსენეთ, რომ მამა-ჩემი თხოულობდა ჩემი სკოლის ტანისამოსი გადამეგეთებინა და იმით შევსულიყავ კოლეგიაში. მაგრამ ჩემთვის ეს შეუძლებელი იყო, რადგანაც ახალ-გაზდას თავ-მოყვარეობა ნებას არ მაძლევდა.

არც სემინარიაში მიმიწევდა გული. გენუაში სამი სასწავლებელი იყო ახალგაზდობის აღსაზრდელად: სასულიერო სკოლა, სემინარია და ზღვის სკოლა. მაგრამ ამ სამს სასწავლებელს ერთმანერთი ჯირსავით ეჯავრებოდათ, ერთმანერთში დაუსრულებელი ჩხუბი ჰქონდათ ხოლმე; ამ სკოლების მოწაფეები ერთი-ერთმანერთის დაუძინებელი მტრები იყვნენ. მე თვითონ, სკოლაში ყოფნის დროს, რამდენჯერ ჩუმად წამიკრავს მუჯლუგუნი სხვა სკოლის მოწაფისთვის წირვის დროს. მე დარწმუნებული ვიყავ, რომ თუ სემინარიაში შევიდოდი, იქ ძვე-

ლი მტერი ვინმე დამიხვდებოდა და მეც მას უნდა წავჩხუბებოდი, ჩხუბი კი ჭირსავით მეჯავრებოდა. მაინცა და მაინც ისევ სემინარია ამოვირჩიე და ეს ამბავი ალფრედს იმ საათშივე ვაცნობე. რამდენიმე დღის შემდეგ, იგი დაბრუნდა ქალაქში და, ჩემდა სასიხარულოდ, მამის ნება-დართვით, იმანაც მოიწადინა სემინარიაში თეოლოგიის კლასში შესვლა.

ჩვენ ძალიან ბევრი თავისუფალი დრო გვქონდა: ლექციები დილის ათ საათზედ იწყებოდა და პირველ საათზედ თავდებოდა; დანარჩენი დრო თავისუფალი ვიყავით, მხოლოდ ორშაბათობით და ხუთშაბათობით კი ოთხი საათიდამ ექვს საათამდის ზნეობითის თეოლოგიის კურსს ვისმენდით. ახალს მოწაფეებთან არავითარი კავშირი არა მქონდა. ჩემთვის ალფრედის მეგობრობაც საკმარი იყო; დილით საღამოამდის ჩვენ სულ ერთად ვიყავით; ხშირად შორს მივდიოდით სასეირნოდ და ზოგჯერ, კარგ დღეში, ნავითაც ვსეირნობდით. ჩვენ პირობა დავდეთ, რომ ერთმანერთს არ დავშორებულიყავით.

მაგრამ ჩემი მდგომარეობა მალე შეიცვალა. მე გადამემტერა ერთი საძაგელი სემინარიელი, რომელიც ერთი-ორად ჩემზედ უფრო მალალი და სქელი იყო. იმან მალე მიცნო. მეც ვიცოდი ვინც იყო იგი. მან ამაყად დამიწყო ცქერა; მეც ისე ვიჭერდი თავს, ვითომ ყურადღებასაც არ ვაქცევდი, მაგრამ სიამაყით ცქერას ლანძღვა-გინებაც თან მოჰყვა. ერთხელ ხელი ისე წამგრა, რომ ცოტას გაწყდა, არ დავეცი. მას შემდეგ დაიწყო ჩვენს შორის ბრძოლა, და ჩემმა მტერმა ისე შემაწუხა, რომ თითქმის სიცოცხლე გამიმწარა. ერთხელ მთელის სემინარიის სასაცილოდ გამხადა, იმით რომ ქალაღლდის გრძელი კუდი გამიკეთა. მე დავიფიცე, რომ სამაგიეროს გადავუხდიდი კლასიდამ გამოსვლის შემდეგ, მაგრამ ამოდ ვყარაულობდი მას კლა-

სის კარებთან; მერე წავედი შინ და აღელვებული გული იქ დავიშოშმინე.

დავბრუნდი თუ არა ქალაქში, ხელახლად დავიწყე წიგნების კითხვა. ამ დროს მე ვკითხულობდი ნეტარის მარტინ ლისაბონელის თხზულებას, რომელიც ჩემთვის ძალიან სასიამოვნო საკითხავი იყო. ტრა მარტინოს ძალიან საკვირველი საქმეები მოესდინა. მაგალითად ერთსა და იმავე დღეს იგი ნახეს ჩინეთშიაც, სადაც კერპთ-თაყვანის მცემლებს არჯულებდა და ლისაბონშიაც, სადაც თავის ავად-მყოფს დედას თავით უჯდა. მე მივედი იმ ადგილამდის, სადაც აწერილი იყო ერთი შემთხვევა, რომელიც ჩემს ესლანდელ მდგომარეობასა ჰგავდა. ტრა მარტინო ამბობდა, რომ როდესაც იგი სკოლაში დადიოდა, დატანჯული იყო ერთის ბრაზიანის შეგირდისაგან, რომელიც მეტის-მეტად სასტიკად ეჭცეოდა მას. მარტინო მას სამაგიეროს არ უხდიდა, მოთმინებით და პატიოსანი ისე დასასვინიდისა თავის მტანჯველი, რომ იგი გახდა იმის მეგობარი, მბაძავი და შემდეგ ისიც წმინდანი შეიქნა.

ამ ამბავმა მე ცხადად დამანახვა თუ როგორ უნდა მოვქცეოდი ჩემს მტანჯველს. ნეტა არ იქნება მეც ჩემი მტერი წმინდანად გავხადო! განა მე კი არ შემიძლიან წმინდანი გავხდე? განა მე კი არ შემიძლიან, როგორც ტრა მარტინო, წავიდე ჩინეთში და იქ მივიღო წამების გვირგვინი? მე გადავწყვიტე მიმებაძნა მარტინ ლისაბონელისათვის.

თავი XIV

სარწმუნოებით გაცვება.—წამებულობაზედ ჩემის ბლანის გადადება.—ჩემი მტერი სასაცილო მდგომარეობაშია.

რასაც მოველოდი, ის მოხდა. ერთხელ, კლასში შესვლის დროს, ჩემმა მტერმა ლაზათიანად თავში ჩამარტყა. მეც ჩარტყმითვე მინდოდა სამაგიერო გადამეხადნა, მაგრამ დროზედ შევიმაგრე თავი. «მოწყალეო სულმწიოვევ», ვუთხარ მას: «რაცა გსურთ, ის მიყავით. ამას მე ისე მივიღებ, როგორც სასჯელს ჩემის ცოდვისათვის. მე მაინც არ დავიშლი თქვენს სიყვარულს.» ჩემმა ასეთმა მოულოდნელმა ლაპარაკმა იმოქმედა ჩემს მოწინააღმდეგეზედ, მაგრამ დიდ-ხანს კი არ გასტანა და მიპასუხა დაცინვით: «დიალ, დიალ, ჩემს სიყვარულს! ისა სთქვა, რომ გეშინიან.» ამაზედ მე ვუპასუხე დაბალის ხმით: «სწორედ მეშინიან, ძალიან მეშინიან ღვთის რისხვისა.»

ისიც მოხდებოდა ხოლმე, რომ ჩემი მტერი რამდენიმე დღეს თავისუფლად მტოვებდა. ამის მიზეზი, ჩემის თვიქრით, ფრა მარტინოს რეცეპტი უნდა ყოფილიყო. ყოველ-დღე, არა თუ შინ, ქუჩაშიაც კი ვლოცულობდი. დიალ, ქუჩაში! რადესაც მე სკოლაში ვიყავი, ჩემმა მოძღვარმა მაჩუქა ერთი საუნჯე, რომელიც ამბობდა იგი; ეს იყო პატარა ლოცვა, რომელიც, იმის სიტყვით, წმინდა ბერნარდმა ღვთის-მშობლის სულიდამ მიიღო. მე ეს საკვირველი ლოცვა ჩემს ქალალდებში მქონდა დაკარგული. ბოლოს ვიპოვნე, ზეპირად დავისწავლე და ვამბობდი ხოლმე ღვთის-მშობლის ხატის წინაშე; ღვთის-მშობლის ხატი კი გენუაში ყოველს თვის გადადგმაზედ შეგხვდებათ.

მშვენიერი დღე იყო. მე და ალფრედმა პირობა დავდეთ, საღამოს შემდეგ გაგვესეირნა გორებზედ, რომელნიც გენუას გარშემო არტყია. ამ გასეირნებამ ისეთ ნაირად დაგვქანცა, რომ დავსხედით ერთს გორაზედ და ვსაუბრობდით მშვენიერის არეშარეს სანახაობით, რომელიც ჩვენს წინ იყო გადაშლილი. მზე ჩადიოდა. იმის ალის-ფერი სხივები, რომელთაც თან-და-თან უფრო მუქი ფერი ეძლეოდათ, როგორღაც ალონებდენ კაცს. ნელ-ნელა დაჭვარა ნაცრის-ფერმა ბურუსმა ჩვენს წინ მდებარე მინდორი და ზღვა. ჭაერი არ მოძრაობდა. მხოლოდ საქონლის ყელზედ შებმულ ზარის წკარუნი და მეთევზეების ხმა არღვევდა მყუდროებას.

უეცრად ეკლესიის ზარი დარეკეს. ეს იყო წმინდა ბარნაბეს ეკლესია. ამ ეკლესიის სიახლოვესვე იყო პატარა შენობა, რომელიც ეკუთვნოდა მამა კაპუცინებს. ყმაწვილი კაცები, რომელნიც უნდა კაპუცინების დასში შესულიყვნენ, ლოცვაში და ღვთის კედრებაში ატარებდენ დროს. ეს მონასტერი ერთ სრიოკს მთაზედ იდგა და დაღვრემილი სანახაობა ჰქონდა. ჩვენ შევედით ეკლესიაში, სადაც სიბნელე სუფევდა, მხოლოდ ზოგიერთა ადგილას თითო ლამპა ანათებდა. ხუთი თუ ექვსი მოსაკი დაჩოქილნი იყვნენ და გალობდენ ფსალმუნებს. ხანდა-ხან ერთი მათგანი მიიღებდა ხოლმე თავს მაცხოვრის ხატისკენ და მაშინ დაინახავდით იმის სახეს მარხულობისგან გაყვითლებულს და გამხდარს. ზარის ხმამ, მარტობამ და სალამოს ყამმა საშინლად დამალონა; ამ ეკლესიის ამბავმა ჩემი გამოურკვეველი ოცნებანი გამორკვეულ გზაზედ დააყენა. თითქოს რაღაც საიდუმლო ხმა ჩამძახოდა: «ია ის, რასაც შენ ეძებ.» დიდ ხანს გულ-მხურვალედ ვლოცულობდი, და როდესაც იქიდამ გამოვედი, მტკიცედ ვიყავ დარწმუნებული, რომ

თვით ღმერთმა მიმიწვია ვემსახურო მას ლოცვითა და ვედრებით. ჩემი გულის-ხმასული ალფრედს მაშინვე ვუთხარი და თვითონ იმასაც ვსთხოვე ჩემთან ერთად შემოსულიყო კაპუცინების დასში. პირველად იგი ძალიან გაჭვირდა, ამისთვის რომ ჩემსავით გატაცებული არ იყო; მაგრამ რადგანაც ჩემი დაშორება არ უნდოდა, ამისთვის მიბასუხა—თუ შენ ბერად შედგომა ნამდვილად გადაგიწყვეტია, მეც თან გამოგყვები.

შუა-ღამისას, როდესაც ჩემს ოთახში შემოძესმა წმინდა ბარნაბის ეკლესიის ზარის რეკა, მე წამოვდექ ზეზე და დავიწყე ლოცვა. არ მახსოვს, რამდენ ხანს გასტანა ამ ლოცვამ, ამისთვის რომ როდესაც გამოძელვიძა თავი სკამზედ მქონდა მიყდნობილი და ტანი სრულიად გაცივებული.

ისე მტკიცედ მქონდა ბერად შედგომა გადაწყვეტილი, რომ განვიზრახე ეს ამბავი ჩემის მოძღვრისათვის შემეტყობინებინა; მეორე დღესვე წავედი მასთან და დაწვრილებით ვუამბე, რადის და რაგორ მოძიებიდა ბერად შედგომის სურვილი. პატივცემულმა მოძღვარმა მომიწონა ეს განზრახვა, მირჩია მტკიცედ ვყოფილიყავ ამ განზრახვაზედ და ისიც მითხრა, რომ ამ ცოდვილს ქვეყანაში ბერობის გარედ სულის ცხონება არ შეიძლებაო.—«ჯერ შენ ყმაწვილი ხარ», განაგრძო მან: განზრახვის აღსრულება შენგან ძნელია; თუ გინდა, გაიგო შესრულებ თუ არა შენს განზრახვას, შენს თავს რამე სასჯელი დასდევ, რომ მით შენი ხორცი მოიკლა და განსაკუთრებით უფრო ილოცვიდე დღე და ღამ განუწყვეტლადო.»

მე ძალიან კმაყოფილი ვიყავი ამისთანა დარიგებისა. ამ დღიდამ ჩემს თავს ბერად ვსთვლიდი. ხორცის მოსაკვლელად ძალიან ცოტასა ვჭამდი; ყველა საჭმელზედ უარი ვსთქვი, მეტადრე ხილზედ, რომელიც ძალიან მიყვარდა. რაც კი შე-

შეძლო, წირვა-ლოცვაზედ ხშირად დავდიოდი, და შუა-ლამისასაც ავდგებოდი ხოლმე და ვლოცულობდი. რომ დიდ-ხანს არ დამძინებოდა, ხელზედ მოვიბამდი ხოლმე ძაფს, რომელსაც ბოლოზედ ტყვია ება და ტაშტში იყო ჩაშვებული; ცოტა რომ განძრეულვიყავ, ტყვია ტაშტს ეხლებოდა და ტაშტის ხმა ჩაძინების ნებას არ მაძლევდა.

მაგრამ ესეც საკმარო არ იყო ცოდვათა მოსანანიებელად. მე ფრა მარტინოს ვბაძავდი და ამისთვისაც ვიშოვნე მათრახი, რითაც ჩემს თავს მოსვენებას არ ვაძლევდი, თუმცა ამ მათრახის ცემით ბევრი არა მტკენია-რა. ამას გარდა ჩექმებში ქვიშა და ქვეშაგებში პურის მარცვალი ჩავიყარე, რისგანაც ცოტა არ იყო, შევწუხდი. ამის შემდეგ, მე ჩემს თავს ბერობისათვის სრულიად მომზადებულად ვსთვლიდი და ერთს დიდას დედა-ჩემსაც გამოვუცხადე ჩემი განზრახვა და ისიც ვუთხარი, რომ კაბუცინის ტანისამოსი, რაც შეიძლება, მალე უნდა ჩავიცვა მეთქი.

მე ისე მეგონა, რომ დედა-ჩემი წინააღმდეგობას გამიწევდა და ტირილსა და კვი-კაგლახს ასტყდა, რისგამოც წინადვე გადავწყვიტე არ დავმორჩილებოდი საყვარელ დედი-ჩემის ცრემლებს, მაგრამ დედა-ჩემს სრულიად არ ეწყინა ჩემი განზრახვა, ან არა და გულ-კეთილობით ჩემი წყენა არ უნდოდა. მხოლოდ ეს მითხრა,—ამისთანა დიდ საქმეში სიფთხილე გმართებს და კარგი იქნება ბიძა-შენს ჯოვანის დაჰკითხებოდეო. მე ამაზედ დიდის სიამოვნებით დავთანხმდი.

იმავე დილით დედა-ჩემი ბიძა-ჩემს ქუჩაში შეხვედროდა ლ ეკელესიერი ეამბნა; მეორე დღეს ბიძა-ჩემმა საღილად დამპატიჟა, რომ ჩემგანვე შეეტყო ჩემი განზრახვა და მეც წავედი.

იმ დროს მე და ბიძა-ჩემი ჯოვანი ძალიან კარგი მეგობრები ვიყავით. თუმცა იმ დღეს, როდესაც მე იმასთან პირველ-

ლად წავედი, იგი ცოტა წარბ-შეკრული დამხვდა, მაგრამ ამა-ნაც კი არ ამოიმეხვრა გულიდამ იმის სიყვარული. პირველმა შთაბეჭდილებამ რომ გაიარა, მე მიგხვდი,—ბიძა-ჩემი მართალს მეუბნებოდა ჩემი კეკლუცობა მხოლოდ სასაცილოდ მხდიდა და ჩემი ლექსებიც სუსტნი იყვნენ. ამისთვის სრულიადაც არა კეკვარობდი იმაზედ; პირიქით, უფრო კათვასებდი იმის პირში-თქმას და ყოველივე ეს ბიძა-ჩემსაც ვუთხარი. იმას ძალიან მო-ეწონა ჩემი გულ-ახსნილი ლაპარაკი და მითხრა, შენში ადა-მიანურს აზრს გაუღვიძნიარო. ამ დღიდამ ჩვენ დავმეგობრდით. კვირაში ორჯელ მივდიოდი იმასთან და, რაც უნდა საჭირო საქმე ჰქონიყო, თავს ანებებდა და მე კი რამდენსამე წამს მელაპარაკებოდა. იგი ერთის მდიდარის ბანკირის ამხანაგი იყო და ორ საათამდის სულ საქმეში იყო.

თუმცა ნახევარ წელიწადზედ მეტმა გაიარა, რაც მე და ბიძა-ჩემი მეგობრები ვიყვით, მაგრამ იმის ცხოვრებიდამ მარ-ტო ის ვიცოდი, რომ სიყმაწვილითვე დაეტოვებინა თავის ქვე-ყანა, წასულიყო სხვა ქვეყანაში, სადაც ვაჭრობით ბევრი ფული შეეძინა. გენუაში ორმოცის წლისა დაბრუნებულიყო და მას აქეთ ალარსად წასულა. ხშირად დაცინვის გილოთი იცოდა ლა-პარაკი; ხალხსაც ეჭვიანის თვალით უყურებდა. ისა და დედა-ჩემი ერთმანერთსა ჰგავდენ: ბიძა-ჩემიც ისეთივე გულ-ჩახვეული კაცი იყო, როგორც დედა-ჩემი; ორივემ ყველაფერი იცოდენ, მაგრამ არავისთან კი არაფერს იტყოდენ.

ბიძა-ჩემი ჩუმი იყო, მაგრამ როდესაც კი ლაპარაკს და-იწყობდა, დიდ-ხნობამდის არ გაათავებდა; იმის სიტყვები წყა-როსავით მომდინარობდენ; როდესაც ნახობდა რასმე, ფერჩხი-ლების კვნესას მოჰყვებოდა ხოლმე. ყველაზედ მეტად დედა-ჩემი უყვარდა, ხშირად ნახავდა ხოლმე მხოლოდ მაშინ, რო-

დესაც მამა-ჩემი შინ არ იყო. სიძე და ცოლის-ძმა ერთმანერთს დედი-ჩემის დაბადების დღეს შეხვდებოდენ ხოლმე. მაშინ ბიძა-ჩემი ჯოვანი სადილად ჩვენსა რჩებოდა და ბიძის-ჩემის დაბადების დღესაც ჩვენ ყველანი იმასთან ვიყავით ხოლმე სადილად.

მეორე დღეს სუფთად ჩავიცვი და წავედი ბიძა-ჩემთან.

ბიძა-ჩემიც, როგორც იმ დროის მომეტებული ნაწილი გენუის მოქალაქეთა, თავისთვის განმარტოებული იდგა და სცხოვრებდა მშვიდობიანად. იმის სახლი ერთს ვიწრო ტალახიანს ქუჩაზე იყო; წინ სხვა სახლი ჰქონდა ათვრებული და ცის მეტი არაფერი სჩანდა; უკანა თანჯრები კი ეზოში გადიქცერებოდენ. ოცის წლის წინად ბიძა-ჩემი რომ ამ სახლს ჰყიდულობდა, ეგონა ადვილად გაქირავებდა, რადგან დუქან-ბაზარზედ ახლო იყო, მაგრამ ანგარიშში მოსტყუვდა.

ბიძა-ჩემი მეორე ეტაჟში იდგა, დანარჩენ ოთახებს კი ქირით აძლევდა. იმის სადგომი ოთახები მაღალნი და ბნელნი იყვნენ. თეთრად გალესილს კედლებზედ აქა-იქ სურათები ეკიდა. ოთახებში ძველი მებელი ეწყო.

ძველებური ვენეციური სარკე, ერთი დუქინი ძველი სელი, ყვითელ-ხავერდით გადაკრული, დიდი კედლის საათი შეადგენდენ იმის სახლის მორთულობას. ხსენებულ ავეჯულობის გარდა ბიძა-ჩემი არაფერს არა ხმარობდა. ასე გასინჯეთ, ცეცხლსაც კი საჭირო არ სთვლიდა,—ჯან-მრთელობისათვის ცუდი არისო; და ერთად-ერთი ბუხარი, რომელიც იმის ოთახში იყო, დაეხშო. სიცივის დროს იგი დაიწყობდა ხოლმე ხელების შეშვნეტას და ამითი თბებოდა.

საჭმელსაც ბევრ-რიგს არ აკეთებინებდა. საუზმედ—ერთი ფინჯანი ყავა; მასუკან — წვენი, შემდეგ ხორცი ან თევზი,

სალათა, ხილი ან ყველი შეადგენდა იმის სადილს. ვახშმად—ცოტას რასმეს, ერბოთი მოხარშულსა სჯამდა და სხვა არაფერს. ამ წესს ბიძა-ჩემი არას დროს არ გადადიოდა, მაგრამ როდესაც სტუმრები ეწვეოდენ, რაც ძალიან იშვიათად მოხდებოდა ხოლმე, მაშინ კი კარგი დახვედრა იცოდა; ბედნიერ დღეებში, მაგალითად, თავის დაბადების დღეს, ბიძა-ჩემი ნამდვილ თავადურ სადილს მართავდა. საჭმელებიც უხვად მოჭქონდათ და სტოლიც სუფთად იყო ხოლმე გაშლილი.

ისე სწორე ყოფილხარ, როგორც ბანკირი, ფულის მიცემაში! შეჭყვირა ბიძა-ჩემმა ჯოვანიმ, და წამოდგა ხელის ჩამოსართმევლად.—აი, განაგრძო მან:—სამაგალითო ახალ-გაზდა კაცი. ორის საათის შესრულებას რამდენიმე წამი აკლია. მართლაც ბირჟის საათმა ორი დაჭკრა, როდესაც მან ლაპარაკი გაათავა.

— იმას ყურს ნუ უგდებ; სტუის დიდი ხნისაა;—აი ეს ჩემი ერთგული მეგობარი ერთს წამსაც არ იტყუებს,—და მან ამაყად შეხედა თავის კედლის საათს.—მართა, მართა! დაუყვირა თავის დედა-კაცს მაღალის ხმით:—ნუ აჩქარდები.

რამდენიმე წამის შემდეგ წვენი შემოიტანეს და ჩვენც დავსხედით სადილის საჭმელად.

ბიძა-ჩემს ჯოვანთან პირველად ვსჭამდი სადილს, და ეხლა კი დრო იყო მეთქვა იმისთვის ჩემი დიდი განზრახვა, მაგრამ ვერა ვბედავდი და ისე ვტოკავდი, თითქოს ნემსებზედ ვმჯდარვიყავი.

ჯერ პური ჭამე, სხვაზედ ნურაფერზედ ნუ იფიქრებ, მითხრა ბიძა-ჩემმა,—საქმეზედ ლაპარაკი ხილის ჭამის დროს დაგიწყეთ.

ბიძა-ჩემი ლაპარაკის გუნებაზედ და კარგ ქეიფზედ იყო.

სადილმა მხიარულად გაიარა. თავის დროზედ მოიტანეს ხილი და ყველი და მართას უბძანა, რომ ის ბოთლი მოეტანა, რომელიც სარდათვის მარცხენა კუთხეში იდგა. მართამ შესრულა ბძანება და გაიდა. ბიძა-ჩემმა გახსნა ბოთლი და დასხა ორი სტაქანი.

— ეს ლაკრიმა-კრისტია, შვილო, ნამდვილი ლაკრიმა-კრისტი. დაგლიოთ შენის განზრახვის შესრულებისათვის.

ესა სთქვა და სტაქანი დასცალა. მეც დავსცალე ჩემი სტაქანი.

— ეხლა საქმეს შევუდგეთ, მითხრა იმან:—მე ყურს დაგიგდებ.

მართლადაც ყური დაუგდო ჩემს ლაპარაკს ტრა მარტინოზედ, მოწამეობაზედ, ჩინეთზედ, იაპონიაზედ და სხვაზედ. როდესაც ბერების გამხდარი სახე ვუწერე, მაშინვე შეკვეთე, რომ ეს არათერად ეჯაშნიკა.

მე დიდ ხანს ვლაპარაკობდი, ბიძა-ჩემი ყურს მიგდებდა; მაგრამ როდესაც ლაპარაკს მოვრჩი, იმან კიდევ ავსო სტაქნები და მანიშნა დამელია. ოვითონაც დალია და მითხრა:

— თუმცა, ჩემო კარგო, შენი მოძღვარი სრულიად სხვა აზრისაა, მაგრამ ნება მომეცი, გითხრა, რომ ბერობის გარეთაც შეიძლება სულის ცხონება. მე წინააღმდეგი არა ვარ შენის ბერად შედგომისა, მაგრამ მსურს რომ შენ სხვა ბერების დასი ამოირჩიო და არა კაპუცინებისა.

— რადა? ვკითხე საჩქაროდ.

— იმად რომ კაპუცინები უწმინდურები არიან, სხვა-და-სხვა მწერი ოგვლთვის ბევრი ჭყავთ, მოიგო ბიძა-ჩემმა.

— ნუ თუ მართალს ამბობთ? ვუთხარი მე.

— ეს ნამდვილია. უსუფთაობისაგან, თუ იმისაგან, რომ ცა-

ნისამღესი საერთოდ აქვთ—ისინი ყოველთვის ჭუჭყიანები არიან. მათი ბინძურობა ანდაზადაც კი გაკეთდა.

მე დავიჯერე ბიძი-ჩემის სიტყვები, ამისთვის რომ სასუფთავე მეც ძალიან მიყვარდა. ამ დღიდგან კაპუცინებმა ჩემს თვალში ყოველივე თვისი დაკარგეს.

— რაც შემეხება მე, განაგრძო ბიძა-ჩემმა:—მე რომ შენს ადგილას ვიყო, ე. ი. მე რომ შენსავით ყმაწვილი ვიყო, მაშინ ბერად შედგომის მაგივრად, წავიდოდი და წარმართთა შორის სახარებას ვიქადაგებდი.

— ეჰ, ბიძა-ჩემო! შეკვეცილ მე:—მე სწორედ მაგისთანა ცხოვრებას ვნატრობ. განა მე თქვენთვის არ მიამბნია ფრა მარტინოზედ, წვალებაზედ და...

— და განა ის კი არ მითხარი, რომ შენ კაპუცინობა გინდოდა?

— დიალ, წამოვყარანტალე მე:—მაგრამ...

— კაპუცინებს საქადაგებლად არსად არა ჭგზავნიან. დიალ, ჩემო კარგო, თუ რისამე გაკეთება გვინდა, ნამდვილად უნდა ვიცოდეთ, რას ვაკეთებთ. ეხლა მითხარ რა უფრო გინდა იყო —კაპუცინი თუ მქადაგებელი? რომელს ამოირჩევ?

— რასაკვირველია, მქადაგებელი, მივუგე მე.

— კარგი და პატიოსანი, მითხრა ბიძა-ჩემმა,—და დაიწყო მქადაგებლის მოვალეობაზედ საუბარი,—ისეთის გრძნობით, რომ მეგონა ეს-ეს-არის მეტყვის—წამოდი ერთად წავიდეთ ავსტრიაში და ან ჩინეთში საქადაგებლადოო.

— თქვენ რას მირჩევთ, ბიძა-ჩემო? კკითხე მე, როდესაც ლაპარაკი გათავა.

— ი რას გირჩევ, შვილო. არავის არ შეუძლიან ოცდა-ოთხ საათში ისე მოამზადოს, რომ მოციქულობა შეიძლოს.

პირველად, საჭიროა რომ სამღთო-წერილი კარგად იცოდე. ამას გარდა სახარებას იტალიურს ენაზედ ხომ ვერ უქადაგებ. ამისათვის საჭიროა ჩინური ენაც იცოდე. მეორეც ესა, შენ ვერ შეგიძლიან მოისმინო ღვთის-მეტყველობის კურსი, ვიდრე ფილოსოფიის კურსს არ შესრულებ. აი გზა, რომელზედაც, ჩემის აზრით, შენ უნდა გაიარო, შესრულო ფილოსოფიის კურსი... უფრო ლოლიკას ადეგნე ყური, შენ ის გამოგადგება... და თუ, ფილოსოფიის კურსის გათავების შემდეგაც კიდევ გექნება მისიონერობის სურვილი, ძალიან კარგი! აქვე შეგიძლიან დაიწყო სამღთო-წერილის სწავლა; თუ ამასთანავე ჩინურს ენასაც ისწავლი, მაგას ხომ რალა ემჯობინება. მაგრამ, როგორც ვიცი ჩინური ენა ძალიან ძნელია; მაშასადამე მოთმინება უნდა იქონიო, შვილო. შენ ეხლა მეოთხეტეტე წელიწადში სდგეხარ; ვსთქვათ, ოც-და-ერთის წლისამ მიიღო მოწამობის გვირგვინი, ვგონებ ეს დროს დაკარგვა არ იქნება.

იქნება იმის უკანასკნელს სიტყვებში დაცინვაც იხატებოდა, მაგრამ, როდესაც შევატყვე რომ ბიძა-ჩემი არა ხუმრობდა, მაშინ კი დავიჯერე იმის სიტყვები.

მე კიდევ ერთი ეჭვი მქონდა. კაი თუ ორმა სტაქანმა ლაკრიმა-კრისტიმ ამიცრუა კაპუცინობაზედ გული მეთქი. იქნება იმ ორმა სტაქანმა კაპუცინობა ბნელად დამანახვა და ყველაფერი სხვა კი კარდის ფერად?

მაგრამ ბიძი-ჩემის ლაპარაკი ისე საფუძვლიანი მეჩვენა, რომ თავი დავანებე კაპუცინობას და დავიწყე მქადაგებლობაზედ ფიქრი.

ერთს დილას, მე და ბიძი-ჩემის საუბრის რამდენიმე დღის შემდეგ: მე ველაპარაკებოდი პატარა მოწაფეებს და ხელები

ჟკან მჭონდა დაწყობილი. ·ეცრად ვიღაცა ხელზედ ჯოხი დამკრა. ძალიან მეტკინა. ყოველივე ჩემი განზრახვა დამავიწყდა და ვეცი ჩემს მტერს, მინდოდა თმებში მივწდომოდი, მაგრამ.... ხელში მხოლოდ სემინარისტის დიდი პარიკი შემრჩა, იმის მოტიტვლებულ თავის დანახვაზედ მოწაფეებმა სასმინელი სიცილი და ხარხარი ასტეხეს.

იმან ჩემზედ წევა დაიწყო, მაგრამ მომაგონდა სტორცას მაგალითი, ამოვიღე დანა, დავდექი ამაყად და დაუყვირე: «მოდი, თუ თავი არ გენანება მეთქი!» მან ვერ გაბედა მოსვლა. ჩემს ამგვარ ქცევას ორი შედეგი ჰქონდა: მე განვთავისუფლდი იმის დევნისაგან და იმას კი დაარქვეს «გაუვლეფილი თავი». ეს სახელი ბოლომდის შერჩა.

თავი XV

სცენაზედ ჩემი ძმა ცეზარი გამოდის და პირველს ადგილს იჭერს. ოცნებანი ცელქობენ.

გავიდა რამდენიმე თვე და მე დავრწმუნდი, რომ მქადაგებლობა ჩემი საქმე არ იყო. ჩემის ძმის ცეზარის დაბრუნებამ სრულებით გამკურსა ამ სენისაგან.

მე ჯ ცეზარი თითქმის ტოლები ვიყავით ჯ ერთნაირი გემოვნებაც გვქონდა. ორნივ რომანტიულის მიდრეკილებისა ვიყავით და ერთნაირადვე გაგვიტაცებდა ხოლმე ყოველივე შემთხვევა. მალე ჩვენ ერთი ერთმანერთის განუყრელი გულითადი მეგობრები შევიქენით. ცეზარი ლამაზი ყმაწვილი იყო, ჩემზედ ცოტა დაბალი, მაგრამ აგებულებით კი მაგარი. ის იმითი მჯობ-

და, რომ უეცრად იცოდა მოქალაქური ცხოვრება, ვიდრე მე, მაგალითად, ის პაპიროზსაც სწევდა და ბილიარდზედაც თამაშობდა; ამაებში მე იმას ხმა-ამოუღებლად ვემორჩილებოდი. ჩაცმა-დახურვის გემოვნება კარგი ჰქონდა. განსაკუთრებით იმის ულესვეი მომწონდა, იმას კი ჩემი ტანისამოსი არ მოსწონდა და ჩემს შლიაპას ხომ სამასხარად ხდიდა.

ცეზარს ბევრი ამხანაგები ჰყავდა, რომელნიც ბევრს წიგნებს ამლევდენ და ისიც მე მაძლევდა ხოლმე: ჩვენ ხშირად ვკითხულობდით ერთად და ვითვისებდით იმ წიგნებში აღწერილ გმირთა ხასიათს. ერთხელ ცეზარმა თავის თავი ლენერლად წარმოიდგინა და მე და ალფრედი თავის ადიუტანტებად გავგხადა. მერე, იგი გაიტაცა ზღვით მოგზაურობამ, თვითონ ხომალდის კაპიტნად გახდა და მე ექიმობა მომცა; ეს წოდება ალფრედს დავუთმე ლ მე კი ლეიტენანტის ადგილი დავიჭირე. მთელის ქვეყნის გარშემო მოგზაურობა განვიზრახეთ: იმის მოგზაურობის საგნად სულ ჩინეთი და იაპონია იყო, დედაც ჩვენთან უნდა წამოსულიყო; იგი ჩვენის ოცნების განუყრელი თანამგზავრი იყო.

«მეფრინავის კაცის» შემთხვევები დიდის სიამოვნებით წავიკითხეთ და კითხვის დროს ცეზარს მოუვიდა აზრი, რომ თავისთვისაც ფრთები გაეკეთებინა,—თავის დღეში იქამდის ვერ მივაღწევთ, რომ დავფრინავდეთ, ვეუბნებოდი იმას. ვნახოთ! მოიგო მან დაბეჯითებით.—ჩვენ ვიყიდეთ ყველაფერი, რაც კი მოუნდებოდა ჩვენს საქმეს: თხლად დახერხილი ფიცრები, კარდონი, სსვა და სხვა ნაირი ქაღალდი, ძაფი, ლურსმები, წებო და სხვა; მაგრამ როდესაც ყველა ეს საქმეზედ მოვიხმარეთ, ისეთი არეულ-დარეულობა გამოგვიყიდა, რომ თვით გოდოლის აშენებაზედაც არ იქნებოდა ასეთი ამბავი.

ჩვენი საქმე წინ არ მიდიოდა მაგრამ ცეზარი მაინც თავს არ ანებებდა. ჩვენდა საბედნიეროდ, ერთმა შემთხვევამ დაანებებინა იმას თავი: მე და ჩემმა ძმამ მოვაგროვეთ ცოტა-ოდენი ფული. ამ ფულს ისე ვუფთხილდებოდით, როგორც ჩვენს საკუთარს თავს და ხან სად ვმალავდით, ხან სად, რომ რა არის, ქურდებს არ შეემჩნიათ. ერთხელ ჩვენ ეს ფული მიწაში ჩავფალით. მაგრამ, დახე უბედურებას, იმ ღამეს მოვიდა საშინელი წვიმა, გადარეცხა დედამიწა და ზოგი ჩვენი ფულიც თან წაიღო. მეორე დღეს ბევრი ვიხარეთ, მაგრამ რაღა გაგწყობოდა; უფულოდ რაღას ვიზამდით, ფრთების გაკეთებას თავი დავანებეთ.

ცეზარმა გამოართვა ერთს თავის ამხანაგს «ათას ერთი ღამე»; ჩვენ დღე და ღამე განუწყვეტლივ ვკითხულობდით ამ წიგნს. სულ ყალიფები, ვრიენტესები, ოქროს სასახლეები, ალმასები და სხვა ძვირფასი თვლები გველანდებოდა თვალებში. სხვაზედ ალარაფერზედ ვლაპარაკობდით; ჩვენი ცხოვრება სრულიად შეეთვისა ამ ფანტასტიკურს ქვეყანას და სინამდვილეს სიცრუისაგან ველარ ვარჩევდით. მე რაც შემეხება, გაგიტყდებით, რომ იმედი მქონდა ვიპოვიდი ქვეშეგნეთის გზას, სადაც ენახვადი მრავალს კვერცხის-ოდენა ალმასებს და მშვენიერს ვრიენტესას. მე ვრიენტესა უეჭველად უნდა მეპოვნა, რადგანაც ის ქალები, რომელთაც ცხოვრებაში შევხვდით, არ აკმაყოფილებდენ ჩემს ოცნებას. მე სულ ოქროს თმიანი მშვენიერი ქალები მელანდებოდა. მე ჯ ცეზარი სრულიად განვირჩოდით ერთმანეთისაგან. იმას ხშირად ნამდვილი მშვენიერი ქალები იტაცებდენ, ჩვენთვის კი, საუბედურად, ეს გრძნობა გაუგებარი იყო. საწყალი ალფრედ! იგი სრულიად მოკლებული იყო ოცნებას და თვალებგაჭყეტილი უგდებდა ყურს ჩვენს ლაპარაკს ვრიენტესებზედ და

ოქროს სასახლეებზედ.

ერთხელ მე ნამდვილად დავრწმუნდი, რომ ვიპოვე ქვეშკნეთის კარები, რაზედაც ჩვენ ასე ხშირად ვოცნებობდით. ერთხელ სეირნობის დროს ერთ ციხის ძირში დავსხედით. ამ ციხის გახეთქილი კედელი იზიდავდა ჩემს ყურადღებას. მე დავუწყე სინჯვა ამ გახეთქილ კედელს, რადგანაც მეგონა, რომ ქვეშკნეთის კარები ეს უნდა ყოფილიყო. ამ სინჯვის დროს ვიპოვე ბოთლი, რომელშიაც ორი მარგალიტი ეგდო. ცეზარსა და ალეგრედს მაშინვე დავუძახე. ცეზარის ოცნება ალეთო. იმან გვითხრა, რომ კიდევ გვეძებნა, რადგანაც, სადაც ეს მარგალიტები იყო, იქ სხვა რამეც იქნებაო, ვინ იცის რას ვიპოვითო! ჩვენ კიდევ დავიწყეთ ძებნა იქამდის, სინამ არ გავიგეთ, რომ აქ არათვერი ქვეშკნეთის გზა არ იყო. მაშინ ქალაქში დავბრუნდით და ჩვენი ნაპოვნი მარგალიტები ოქრო-მეწყედლს ვაჩვენეთ რომელნიც, საუბედუროდ, ყალბები გამოდგა. ამ ამბავმა ცოტა არ იყო, გული აგვიცრუა, თუმცა კი შემდეგშიაც მივდიოდით ხოლმე იმავე ციხესთან და იმის გარემოს ვათვალიერებდით.

ერთს სალამოს ჩვენ ვსტკბებოდით მშვენიერის მთვარის შუქით და გრილის ნიავით; ცეზარმა ჯერ პირობა ჩამოამართვა, იმის საიდუმლოება შემენახა და მერე გამიტყდა, რომ იგი ხანდისხან მიდიოდა თავის ამხანაგთან, რომელსაც მეც ვიცნობდი და რომლის პირდაპირაც სცხოვრობდა ახალ-გაზდა ქალი მშვენიერი, როგორც მთვარე. იგი გამოდიოდა ყოველ სალამოს ყვავილების მოსარწყავად და ცეზარი თავის ამხანაგის თანჯრიდამ უყურებდა ხოლმე მას. ის ქალი ცეზარს გაგიჟებით ჭყვარებოდა: «თუ გინდა», მითხრა ცეზარმა: «წამოამყე როდისმე ჩემს ამხანაგთან: შენც ნახე იგი, და მერე მითხარ, თუ როგორ

მოგეწონება.» მე სრულიადაც არა მქონდა იმის ნახვის სურვილი, მაგრამ რადგანაც ჩემს ძმას ძალიან უნდოდა, მეც იმიტომ დავთანხმე. ჩვენ დავდექით ფანჯარასთან და ველოდით მშვენიერების ღმერთას გამოსვლას.

არ ვიცი კი რადა და მე ჩემს თავს ჩემად ალარა ვგრძნობდი. მე მზად ვიყავი ყოველისფერი მიმეცა, ოღონდ კი ის ამ სალამოს არ გამოსულიყო. მართლადაც იმ ქალმა ისე დიდ ხანს დაიგვიანა, რომ მე ფანჯარას მოეშორდი და დავჯექი სელზედ, რომელიც ოთახის მეორე მხარეს იდგა. თითქმის იმავე წამს ცეზარმა დაბალის ხმით მითხრა: «აი გამოვიდა!» მე მინდოდა ადგომა, მაგრამ არ შემეძლო, თითქოს სელზედ ვიყავი დაგრეული; რალაცა გაუგებარმა ძალამ შემბოჭა. ხუთჯერ თუ ექვსჯერ მოვიხადე ბოდიში, მაგრამ ერთი-მეორეზედ უფრო ტუტუცური იყო. ჩემი ძმა და იმის ამხანაგი დამცინოდენ და მეუბნებოდენ, რომ გეშინიანო. «აი წავიდა!» ამ სიტყვებმა გამამხნევეს. მე მივედი ფანჯარასთან და ისე ვაჩვენე თავი, რომ ვითომ ძალიან მენანებოდა, თან კი მეშინოდა— ღმერთი არ გაუწყრეს და კიდევ არ გამოვიდეს მეთქი. ბოლოს ფანჯარას გავშორდი ლ ვუთხარი, რომ იმის მოლოდინი ტყუილია მეთქი. მაგრამ ამ დროს კიდევ გამოჩნდა, კიდევ წავიდა ლ კიდევ მოვიდა, მაგრამ ვერას ღონისძიებით ვერ ვაჯობე იმ დათვრეულ ძალას, რომელიც მე ჯაჭვს მიყრიდა იმ დროს, როდესაც მშვენიერება გამოჩნდებოდა ხოლმე.

შინ რომ წამოვედით, ცეზარი სულ თავის სიყვარულზედ მელაპარაკებოდა. მეტის-მეტის ალტაცებით კალმის დანით ამოიჭრა მარჯვენა ხელზედ პირველი ასო თავის გულის სტრფოს სახელისა—«ემელია.» მე ვთხოვე ჩემთვისაც მოეცა ნება ამომეჭრა ხელზედ იმის სტრფოს სახელის პირველი ასო. იმან

მოძცა ამის ნება და ჩვენ დანით ამოვიჭერით ხელებზედ ასო ე; შემდეგ მელანი წავუსვით და დავიდადეთ, რის შემდეგაც ასოდენარ გადაგვიგიდოდა. ამ დღიდამ ჩვენ სულ ემილიაზედ ვლაპარაკობდით, როგორც მხურვალე სიყვარულის საგანზედ. მე ჩემს თავს კარგად ვატყობდი, რომ შეყვარებული ვიყავი, მაგრამ ჩემი ძმა ისე აღტაცებული მელაპარაკებოდა იმაზედ, რომ ერთხელაც ვერ გავბედე შემესედნა იმ ქალისთვის, რომელსაც იგი თავის ყვავილებსა რწყავდა. ერთხელ ვუთხარი ჩემს ძმას: «ძალი ვუმლერეთ რამე მეთქი?» ცეზარმა ცოტათი სკრიპკაზედ დაკვრა იცოდა, მეც გიტარის აყოლებას ვსწავლობდი. ეს აზრი ყველას მოგვეწონა.

როდესაც რამდენიმე სიმღერა ზეპირად ვისწავლეთ, ჩვენ დავნიშნეთ ერთი საღამო ჩვენის განზრახვის შესასრულებლად. ეს საქმე ცოტა ძნელად გვეჩვენებოდა. მამა-ჩემს წესად ჰქონდა, რომ ცხრა საათზედ ყველანი სახლში უნდა ვყოფილიყავით და ვინც ვახშამზედ დაიგვიანებდა, იმას მამა-ჩემი ოჯახიდან წესის დამრღვევად სთვლიდა. ვახშმის შემდეგ კარებს იგი თავის ხელით ჩაკეტავდა; იმის ოთახი კარებთან ახლო იყო ლ თითქმის არ შეიძლებოდა კარების ისე გაღება, რომ არ გაეგო. მაგრამ რას არ მოახერხებს ახალ-გაზდა კაცი, მეტადრე თუ შეყვარებულიც არის? კარებს ზეთი ჩავუსხით, რომ არ დაეჭრიალა, ჩემი ძმა კიდევ დაგვპირდა, რომ ჩვენის გასვლის შემდეგ კარებს ის ჩაჩაკეტავდა, რის შემდეგაც განზრახვა შეგვიხრულდებოდა. მხოლოდ დილაზედ ადრე ჩვენი დაბრუნება შეუძლებელი იყო, ამისთვის რომ კარებს ვერ დავარახუნებდით და ვერც ღიას გავუშვებდით. ჩვენ წავედით და მშვენიერის მძინარე ქალის თვანჯარასთან ვიმღერეთ დასწავლილი სიმღერები. იმას ისე გულიანად ეძინა, თუ არ ვიცი ისე უგრძნო-

ბელი იყო, რომ ჩვენი სიმღერა ვერ გაიგო! ქუჩაში დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ ერთს სკამზედ ჩამოვსხედით. ღამე თითქოს დაუსრულებლად გვეჩვენა. ძილ-მორეულნი წავედით შინ და კიბეზედ დავდექით. ქუჩაში გამოსასვლელს კარებს იტალიაში მთელს ღამეს ღიას უშვებენ ხოლმე.—ჩვენ ამ კარებთან დავდექით და ვუცდიდით, როდესაც მოსამსახურე ეკატერინე დილით ადრე შინიდამ გამოვიდოდა.

ამისთანა დაბრკოლებამ მაინც ვერ წაგვართვა სურვილი ჩვენის განზრახვის გამეორებისა. მაგრამ მეორედ ისე კარგად ალარ მოგვივიდა, როგორც პირველად. მესამედ—დახე ბედნიერებას!—თანჯარა გაიღო და თეთრად რაღაცა გამოჩნდა: «ეს ის ქალი იყო!» გატაცებულმა დავიწყეთ სიმღერა; მშვენივრადაც ალვასრულებთ, მაგრამ ჩვენი ალტაცება გაგრილდა, როდესაც თავზედ მალლიდამ წყალი გადმოგვესხა და შლიაპა გამიფუჭა. ასე გათავდა ჩვენი პირველი სიყვარული. ამის შემდეგ, მე ის ქალი ალარ მინახავს, მხოლოდ ოცდა-ათის წლის შემდეგ კიდევ ვნახე ის ქალი, მაგრამ მშვენიერი წვრილ-წელა ჩვიდმეტის წლის ქალი, სქელ დედა-კაცად გადაქცეულიყო; თუმცა სახე ისევ სასიამოვნო ჰქონდა, მაგრამ ცოტა ჭკვარა კი გამორეოდა. აზრადაც არ მოსდიოდა, რომ იმ კაცს, რომელიც ესლა იმას ელაპარაკებოდა, იმის სახლის პირველი ასო ხელზედ ამოჭრილი ჰქონდა.

ამისთანა საქმეში გავატარეთ ორი წელიწადი. მე რომ სულ ამეწერა ჩემი ცხოვანი, რომელნიც ამ დროს განმავლობაში შევიძინე, ბევრი არაფერი საქებური იქნებოდა. მე ვისწავლე გიტარაზედ დაკვრა, ბილიარდზედ თამაშობა, პაპიროზის წევა (მარტო ღმერთმა უწყის, ამის სწავლა რა თვისად მიღირდა!) და ტანცაობა. მე ტანცაობა კარგად არ ვიცოდი. ერთხელ

ბალში, რაკი ჩემის თავის იმედი არა მქონდა, კუნჭულში დაკიმალე, რომ საცხენოდ არ გავეწვიეთ, მაგრამ ერთმა ახალგაზდა ქალმა მომაგნო და მითხოვა იმასთან მეცხენავნა. ამას იგი ბოლოს ძალიან ნანობდა: ორჯელ კალსის შემოვლის შემდეგ ისე ძალიან დავადგი თვეხი, რომ კინალამ გული არ შეუწუხდა. ჩემმა მოუხეშაობამ ისე გამაბრაზა, რომ დავიფიცე თავის დღეში ალარ მეცხენავნა—და კიდეც ალკასრულე ჩემი სიტყვა.

თუმცა გულ-აცრუებული კიყავი, მაგრამ ერთის თვის ბეჯითობის წყალობით ეგზამენებმა მშვენივრად ჩაიარა. ალტრედმაც, რომელიც ამ ერთ თვეში ჩემსავითვე ბეჯითობდა, ეგზამენი მშვენივრად დაიჭირა. ჩვენ ერთმანერთს უნდა დავშორებულიყავით. ალტრედი დათხოვნის შემდეგ თავის დედ-მამასთან წავიდა, რომელნიც ბიემონტის ერთს ქალაქში სცხოვრებდენ, მე კი მთელი ის დრო ქალაქში დედა-ჩემთან გავატარე. ცეზარმა კარგი ნადირობა და თოფის სროლა იცოდა და მეც მასწავლა. ძალიან შემიყვარდა ნადირობა და მთელი სამი თვე იმაში გავატარე.

სწავლის დაწყობის დროს, მამა-ჩემმა მითხრა, რომ ან კანონების შესწავლა და ან ექიმობა ამოერჩია. ადვოკატობა სრულიად არ მიზიდავდა, მაგრამ ექიმობაც გასაგონად მეჯავრებოდა. მამი-ჩემის სასიხარულოდ, მე მაინც ადვოკატობა ამოვირჩიე. რა კი თითონ ადვოკატი იყო, მეც ვუნდოდი ადვოკატად გამოვეყვანე. «ჩაეწერე უნივერსიტეტში, მითხრა იმან, და გაიგე კიდეც ყველაფერი, რაც კი საჭიროა სტუდენტობისთვის.» მეც გავუდექი უნივერსიტეტის გზას.

(შემდეგი იქნება)

ბერუას ჩაფიქრება

ე როგორ არი, ვერ მიეხვდი, როგორი განსჩენია?...
მიწა სხვისაა, ვქირაობ, შრომა კი—მარტო ჩემია...
როცა მღვლტობს მზე—წვიმა და მომიცდება ყანები,—
უფლის ნებაა, რა ვუყო, მე იმას ვეთაყვანები!...
მაგრამ, რომ ლალა მიწისა არ ასცილდება მთესველსა?..
—სად რა ვიშოვო, საბრალომ, ვინ მომაქვავებს ბედ-შავსა?..
ე შავი მიწა მაინც რომ სასყიდლად არა მქონოდა,
შავ სამარეშიც—რა ვიცი—მე რალა დამღონებდა?...

თ. რაფ. მრეულთაური.

ქართული ლიტერატურა

(წერილი პირველი)

ბრიგოლ ორბელიანი

ძველს ქართველ საზოგადოებაში გავრცელებული იყო აზრი: ვისაც არ შეუგნია რა არის მამულისათვის თავის გაწირვა, მას არ გაუგია რა არის კაცის ცხოვრება! ამ მარტივმა აზრმა ბევრჯერ გამოიყვანა საქართველო გამარჯვებული ფიცხელის ომიდან, ბევრჯერ დაიხსნა გაჭირვებიდან, გაუგდო საქართველოს ერს მთელს კავკასიაში ძ მცირე-აზიაში ხმა მამაცობისა, გულადობისა, სამშობლოს სიყვარულისა. ჩვენდა სამწუხაროდ, ვისაც კი საქართველოს ისტორია გადაუთვალიერებია, ვერ იტყვის, რომ ყოველს ისტორიის ყამს ზემო-ნათქვამ აზრს პირველი ადგილი სჭეროდეს ერის ცხოვრებაში. ხშირად მიძინებული აზრი წინამძღოლ საზოგადოებაში და ერთი და ორი მაგალითი არ არის ჩვენს ისტორიაში თვით უპირველეს პირებისაგან სამშობლოს ღალატი, ერის გადადგომა, კერძო პირთა სარგებლობის გამოკიდება, ფლიდობა, ავაზაკობა, მამულის გაყიდვა. მწარე მწუხარება უნდა გამოეარა ხოლმე საქართველოს, კიდრე ხელახლად გაიღვიძებდა საზოგადო აზრი, მოისპობოდა კერძო პირთა შუა შეფოთი, არეულობა, დამკვიდრდებოდა

ერთობა და წადილი სამშობლოს აღდგინებისა. «შინაური ჭირი მირჩევნიან გარეულს ლხინსაო!» ამბობდა ქართველი ამ გამოგზიზლების დროს და მზა იყო თავისი მწუხარება გადაეხდევინებინა სარტყელივით შემოერტყმულ მტრისათვის. მაშინ «გარეული ლხინი» მოელოდა იმ პირთა, რომელნიც მამულს გასცემდენ, ერს გადაუდგებოდენ, სარწმუნოებას შეიცვლიდენ, მტერს მხარს მისცემდენ და საქართველოს გასათელად გამოიღაშქრებდენ. ყოველი პატიოსანი პირი, ყოველი მამულის-შვილი ძველის საქართველოსი ებრძოდა ამ სნეულებას, ცდილობდა სამუდამოდ ბოლო მოელო სამშობლოს ბედის დამამცირებელ ჭირისათვის.—ერთი ამ ძველის პატიოსნების წარმომადგენელი იყო ახლად გარდაცვალებული პოეტი, გრიგოლ ორბელიანი.

სხვა მხრივ მრავალს ნაკლულევანებასა ვხედავთ ჩვენ გასულ საუკუნეებულ პოეტის საზოგადო ასპარეზზე მოღვაწეობაში. არც საჭიროდა ვრაცხამთ მიგმართოთ რიტორიკას, უხვ-სიტყვაობას იმის გამოსასტად, თუ როგორ გამოაკლდა კავკასიის საზოგადოებას გრ. ორბელიანი. დაუმალავად, პირდაპირ ვალვიარებთ —თუმცა იქნება ზოგმა საწყენადაც მიიღოს ჩვენი აზრი,— რომ პოეტის შრომა და ღვაწლი ერთი-ათასადაც რომ გადიჭცეს, მაშინაც ვერ დაისაკუთრებს საქართველოს დიდებას და მისი სიკვდილი ერს უკუნს სიბნელეს ვერ მოჰფენს. ორი-ათას წლოვან ერის ისტორიის წამოგიდება ცოტა მძიმე ტვირთი უნდა იყოს, თუ დამეთანხმებიან უდრეოდ გამოჩენილი რიტორები. არც ერთის პირის საოცლავში ჩასვენება,—დარწმუნებით ვამბობთ,—არას დროს არ იქნება საქართველოს დიდების გამოთხოვება. საქართველოს მრავალი გამოჩენილი შვილი ჰყოლია, მრავალთ შეუწირავთ თავიანთ ნიჭი და გეთილ-დღეობა საზოგადო წარმატებისათვის, მრავალთ დაუმსახურებიათ გეთი-

ლი სახელი, მაგრამ იმათ სიკვდილით უფრო გაძლიერებულა ერთგულის პრინციპის შეგნება, უფრო მკვიდრი ერთობა დამყარებულა. საქართველოს ბედი ისე მტკიცედ სდგას ნაციონალურ შეგნებაზე, რომ მისი შერყევა ერთის პირისაგან შეუსაძლოა. ერიგოლ ორბელიანი რაც უნდა მალალის ნიჭის კაცი ყოფილიყო, რაც უნდა დიდი ნალვაწი დაეტოვებინა საქართველოსათვის, მაინც მისი შრომა შეადგენდა მხოლოდ მცირედ ნაწილს ნაციონალურ სიმდიდრისას. ყოველ ამის გაგებაურიგო არ იქნება ბაგშურის თავ-მოყვარეობისათვის.

ასპარეზზე გამოსული პირი—თვალთ-მაქცი კი არ არის, რომელსაც შეეძლოს გამხმარ შტოს ფოთლებით შემოსილ ხედ გადაქცევა. იგი არც მოწყვეტილი ასოა, რომ როგორც უნდოდეს და საიდანაც უნდოდეს, იქიდან დაიწყოს შრომა საზოგადოებაში. მარტო ერთი პირი საზოგადოებას, ხალხს ცხოვრების ალმართზე ვერ აიყვანს. ვინც ასე ჰფიქრობს, იგი ამტკიცებს თავის გამოუცდელობას, თავის ბაგშვობას. საზოგადო საქმის რიგიანს გზაზე დაყენებისათვის საჭიროა დაკვირვება, შესწავლა იმ მიზეზებისა, რომელნიც საზოგადო საქმეს ხელს უწყობენ, ან აბრკოლებენ. ეს გარემოება საზოგადო საქმეს უკარგავს ვერძო ხასიათს და საზოგადო საკუთრებად ჰხდის. რაც ალხის ცხოვრებაზედ არის დამოკიდებული, იმას თავის დღეში ვერ დაედება პირადი ხასიათი. ჯერ არ არის მაგალითი რომ საზოგადო საერთო მოთხოვნილება მარტო ერთის მოლვაწეს შრომით დაკმაყოფილებულიყოს. ყოველს საზოგადო საქმის გამოკვლევაში პირველი ალაგი უჭირავს საზოგადოების თანაგრძნობას. უამისოდ არც ერთი საჭიროება არ ასრულებულა. რაც კი მარტო ერთის პირის ნაყოფია, იმას ერი გულ-გრილად დასცქერის ისტორიაში. მოწყალება, დაკარდნილის გა-

კითხვა სრულიად უაზრო და არა ვითარი ადგილი არ უჭირავს. შეიძლება ხვალ ისევ ჩამოერთვას ერს ის, რაც დღეს მიეცა. ცხოვრებაში, ხალხის შეგნებაში მხოლოდ იმას უჭირავს მტკიცედ ადგი, რაც არის შეძინებული შრომით, რაზედაც თითონ ხალხი, საზოგადოება ჩაფიქრებულა, რის მოპოებაც საჭიროდ დაუნახავს.

ეს პირობა საზოგადო საქმის დაარსების დროს უეჭველი მოთხოვნილებაა. ს

დათვსების დროს. სერთო მოთვიქრებს არავითარი წარმატება არ უნდა ეტყობოდეს, ან ერთ წერტილზედ უნდა ყოფილიყო შეჩერებული, რომ მთლად ხელ-ახლად განმეორება წარსულისა მოხერხდებოდეს. ისტორიაში ეს მდგომარეობა საზოგადოებისა წარმოუდგენელია. ყოველივე ხალხი ცხოვრებაში ცდილობს წინ-წარმატებას, მეცადინეობს მის ცხოვრების გაუმჯობესობას. ძალა-დაკარგული ხალხი, მოშორებული წინ-წარმატების სურვილს სასო-წარკვეთილი, უეჭველია ნელ-ნელა უკან მოჭყვება, დაშაშრავს, დაარღვევს თავის ცხოვრებას და ბოლოს სხვა ხალხის მონად შეიქნება: ხალხს, როგორც ცოცხალ არსებას, არ შეუძლიან შეუცვლელი მდგომარეობა მიიღოს. ხალხიც და მისი აზრიც თვითეულ ორგანიზმსავით იბადება, იზდება. არავის არ გაუგონია უცებ, ერთბაშად დაბადება საზოგადო აზრისა. აგრეთვე მოუმზადებელ ხალხს არა სჭერია ხანგრძლივად ადგი ისტორიაში. ხალხის ძალა ყველაზე უწინარეს იხატება სულიერ განვითარებაში, რომელიც გარშემო გონების თვალით აყურებინებს. ეს გონიერი მხედველობა არავის არ დაჭყოლია თავის ცხოვრების დასაწყისიდანვე, ან კი როგორ დაჭუებოდა? ყოველივე უცარი მოვლენა ცხოვრების მსვლელობას ეწინააღმდეგება. პირველი ადგი ხალხის სულიერს განვითარებაში საერთო აზრს უჭირავს და ვიდრე იგი მტკიცედ თესვს გაიდგამს ცხოვრებაში, ვიდრე ასაკში მოვა, მრავალ ვაი-ვაგლახს გამოივლის ხოლმე. მაგალითისათვის შორს ნუ წავალთ; ბევრს ჯერ კიდევ კარგად ახსოვს რამდენ რიგი წვალება გამოიარა გლეხების განთავისუფლებამ საქართველოში, ვიდრე აზრი განთავისუფლებისა მოტრიალდებოდა ხალხში. ბოლოს მარტო გადაურუებულები სთვლიდენ მას უსამართლობად.—

მოუფიქრებელმა ბასმა პოეტის გ. ორბელიანის დასთვ-

ლაკების დროს მოგვაგონა ეს რამდენიმე აზრი. ზოგიერთი მალალი ფრაზები, გრ. ორბელიანის მაქებელთაგან წარმოთქმული, ადვილად აგრძნობინებდენ მკითხველს, რომ თვით აკტორს არ ესმის პოეტი'ს მნიშვნელობა ქართულ ლიტერატურისთვის. ჯუმარიტის პოეტის ხმა არსად არა ყოფილა ხმად მღალადებელად უდაბნოში. საზოგადოდ პოეტი მარტო ხალხის მწუხარებაზედ ჩიკილში არ ატარებს თავის შრომას. ის უმეტესად ცდილობს თავის ნიჭით გაუღვიძოს საზოგადოებას სურვილი კაცის დამჩაგვრელ ძალის მოსასპობელად, ცდილობს მოჭიანოს სხვი სინათლისა, სიყვარულისა, გაუადვილოს მომავალ თაობას სიგეთის მომტანი გვალში ჩადგომა. ეს საზოგადო ცოცხალი მიმართულობა პოეტისა ხდის მის ხმას ხალხში საყვარელს, დაუვიწყარს, უკვდავს.

სულ სხვა სურათს წარმოადგენს პოეტის მდგომარეობა, როდესაც თავს შორს იჭერს ცხოვრებასთან, ან დამღერის უმნიშვნელო, გაუგებარის ლექსით. ამ გვარი პოეტი რალა თქმა უნდა, თავის ნიჭს სიკვდილითვე თან წაიღებს. ვინც ხალხს მხარში არ უდგია, არა შველის, არ უქარგავს მწუხარებას, მას ძნელად შეუძლიან ჩაბეჭდოს ხალხის გონებაში თავის სახელი. ვერათვერი ქება იყო გარდაცვალებულის პოეტისა საფლავში ჩასვენების დროს ეს სიტყვები: «ეს ის ყამი იყოო, როდესაც ჩვენი მზე, ჩვენი დიდება საფლავში ჩავასვენეთო!»

რა ალაგს დაიჭერენ გრ. ორბელიანის ლექსები ქართულ ლიტერატურაში,—ჯერ ძნელი სათქმელია. ჩვენ ვერა ვხედავთ საჭირო მასალებს მის ღირსების დასაფასებლად. როცა ქართულ ლიტერატურას გარემოება შეძლებას მისცემს შეადგროს ერთმანეთს, რა იყო წარსულში და რაც მოიპოვა მეცხრამეტე საუკუნეში საქართველომ, ან გამოაშკარდება, რა ყოფვა-

ში ალიზარდნენ საუკეთესო ქართველი პოეტები, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ალექ. ჭავჭავაძე, გიორგი ერისთავი და სხვანი, მაშინ, რასაკვირველია, უფრო ადვილად აღმოჩნდება რაც ღირსება აქვს ორბელიანის ნაწარმოებს. ერთი მხარე პოეტის ხასიათისა, რომელსაც ურიგო არ იქნება დააკვირდეს ჩვენი საზოგადოება, ესლაც ცხადად დაინახება. განსკენებულს ისეთი მაღალი ადგილი ეჭირა ცხოვრებაში, რომ სხვა უიმისო არათუ ქართულ ლიტერატორობას იკისრებდა, არამედ ეცდებოდა კიდეც დაეკიწყა ქართული ენაც და ზარმაც მოანასავით თავისი ნიჭი მიწაში ჩაეფლა. ამ გვარი მასინჯი მოკლენა იშვიათი არ არის ჩვენში. პოეტი ასცდა ამ გვარს მიმდინარეობას, დასძლია ნიჭმა, ადამიანობამ და თამამად ჩასდგა ლიტერატურულს წრეში.

დიდის უურადღებით გადავიკითხეთ, რაც კი ითქვა საფლავზე; პირფერობას რომ თავი დავანებოთ, უნდა ვაღიაროთ რომ უმეტესი ნაწილი წარმოთქმულისა პოეტის ღირსების დასახატავად უმნიშვნელო იყო. სიტყვის მოუხერხებლობამ ერის კაცისაგანაც და მოძღვრისაგანაც ხელახლად დაგვანახვა, რომ საქართველოში შემცირდა მეტყველობა, დაიკარგა ნიჭი საზოგადო აზრის მიხდომისა. გრიგ. ორბელიანს, მთელი საქართველო იცნობდა, მის ლექსებს ყოველს მხარეზე მღერობენ, პოეტის გაცნობა, მის ლექსების გამორება ხალხისათვის ისე საჭირო არ იყო, როგორც საჭირო იყო გაეგო,—ნუ თუ მარტო დაბეჭდილი ლექსები შეადგენენ პასუხს მთელის ჩვენის ცხოვრებისას.

II

ესტეტიკურის მხრით გ. ორბელიანის ლექსების გარჩევას თავს ვანებებთ. ესტეტიკური თეორია რაგორღაც არ უდ-

გებს ჩვენს ახალს პოეტებს. ვარწმუნებთ, ამ გვარი შესწავლა პოეზიისა მათ სახელს სხივს არ მოუმატებს. ვგრეთვე შეუნიშნავად დავტოვებთ ორბელიანის «უპირატესობას» რუსთაველთან, რომელიც «დროებამ» თავის შორს-მხედველის თვალით დაინახა. შოთა რუსთველის გავლენას ადვილად გრძნობს მკითხველი თითქმის ყოველს ჩვენს შესამჩნევ პოეტზე. «ვეფხის-ტყაოსნის» მდიდარი რითმა, მეტყველობა, სიტყვის სიმდიდრე, საკვირველად გამოკვეთილი ლექსი უმჩნევლად სდებს თავის ნიშანს მწერალს, რა კი იწყებს მის შესწავლას. ეს გავლენა სხვაზე უფრო ცხადად ეტყობა გ. ორბელიანს. ახალ თაობის პოეტებმა, თუ აშკარად არ გამოირკვიეს ცხოვრების ცვლილება, გულით მაინც იგრძნეს ესა, მაგრამ გ. ორბელიანი მთლად გაება წარსულში. რუსთაველის დროს საქართველოში პირველი ადგილი ეჭირა სასახლის ყოფა-ცხოვრებას. პოლიტიკური გონებრივი მოძრაობა მაშინ სასახლეში იშვებოდა. ამისათვის არც ერთ იმ დროების პოეტს არ შეეძლო თავი სასახლეზედ შორს დაეჭირა. გაშორება სასახლისა მწერლისათვის განდგომის, გაჩუმების ნიშანი იყო. ვისთვის უნდა ამოეღო ხმა, ვისთვის უნდა ეწერა, როდესაც რაც კი სულიერად ჭეთქამდა, სასახლეს ეხვია. ეს მიზეზი პოეტს-მწერალს იძულებულს ჭსდიდა არ დაეგიწყა ვინ ეხვია გარსა და მხოლოდ მოწიწებით გაებედა თავის ალღვებულ გულის-თქმის გამოცხადება.

ესლა მწერალს თუ არა სურს სხვა მხრიდამ გადმოვარდნილ ფრინველად ითვლებოდეს, უნდა დაუახლოვდეს ხალხს, გაიცნოს მისი ნაღვლი, გახდეს წარმომადგენელად მის «ჭმუნვისა და სიხარულისა», როგორც ამბობს პოეტი.

რუსთაველმა დიდი ღვაწლი დასდო საქართველოს თავის

პოეზიით. შვიდის საუკუნის განმავლობაში ათას ნაირ ერის დარბევასა და დატუვებაში, მან შეინახა «ვეფხის-ტყაოსნით» ლიტერატურული ენა. არც ერთ პირს არ მიუძღვის ჩვენს ისტორიაში ამ ნაირი დვაწლი ერის წინაშე. ორბელიანი კარგად ჭხედავდა ამას და გულ-მტკივნეული შეჭყურებდა რუსთველის ენის დამახინჯებას. მართლაც, ქართული ენა არც ერთ საუკუნეში არა ყოფილა ისე დამცირებული და დამახინჯებული, როგორც ჩვენს დროს, თუმცა ამაში ახალ თაობას არავითარი დანაშაულობა არა აქვს.

ხალხის ძმობა «ჯმუნვაში და სიხარულში» პოეტისათვის სასუნთქი ჭაერია. მაშ რისთვის «ღვიეის დიდის ღმერთის საკურთხეველში ცეცხლი», თუ იგი გაუდგება ცხოვრების ბორბალს განზე? ნუ თუ ყარყატ ყელს, «წყეულს კაკების ცელქობას», «შავს წარბ-წამწამს» უფრო ღრმად შეუძლიან აღელვოს პოეტის გული? ჩვენ არა გვჯერა ესა. კაკებზე ლოცვა, ლილინი, ცხოვრებიდგან გადგომა არავის არ მისცემს ძალას შეადგინოს შესანიშნავი საშვილი-შვილო ქმნილება.

ზოგს ეს განშორება პოეტის მალალ-ნიჭის ნიშნად მიაჩნია და განდგომაში ჭხედავენ მშვენიერ უმანკო, უგვდავის ფორმის დასაბამს. აღელვებული გული ვერაფერი მასწავლებელია მშვენიერებისა, იძახიან სულით დაგვალუღები. დიალ, ჯეშმარიტი სიტყვაა, აღელვებული პოეტი ვერ მოახერხებს მშვენიერ სურათის შედგენას, როდესაც ჩქარობს დაიმშვიდოს, დაიცხრობს გული, დაივიწყოს,—თავის დარდები სადმე ურიგო ბასითი, მაგრამ თუ მას გაუხდია სამბეჭდო ტრიბუნად, ეს სამბეჭდო უეჭველია დაანახვებს რა არის სიმშვენიერე და სად უნდა ეძებოს იგი მწერალმა. ფორმა და შინაარსი ორივ საჭიროა პოეტის ქმნულებისათვის, ორნივ ცხოვრების ნაყოფ-

ნი არიან. მარტო რიგზე აკინწლული, ერთი-ერთმანეთთან გაწყობილი სიტყვები არ შეადგენენ ქმნულების სიმშვენიერეს. როცა გულს არას ეუბნება სიტყვა, ანუ ლექსი, სულ ფუჭია, უმნიშვნელოა, რა გინდ ტკბილის ხმითაც უნდა თქვას ავტორმა. კაცს ალბად არ ესმის პოეზიის მნიშვნელობა ცხოვრებისათვის, არ იცის რა როლს თამაშობს იგი ხალხის შეგნებაში, არ გამოურკვევია არც თავის შეხედულობა, არც კაცის ბუნება, როდესაც პოეტს კალდებულსა ჰხდის იდგეს ცხოვრების გარეთ, თავის საკუთარი გული ჰქონდეს მადნად, საიდანაც უნდა იღებოდეს ტკბილი, დამამშვიდებელი ხმები, ანიღებულნი ნამდვილ საზოგადო გაწყობილებას. ფანტაზიის ლუღუნს რომ კაცისათვის თვალები არ აებ და ცხოვრება არ დაემალა, რასაკვირველია, კარგი იქნებოდა. ადამიანის გატაცება ნამდვილ მდგომარეობიდან, მაგრამ, საუბედუროდ, შეუბრალებელი ბუნების კანონი არავის არ აძლევს ნებას მიეცეს ულრეოდ განცხრომას, გატაცებას. ბანგით დამთვრალი მცირედ ხანს ჰხედავს სასიამოვნო სურათებს, მერმე კი უარესად ეჩაგრება გული. ფანტაზიით გატაცებულს კაცს ცხოვრება არ აძლევს დიდ-ხნობით ფრთის გაშლის ნებას; უცებ, მოულოდნელად, სცემს იგი თავის ზარს გატაცებულს და აწყვეტინებს თავის-თავს მცირედ-ხანს განცხრომის მიცემისთვის.

სულ სხვა შედეგი მოსდევს, როდესაც პოეტი, განდგომის მაგიერ, უპირდაპირდება ცხოვრებას, ყურს უგდებს ხალხის გულის ფეთქას, ჰხედავს მის ჭმუნვას, კვნესას, სიხარულს, გაშფოთებას, ხმარობს ლონისძიებას დააყენოს ჭეშმარიტ კვალზე ხალხის სულის მიდრეკილება, აქ პოეზიას, პოეტს არ გაჰყავს კაცი ცხოვრებიდამ, არ უჭრელებს თვალებს უქმის ფანტაზიის სურათებით, არამედ ცდილობს გაამხნეოს წარმატებისათვის.

ნამდვილი პოეტი არას დროს უდაბნოში არ ლაღადებს. იგი დასცქერის ხალხის გულს და იქიდან იღებს ძალას, მასალას თავის ქმნულებისათვის. რაც უფრო ღრმად ჩაიხედავს კაცის მღელვარე გულში, მით უფრო ძალა და მნიშვნელობა ემატება პოეტის ხმას. «რა ზედ-მიწევნით იცის კაცის ბუნება, რა სიმართლით ჭსატავს კაცის გრძნობას, რამდენჯერ გამოძიებია, გამოძიცდია მე თითონ ეგ მწუხარება, სიხარული... ისე დაგცქერი ამ დახატულ სურათს, როგორც ჩემის საკუთარ ცხოვრების ნაწყვეტს!» ხშირად ესმის ეს სიტყვები პოეტს თავის მკითხველისაგან. ჭეშმარიტი ქმნულება უხატავს შეუცვლელად საზოგადოებას, ხალხს მისვე მწუხარებას, სიხარულს, მაგრამ ვიდრე პოეტი მიეკარება, ეს გრძნობანი უსახელოდ, უფორმოდ მოძრაობენ ადამიანის ტკინში. პოეტი თავის დაკვირვებით, თავის ყურ-მახვილობით აძლევს მათ სახეს, ფორმას, არქმევს სახელს და მისი შინაარსი ყველას თავისი საკუთრება ჭგონია.

გრიგოლ ორბელიანის ლექსებში ჩვენ ვერა ვპოვებთ ამ კაცის გამამხნევებელ პოეზიასა. იგი ცრემლით სავსე თვალებით დასძახის საზოგადოებას: «რა არის კაცის სიცოცხლე თუ არა საქმე კეთილი!» პოეტი თითონვე იჭვნეულობს, რომ კაცის დანიშნულება ქვეყანაზე კეთილი საქმე იყოს. ისტორიას, საკუთარ გამოცდილებას ერთხელ და ორჯერ არ დაუნახვებია მისთვის, რომ კეთილი საქმე და კაცის ცხოვრება ძალიან იშვიათად მოთავსებულან ერთი-ერთმანერთან. პოეტის ალელვებული გული არა მშვიდდება თვით მშვენიერ დილის სურათითაც; ან კი როგორ უნდა დამშვიდდეს კაცის გული, როდესაც ამ დილას, «საკესეს-უთვალავის მშვენებით, კაცსა ჭსურს სისხლი კაცისა!»

წარსული ს აწმყო საქართველოსი თვალ-წინ ეხატება პოეტს. მას იპყრობენ შავი ფიქრები და სასოწარკვეთილებით იძახის:

«და რაც დაეცა,
ის წარიტაცა
შავმა ყორანმა, ვით უმწე მსხვერპლი.»

ჩვენ არა ვართ უანგარიშოდ მოყვარულნი ძველის დროებისა, მაგრამ გაუგებლობად ჩაეთვლება ვაცსა, რომ პოეტმა ამ წმინდა სიყვარულს სამშობლოსადმი პატივი არ სცეს.

III

გ. ორბელიანის ზნეობითის სურათის დასახატავად ძარტო დაბეჭდილ ლექსების გადაკითხვა საკმაო არ არის. ლიტერატურის მოღვაწე იძულებულია მოიცადოს, ვიდრე საიდანმე რაიმე მასალა აღმოჩნდებოდეს. ეს ვალი იმათ აწევთ, რომელნიც ლიტერატურასთან დაახლოებულნი არიან. იმედი გვაქვს, ვისაც ეს ვალი აწევს, ასრულებენ კიდეც. უამმასალოდ შეუძლებელია გამორკვევა იმ შავ-ბედისა, რომელიც საფლავის კარამდე პოეტს ძოსვენებას არ აძლევდა. ორბელიანის ლექსების წამკითხველი მხოლოდ ერთს მხარეს ჭვრეტს, ე. ი. პოეტის უანგარო სიყვარულს მამულისადმი. თითქმის პირველის ლექსიდან «ალრალის» მოკიდებული, უკანასკნელამდე—«პასუხი შვილებთან» პოეტი სწუხს, რომ ველარ ჭვრეტს მამულის სამსხურში გამოცდილ მოხუცებულთა, ერმათა წინაშე ივერიის ისტორიის მოამბეთ; დასტირის იმ წინა-პარეთ, რომელთაც თავიანთი სიცოცხლე შესწირეს მსხვერპლად თავიანთ მამულს. ბოლოს ეს როლი, როგორც უნდა იცოდეს მკითხველმა, თითონ მიიღო («სადღეგრძელო») და გაანცნო «შავ დღეში დაბადებულ შვილებს», რომელ მოიკლიდენ ხოლმე დაღისტნის მთებს, სპარ-

სეთს ივერიის ძველნი გმირნი. რა საჭირველება მოავლენებდა ხოლმე ქართველს კაცს კავკაზიის მთებსა,—ჩვენს საზოგადოებას უნდა ახსოვდეს./ საქართველოს არასოდეს არ გამოულია სელი სხვა ხალხის დასამონავებლად, დასაჩაგვრელად, თუ საჩხუბრად გამოწვეული არა ყოფილა. თავის საკუთარ შვილსავით შეითვისა გადმოსული სომხობა. არც კი ვისმე მოსდიოდა თვიქრად გაერჩია სომეხი ქართველისაგან მამულის წინაშე. მარდი, გაწვრთნილი, უშიშარი, გმირი, შეუპოვარი ქართველი ომში ებრძოდა გარეგან მტერს დაუზოგავად ვიდრე მის რაზმებს გასტეხდა, დაამარცხებდა; მერმე კი, დამარცხების შემდეგ, წაქცეულის აგლება, დატანჯვა მხეცობად, უგუნურობად, ვაჟ-კაცობის შემარცხვენ საქციელად მიაჩნდა.

დაუბეჭდავ ფაკტების მიყოლება, ჩვენს კითხვაზედ პასუხის ძებნა ლექსში: «პასუხი შვილებთან» დაუთვარველად გვათქმეინებს, რომ პოეტი ვერ მიმხვდარა, რომ ერთი ძველთაგან დარჩენილი საქართველოს სენი, დამამახინჯებელი ერისა იყო ბატონ-ყმობა. რა თვალით უყურებდა ორბელიანი ამ ერის სნეულებას,—ლექსი უპასუხოდ სტოვებს მკითხველს. ეს სამარცხვინო წესდება, ძალიან ღრმად სდებდა თავის ნიშანს ერსა და არ იქნებოდა არ აელელვებინა პოეტის გული, არ დაეთიქრებინა იმ ურიგობაზედ, რომლის მიზეზიც ბატონ-ყმობა იყო. როგორ ხმარობდა ორბელიანი თავის შესანიშნავ ნიჭს, ან საიდან მოელოდა მოსპობას ამ საუკუნოებით განწყობილ უსამართლოებისას,—ჩვენ არ ვიცით და გვგონია არც პასუხი შეიძლებოდეს, ვიდრე დაბეჭდილი არ იქნება მისი წერილები.—ის დრო, როდესაც ბატონ-ყმობა უთვლებდა, იყო დრო მუნჯობისა. ერთ-ნაირად დასცქეროდენ მიწას მეტყველიც და უენოც. იმ დროს ქართველი კაცი, რაც უნდა ჭკვია-

ნი ყოფილიყო, მისი ჭკუა სამშობლოსათვის, საერო სარგებლობისათვის, უნაყოფოდ გაიკლიდა. გარემოება არ აძლევდა შემთხვევას აღემაღლა ხმა, გამოეჩინა სიყვარული კაცობრიული. რაც სხვაგან შეადგენდა კაცის გამაპატიოსნებელს ღირსებას, ჩვენში იმასვე შეეძლო მაშინ დამნაშავედ, დაუდეგარ პირად გაეხადა. მარტო ერთი გზა იყო ბატონ-ყმობის დროს კაცისთვის წინ-გაშლილი და ეს გზა კი, რაც წინა სწევდა კაცსა, უფრო და უფრო ავიწყებდა სინიდისს, საზოგადო აზრს, მამულის სამსახურს. თავის-თავის სიკეთეზედ ზრუნვა ხელს უშლიდა მამულისათვის მზრუნველსა. ვინც მთელი თავისი სიცოცხლე სულ საკუთარ სიკეთეზედ და განსვენებაზედ არა ჭფიქრობდა, ის იძულებული იყო განშორებოდა საზოგადოებას, ტანჯულ ყოფილიყო ნ. ბარათაშვილსავით.

ბატონ-ყმობის სენს ზედ დაერთო ახალი უბედურება, რომელიც ნაკლებ არა რყვნიდა კაცის სიცოცხლეს. ბატონ-ყმობა წინადაც იყო, მაგრამ მრავალთ გვართ შეინახეს რამდენიმე საუკუნე თავი, ემსახურებოდენ მამულს დიდის სიყვარულით და გამოჩენით; ახალ მდგომარეობაში კი არ გაიარა ნახევარ საუკუნემ, რომ ეს გამოჩენილი გვარები დაეცნენ, დაფუტურებოდენ, სიტყვაც კი დაკარგეს. + წინად ძველს საქართველოში, ყოველს საზოგადოების წევრს ვალდებულებად ედო ეფიქრა, ელვაწა მამულის დასაცველად, მტრის მოსაგერებლად, მაშასადამე კაცს არ ეკარგებოდა საზოგადო მნიშვნელობა, ვერ ბოებდა დროს სამუდამო მიძინებისას; ყოველივე ეს, ცოტად თუ ბევრად, აცირებდა ბატონ-ყმობის სენის გავლენას. რაკი ქართველმა საზოგადოებამ ჩამოირთვა ტვირთი საერო სამსახურისა, გამოვიდა მამულის დაცველების რიგიდან, დაანება მამულზე ფიქრი სხვასა და თითონ გასწია «კანცელარიისკენ» მწერლად, სა-

და ცუდად ეოფნა, გაიძვერობა, ჯერძო პირს კაცობის სახელს აძლევდა და მუშობა, შრომა კი შეიქმნა მხვედრად დაბალის ხალხისა და ითვლებოდა ადამიანის დამამცირებელ საქმედ. ამ აზრის არევ-დარევამ სხვა მიზეზებზე ნაკლებად არ შეუწყო ხელი საზოგადოების დამცირებას.

IV

ყამთა წარიტაცეს საქართველოს ძველი ისტორია. რაც წინად კაცს ხალხში გმირობის ხმას გაუგდებდა, ახალს გარემოებაში, სულ ფუჭი, უვარგისი აღმოჩნდა. უწინდელი ზნეობა, ხასიათი, ეოფა-ქცევა, მიხვრა-მოხვრა სასაცილოდ გადაიქცა. ვინც ვერ მოასწრო, ვერ შეეფერა, ვერ მოექნა ახალ მოთხოვნილებას, იმას ნელ-ნელა ფეხ-ქვეშიდამ მიწა ეცლებოდა, დასაცემად ემზადებოდა. ქართველობის გამოცდილობა, სწავლა ალარ აძლევდა კაცს გზასა საზოგადო ასპარეზზე. მრავალნი პირნი ძველის დროის შემდეგ ბავშვებსავით გაშტერებულნი დარჩნენ, არ იცოდენ· საით მიელოთ თავი, რისთვის მოეკიდათ ხელი, რომ საკვდილამდის თავიანთ ჩვეულებრივი პატიოსნება არ დაეკარგათ. არსაიდან არა სჩანდა გზის მაჩვენებელი პირი, რომელსაც თავი გამოედო და დაბნეულ საზოგადოებისთვის, ეჩვენებინა გზა, აეხსნა მისთვის ახალის გარემოებით გამოწვეული კალდებულება. ვისაც კი «ფხა» ჭქონდა, ღონე მოსდევდა ცდილობდა სამშობლოს გაშორებას, თავის შვილას. უაზრონი შეიქმნენ მაშინ სიტყვები: «სამშობლო, ერი, კალდებულება.» პიროვნულმა ბედნიერებამ, თავ-მოყვარეობამ დასძლია საზოგადო კეთილ-დღეობას და შეიტანა ერში არეულობა, გაუტანე-

ლობა, შური, ჩივილის სიყვარული. «შენც წახდი, მეც წამახ-დინე» აი რა სიტყვებით გამოიხატებოდა ქართველის კაცის გარემოება ამ საუკუნის დასაწყისს.

ამ დროს დაიბადნენ ის «უმადლო შვილები», რო-მელთაც ჩვენი პოეტი უსაყვედურებს მათს ნაშრომ-ნაღვაწს. გასაკვირველია გ. ორბელიანის მიუხვედრელობა ახალ-თაობის მოქმედებისა. ახალ-თაობას თვიქრადაც არ მოსვლია დამცირება. ლაქის წასმა სახელოვან მამებისათვის. თუ რასმე ეკამათებო-და, ებრძოდა ახალი თაობა,—იგი ებრძოდა უმთავრესად ძვალ-რბილში გამჯდარ სენს ბატონ-ყმობისას. ამის გულისათვის ვერავინ ვერ ჩაიქოლებოდა. პირველი ხმა ბატონ-ყმობის გა-დაგდებაზე,—ყველას უნდა ახსოვდეს,—ახალ-თაობას ეკუთვნო-და. გვგონია, ბატონ-ყმობა ჭირი იყო და არა ძველის გმირე-ბის სასახელო საქმე. უსამართლობა, უპატიოსნება წინაპრებ-ზე ნაკლებად შვილებს არ ეკადრებოდათ. ქართველი ახალ-თაო-ბა, რაც კი ღონე შესწევდა, იმისთვის მოქმედობდა, რომ თვრთოდ გაელო კარი მამულისა და ერის სამსახურისათვის. ჭეშმარიტებისა და სიმართლისათვის მოცადინეთ არას დროს არ უვლიათ ტალახით ხელ-საკსეებს პატიოსნების მოსასპობე-ლად. ლექსი «პასუხი შვილებს» არის განუსაზღვრელი გლოვა. კარგად ვიცით, დაჩაგრულს გულს აღშფოთების დროს წა-მოსცდება ხოლმე მეტი სიტყვა, მაგრამ ურიგო არ იქნება ისიც იცოდეს საზოგადო მოღვაწემ, რომ სიტყვას საქვეყნოდ დანიშნულს, გათვითხილებით ხმარება უნდა.

ეჭველია, მკითხველი იკითხავს მიზეზს გრიგ. ორბე-ლიანის ახალ-თაობასთან შეტაკებისას. ეს კითხვა უმნიშვნე-ლო არ არის პოეტის ხასიათისა და იმ გარემოების გამო-სარკვევად, რომელიც მას გარს ეხვია. სამუდამო ბრძოლის

ერსებობით ძველსა და ახალს თაობას-შუა არ აიხსნება ერთ-ერთ-ერთ-შორის უკმაყოფილობა. ჩვენის აზრით, საკუთარნი ძიებანი შეტაკებისა მოიპოვება პოეტის აღზდაში, იმ გარემოებაში, რომელიც წინად სუფევდა: დრობა შეიცვალა, ამბობს თვით პოეტი და დროს შეცვლამ გააუქმა ძველი ჩვეულება, უნაყოფოდ გახადა ძველი შეჩვეული წესდებულებანი. საითკენაც ნაბიჯი ჭქნა კაცმა, ყველგან ახალის გარემოების შესაფერი სწავლა მოსთხოვეს. როგორც წყალ-წალებული ხავსს ეკიდებოდეს, ისე მამები, თავისით რომ ვერა გაიტანეს-რა, შვილების სწავლაზედ ზრუნვას შეუდგნენ, ცდილობდენ, ესენი მაინც ცხოვრების გარეთ არ დარჩენილიყვნენ. პოეტი ამ მდგომარეობაზედ ამბობს:

«გამეფდა სწავლა,
გაგელოთ შვილებს სახლი სიბრძნისა!»

რალა თქმა უნდა, ორბელიანი ამ სიბრძნის სახლიდან მოელოდა შვილთა გამოსვლას ჩვენის ქვეყნის გასაბედნიერებლად. რას მოელოდენ ჩვენი მამები ჩვენის სწავლიდან ? რა აუსრულდათ, მკითხველს უნდა კარგად ახსოვდეს პოეტის «პასუხიდან.» პოეტს რომ ჯეშმარიტი წარმოდგენა ექონიყო მაშინდელ სწავლაზედ, ისე გულ-დანდობილი არ იქნებოდა, იმდენს იმედს არ დასდებდა შვილების «სიბრძნის სახლში» სიარულსა. მამებს თვალი არ უჭრიდათ ეს საგანი კარგად გაერჩიათ და როცა ნასესს შედეგი ამ გაურჩევლობისა უნდოდათ, დამნაშავედ შვილები აღეარათ. მაშინდელი სკოლა ამართლებდა ბატონ-ყმობას, რომელიც უფლებდა ცხოვრებაში. «სწავლის მამებს» ვალად არ ედოთ,—ჩაეგონებინათ ქართველნი როგორ მოიგლიდენ ხოლმე დალისტნის მთებს, რა ღვაწლი დაედო თამარ მეფეს, რუსთაველს ქართველის ერისათვის. სწორე წარმოდგენა სკო-

ლის მეცნიერებისა ამის საკვირველებას აშკარად დაანახვებდა. სკოლას თავის საგანი ჰქონდა და ამ საგნის გადახვევა, გვერდზე აცილება, მასწავლებელისათვის შეუძლებელი იყო. დასაჯერებელი არ არის რომ ორბელიანი ამ უბრალო საქმეს ვერა ხედავდა. უფრო გვგონია, რომ პოლემიკის ძალამ გაიტაცა პოეტი. შემდეგში მასალების დაბეჭდა ალმოაჩენს ამას. კიდევ კარგია, რომ შვილებმა სრულიად უარი არა თქვეს მამებზედ, არ მიუბრუნდენ და არ უთხრეს: «ბატონებო, რაც ჩაგიბარებია, ის მოითხოვეთ; თუ თქვენ არ მოგწონთ ჩვენი ქართული ლაპარაკი და ენის სიგლახაკე გგონიათ ჩვენის არეულის ენით წერა, პატარა წიგნად იფიქრებდით ამაზედ, მოგვცემდით ენის მცოდნეთ, რომ ესწავლებინათ შვილებისთვის ძველის ენის სიმდიდრე.... აქ საყვედურს, უკვლოდ ნუ ვიქნებით, ხელი არა აქვს».

ძველმა საქართველოს სენმა ახლად გამართულ საზოგადოებაშიაც დედა-ალაგი დაიჭირა. თუმცა დრება გამოცვალა ქართველ ერს, მაგრამ ბატონ-ყმობა შეურყეველი დარჩა. არავინ არ იდო თავს მოეფიქრებინა ბატონ-ყმობის ბოლოს მოსალებლად, ძველის მამა-პაპურ უსამართლოების გასასწორებლად. საზოგადო აზრი ერისა სადღაც მიიმალა. თვით საზოგადება დაიყო სათითოდ და გადგა განზე; საითკენაც უნდა მიბრუნებულიყო კაცი, ყოველის მხრით მოანის გვნესა იწვეთებოდა ყურში. ეს გარემება სუფევდა, როცა ახალ-თაობა დაბრუნდა სწავლიდან, ამოიღო ხმა, ცხადად თუ მალვით, ბატონ-ყმობის უსამართლოებაზე. რასაკვირველია, მამები უწილონი არ იყვნენ ამ უსამართლოებაში; ახალ-გაზდობა სიტყვიერად არა ზოგავდა მათ, წიწკნიდა ნელ-ნელა მიძინებულს სხეულს, უნდოდა გამოელვიძებინა, გამოეყვანა საზოგადება

სინათლეზე, დაენახვებინა რა ურიგობა, უმეცრება აწვა მას თავზე, თუ მარტო ლუკმის ლეკვით არ უნდოდა დაკმაყოფილებულიყო. ვერავინ იტყვის, რომ ამ საქმეში შვილები მამებს არ სჯობნებოდენ. პირველი ვალი ახალგაზდობისა დაბრუნების შემდეგ იყო,—მიეხედ-მოეხედა, გაესინჯა ის გარემოება, რომელშიაც აპირებდა ცხოვრებას. ამ გასინჯვას, დათვალიერებას თვალი, სწავლა, ლონე უნდოდა. საცა ახალ-თაობამ რიგიანად ვერ შეასრულა თავისი ვალი, წაიჩოქა, იქ მამები უდანაშაულონი არ იყვნენ. მამები მხოლოდ იმაზედ ზრუნავდენ ძველს გზას არ ასცილებოდენ. ეს ძნელი შესასრულებელი არ იყო, დიდი ჭკუა და გონება არ უნდოდა გატეხილ გზაზე სიარულს, ცხოვრების გაყოლას. უფროსები ვერა ჭხედავდენ რა შედეგი მოჭქონდა მიჩვეულ ცხოვრებას. დიდი ხნის ოთხ-კედელ-შუა ცხოვრებით თვალის სინათლე მისუსტებული ჭქონდათ, ველარ შეემჩნიათ რა მომავალს უმზადებდენ მამულს. ისედაც დამცირებული იყო საქართველო და გზის შეუცვლელობა, მამების სურვილის აღსრულება, უეჭველია საძუდამოდ მოუღებდა მას ბოლოს. მართალია შვილები ცუდ დროს დაიბადნენ, მაგრამ ცუდმა დრომ იგინი მთლად ვერ დაიმორჩილა. რა დააშავეს შვილებმა? თავიანთ ძალას, ჭკუას დაუყენებლივ იმისთვის ხმარობდენ, რომ მოესპოთ ძველი უსამართლობა, ბატონ-ყმობა, ცდილობდენ ჩამოერთმიათ მათრახი, პალოჩობა ყმებზედ და გამოეყვანათ ქვეყანაზე კაცად. ნუ თუ ეს მოქმედება ამდაბლებდა სახელოვან მამებს?

ხალხის საუბედურად, ყოველ დაცემულ საზოგადოებას, სხვათა შორის, ერთი მავნებელი ჭირი სჭირს. საზოგადოების უკან დაწევა აგიწროებს აზრს; საცა წინად საერო, საზოგადო აზრი ტრიალებდა, იქ, უკან დაწევის შემდეგ, ცარიელი ალაგი

რჩება. ვიდრე ერს შეუძლიან თავისი მოთვიქრება თავისუფლად გამოიტანოს საზოგადო ასპარეზზე, ძნელია კაცი შესცდეს,— ვინ რას ელტვის, ვინ რას ემსახურება. რა კი ეს გამართულობა ეშლება აზრს, აზრიც ჭკვარგამს თავის კვალს საზოგადოებაში; დალაგებულის აზრის მაგიერ მოისმის წვრილ-წვრილი ნაწყვეტები, გარეგანის შეხედულობით უმნიშვნელონი. კაცი რომ ამ გარემოებაში გაიხლართოს და ვერ მიხვდეს სხვის თვიქრსა, დიდი გასაკვირველი არ არის. ჩვენს პოეტს, გრ. ორბელიანს, სწორედ ამ გვარი პირობები ეხვია გარეშემო.

მეცხრამეტე საუკუნემ მხოლოდ ერთი ასპარეზი დაუტოვა საქართველოს შვილს საქვეყნო სამსახურისათვის. ეს ასპარეზი სამოქალაქო და სამხედრო სამსახური იყო. ჩვენ კარგად ვიცით,—როგორ ემსახურებოდენ დიამბეგები, მაზრის უფროსები ერს. ვისაც არ უნდოდა მიეღო ამ სამსახურში მონაწილეობა, ვისაც არა სურდა გამხდარიყო ჩინოვნიკად, ის უნაყოფო ხედ უნდა გადაქცეულიყო: სოფელში გასვლა, მიწის მუშობა ბატონ-ყმობის დროს შეგნებულის კაცისათვის, სატანჯველს შეადგენდა. გარეგნილობა, დაწიოკება გლეხებისა ბატონებისაგან მუდმივი ამბავი გახლდათ. რა გული, ან ნერვები ექნებოდა მამულის მოყვარე შვილებს, რომ ამ საერთო ყრიამულში მოეყრუებინა თავი და შესდგომოდა სიმდიდრის შეძენებას.

ის თაობა, რომელსაც განსვენებული პოეტი უკმაყოფილოდ უყურებდა, ამ ურიგობას ებრძოდა და არა სახელოვან მამებს. სახელოვანი მამები ყველასთვის სასიამოვნო პირნი იყვნენ; მხოლოდ ახალ-გაზდობა ნებას არავის აძლევდა, რომ მათი ღვაწლი და საქმე გადაეტანათ მათ მიმდევრებს, რომელთ

დაუხედველობით და ანგარებით დამცირდა მამული. პოეტი ტკბილმა გულმა გაიტაცა და ამოათვარებინა მამა-პაპის სვეტს წინა-თაობის მაჯლაჯუნობა. რალა თქმა უნდა რომ მაჯლაჯუნების გამოკლება და სხვის სხიეის ჩამოცლა მათგან სასიამოვნო საქმე იყო. ახალ-თაობას, გვგონია, არა დაუშავებია-რა არც სამშობლოსა და არც პოეტის წინაშე, თუ ეს დათვრუულობა ალმოუჩენია.

მგ. ოსელიანი.

ხალხური ლექსი

(ქიზიყში გაგონილი ს. ილიაძისაგან)

მუცელამ ჯარი შეჭყარა ბირიქით დალისტნისა,
წამოვიდა და ჩამოხტა ჩვენი ალაზნის პირსა.
ეს ტარაბუა ბელადი რა მალლა-მალლა ხტისა,
თოფი უჭირავს სითთა, მუჭითა წამალ ჭურისა.
ლეკებსა ატყუანებდა,
მე რომ სიღნაღში აგიძღვე,
მეც ხომ დამიდებ წილსა,
ლამაზ-ლამაზი ქალები გავლალოთ ჭალის პირსა.
სიღნაღს მხარი აუქციეს,
ბოდბეში რომ ამოვიდნენ,
მზე იყო ამოსვლისა.
იქ წმინდა ნინო დაუხვდა დასცა თავისი რისხვა.
სამთავ ძმათ ბალაშვილებსა სწყალობდეთ პირი ღვთისა.
ალრე, ძმანო, წავიდეთ, გზა შევკრათ ჩვენი მტრისა,
ტყვეები დავაყრევინოთ, მადლი გვეყოფა ღვთისა.
ხმლითაც ხომ ბევრი დავხოცეთ, თოფითაც გადადისა;
შარმაზანი იქ მოგვიკლეს, შუქი დაბრუნდა მზისა,
ზურაბიც ხომ იქ მოგვიკლეს, თვალია ქიზიყისა;

ახლა მოტირის პაატა, მდუღარე ცრემლსა დვრისა:
«ვაი რა ქნელი ეოთვილა სიკვდილი ორი ძმისა!»
აგრე მოთვრინავს მუცელა, როგორც ნადირი ტყისა,
ალაზანზედ რომ ჩავიდა იქ დაიბანდა პირსა.

სკოლა და კომიტეტი.

«ფრიად კარგი მეცნიერი არ არის კარგი ბრძენი»
ლათინური ანდაზა.

ბევრსა სჩვევიან ჩვენში იმაზედ, რომ ჩვენის საზოგადოების მიერ დაფუძნებული სკოლები ცოტა გვაქვსო, სწავლა-განათლების საქმე კოჭლობსო, რადგან რიგიანი მასწავლებლები არა გვყავსო და სხვ. მაგრამ თუ საქმეს კარგად დავაკვირდით ჯ ჩვენის სკოლების ცუდის მდგომარეობის ნამდვილი მიზეზები გამოვიკვლიეთ,—მაშინ ცხადად დავინახავთ, რომ ზემო-ხსენებულ მიზეზებს გარდა, ბევრი იმისთანებია, რომელთაც ჩვენ თითქოს ვერ ვამჩნევთ, მაგრამ ამ კეთილის საქმის კეთილად განწყობის დამაბრკოლებელნი კი არიან.

ჩვენი სკოლები საზოგადოდ შეიძლება ორ რიგად გაიყოს: ა) სკოლები, რომელნიც მთავრობის მხედველობის ქვეშ არიან და ბ) სკოლები—თვითონ საზოგადოების მზრუნველობისა და ზედამხედველობის ქვეშ. პირველ ამათგანზე ჩვენ აქ მსჯელობა არ გვექმნება. საგანი ამ წერილისა იქნება მეორე რიგის შკოლები—რომელნიც პირ-და-პირ საზოგადოების ხელშია, რასაკვირველია, მისგან ამორჩეულ სანდო პირების მმართველობის ქვეშ.

ამ მმართველობათა (ესრედ წოდებულ კომიტეტებისა) და სკოლების შუა, საზოგადოდ, ისეთი დამოკიდებულებაა ჩვენში, რომ მათდა დაუკითხავად სკოლას ნება არ აქვს შემოიღოს ისეთი რამ ცვლილება, რომელიც მისის აზრით სწავლა-განათლების საქმეს სარგებლობას მოუტანს; ამ შემთხვევაში სკოლის ზედამხედველი ვალდებულია თავისი, ან მთელის პედა-

გოგოურ რჩევის აზრი შეიტანოს განსახილველად მმართველობაში, და, კარგია, თუ სკოლის და მისი აზრი ეთანხმებიან ერთმანერთს; ხშირად წინააღმდეგსაც ვხედავთ. ამ შემთხვევაში ამათ შორის განხეთქილება აუცილებელია. ცხადია, თუ რა მიმართულება უნდა მიიღოს იმ საქმემ, რომელიც ამ ორის ხელშია ჩავარდნილი. ტყუილად კი არ არის ნათქვამი «წისქვილის ქვები თუ ერთმანერთს არ ეხმარებოდენ, ცალმა, რაც უნდა იბრუნოს, ვერას დაფქვავსო». ამ მდგომარეობისაგან დაბადებული ვნება ეძლევა თვითონ სწავლა-განათლების საქმეს და მით ჩვენის მოზარდ თაობის გონებითს და ზნეობითს აღზრდას თავზე აწყდება. და ეს შედეგი წარმოსდგება იმ დამოკიდებულებისაგან, რომელიც სკოლებისა და მმართველობათა შორის სუფევს. პასუხის მგებელი, კი საზოგადოების წინაშე de facto ამ შემთხვევაში თვითონ სკოლაა, საიდამაც გამოდიან ამ საზოგადოების მომავალნი წევრნი. ცუდის თუ კარგის ხასიათის და მიმართულებისა არიან ამათი მოსწავლენი—პასუხის მგებელია სკოლა, სადაც ისინი იზრდებოდენ და რომელიც (სკოლა) იქამდის უნერგავს ჩვეულებასა და ხასიათს თავის მოსწავლეებს, რომ მომავალში არავითარის საშუალებით არ შეიძლება მისი აღმოფხვრა. ამან მაიძულა განვუზიარო მკითხველებს ჩემი აზრი ამ საქმის შესახებ და დავასახელო, ჩემის შეხედულობით, ის საშუალებანი, რომელნიც უფრო კეთილ ზედ-მოქმედებას იქონიებენ სკოლაზე და მის მოსწავლეებზე, ვიდრე ზოგიერთი ის წესები, რომელნიც, თუ არ დაამცირებენ ყოველსაგე კეთილ განზრახვას და სურვილს, სხვას არა-რას დაბადებენ მათში.

***

თუ გვინდა რომ სკოლამ გამოზარდოს, როგორც გონებით,

აგრეთვე სულით სრული ადამიანები, ამისათვის საჭიროა, ჩემის აზრით, ერთი უმთავრესი პირობათაგანი ასრულდეს: საზოგადოების სკოლის მართვა დამოკიდებული არ იყოს სხვა-და-სხვა მმართველობებზედ.

აი ეს საგანი გვაქვს აღებული ჩვენ მკითხველებთან სასაუბროდ, და თუ დავამტკიცეთ, რისიც თქმა გვინდა, ჩვენი წადილი ასრულებული იქნება.

დიდ საჭიროებას შეადგენს თვითონ სკოლისათვის, რომ ის თავისთავად, ინდივიდუალურად არსებობდეს და არავითარ დამოკიდებულებაში არ იყოს არავისგან; მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება სკოლა კარგსა და ბეჯით გზას დაადგეს. მმართველობა, რომლის ზედამხედველობის ქვეშაც სკოლა იმყოფება, უნდა აძლევდეს მხოლოდ მიმართულებას ამ საქმეს; მაგრამ, რადგანაც ეს მოვალეობა ბევრს სხვა-და-სხვა ნაირად ესმის, აქედან წარმოსდგება ის მიზეზები, რომელნიც აბრკოლებენ პირდაპირ ამ საქმის ამსრულებელთ. ჩემის აზრით, აი რა უნდა იყოს მმართველობის მოვალეობა: აირჩევდეს და დანიშნავდეს სანდო პირებს, რომელთაც შეეძლებათ საქმის წაყვანა, მისცემდეს მათ ყველა იმ საგნების პროგრამას, რომელნიც უნდა სკოლაში გაიარონ. ამასთანავე მმართველობამ მისცეს დარიგება («ინსტრუქციას») სკოლის მართვისა და ამ დარიგებაში უნდა იყოს გამოხატული, როგორც მასწავლებლების, აგრეთვე ზედამხედველის მოვალეობა. რაც შეეხება იმას, თუ რა საშუალებანი უნდა შემოიღონ, რომ მათდამი მინდობილ საქმეს სასურველი ბოლო ჰქონდეს—ეს განსაკუთრებით იმ პირებზედ უნდა იყოს დამოკიდებული, რომელთაც უკისრნიათ ამ საქმის ხელის მოკიდება, ე. ი. ზედამხედველსა და მის თანაშემწე—მასწავლებლებზედ. ვიმეორებ, თუ ამ საქმეში გაერევა

სხვა ვინმე, თუნდ მმართველობა თავის განსაკუთრებულ შეხედულობით და წინადადებით—ამ შემთხვევაში ეს კეთილი საქმე არა სასურველ მდგომარეობაში ჩავარდება. მმართველობას მოკვლეობად უნდა დარჩეს, რომ მან ცხადად აღნიშნოს დარიგებაში ის მიზანი, რომელსაც უნდა მიელტვოდეს სკოლა, მაგრამ თვითონ ამ მიზნის მისაღწევ საშუალების და წესების ამორჩევა კ შემოღება მარტო სკოლას მიენდოს საკუთრივ, მხოლოდ იმ პირობით, რომ პასუხის მგებელი ორივე შემთხვევაში—ცუდი იქნება, თუ კარგი,—იყოს თვითონ სკოლა.

კარგი იქნება საზოგადოების შეხედულობა სწავლა-განათლების საქმეზე შეიცვალოს სხვა რიგად, ჭქონდეს, როგორც ზეკით მოგახსენეთ, თავისუფალი და დამოუკიდებელი მსჯელობა იმათ ხელში, ვისთვისაც საზოგადოებას ჩაუბარებია იგი, მაგრამ პასუხის მგებელნი დარჩნენ ესენივე; ამით ესენი უფრო დაუახლოვდებიან საქმეს და ეცოდინებათ თუ როდის და რა საქმისათვის ვინ რა პასუხის მგებელი იქნება.

ვინ არ იცის, როგორ ძნელია სწავლა-განათლების საქმე და რამდენი უბედურება მოსდევს მას, თუ მისი კეთილ-მსჯელობა შეარჩრა რაიმე დაბრკოლებამ? და თუ ეს უკანასკნელი თავიდამვე არ მოისპო ძირი ნად—მაშინ ამ საქმის ჭარმონიული მსჯელობა შეჩერებული იქნება. საზოგადოება, რაკი ჭხედავს ამ გვარს მდგომარეობას, რასაკვირველია, ამის დამნაშავესაც ეძიებს და დაუფოვნებლივ ჭპოულობს მათ: მისის აზრით, სკოლის ზედამხედველი და მისი თანაშემწე-მასწავლებელნი ყოველთვის პასუხის-მგებელნი არიან. კარგი და პატიოსანი, მაგრამ ვინ დაგვარწმუნებს, რომ ამ დანაშაულობაში მარტო იმათ ჭქონდათ მონაწილეობა და არა სხვების მეოხებით ჩაიდინეს იგი? ვინ იტყვის, რომ ისინი არა ჭსცდილობდენ თავიდამ

აეშორებინათ საზოგადოებისაგან მათდამი მინდობილ კეთილ-საქმისათვის ცუდი მდგომარეობა? ამასთანავე, ვინ იტყვის, რომ ამ საქმის დამღუპველი ხშირად არ არის ის დამოკიდებულება, რომელიც სკოლებსა და მათ გამგებელთ შორის არსებობს? ეს უკანასკნელნი კი თავიანთ ოლიმპიის სიმაღლიდამ ლორნეტ-ტოებით გადმოსძახიან თავის ქვეშევრდომებს, რომ არამცა და არამც არ გაჭბედოთ, თუ ჩვენ არ მოგვწონს, რომელიმე სა-შუალებისა და წესის შემოღებანო. თუ ეს ასეა, ცხადია, რომ ამ გვარი სკოლები მარტო საცვალ ადგილებად გადაიქცევიან, სა-დაც დღეს ერთია მასწავლებელი და ხვალ მეორე, «დღეს ალია წავიდა, ხვალ მუსია მოვა» და ამ ჩვეულებას ხომ ფერად მაგნებელი ზედ-გავლენა აქვს ჩვენ საზოგადოების სკოლაზე! უპატიოსნესი მიზანი კი სკოლისა—გონებით და ზნეობით ად-ზრდა — მიუღწეველი რჩება...

რადგანაც საჭიროა, რომ ზემოხსენებულ სკოლა ინდივიდუალურად ჭეცხოვრობდეს, ამისათვის საჭიროა, რასაკვირველია, ამ საქმის შესაფერი მცოდნე სანდო პირებიც—ზედამხედველი და მისი თანა-შემწე-მასწავლებელნი. ამ გვარი პირები ჩვენში ეხლა, დრეს შე-საფერად, ღვთით, საკმაოდ მოიპოვებიან ჯ კიდევაც ადგანან ამ საქმეს, მხოლოდ... ფერთა მოკვეცილები. ვგონებ დრო არის შინაურულ ადამის ხნის წესებს და ჩვეულებებს გადავსდგეთ და შემოვიღოთ ისეთნი, რომელნიც უფრო სასურველ სარგებლო-ბას მოგვიტანენ. თუ ჩვენის ჭკუით ვერ შემოგვიღია საჭირო წესები, ისეთები მაინც გადმოვიღოთ, რომელნიც უფრო მი-უდგება ჩვენს ნიადაგს და უფრო მალეც მოგვცემს კეთილ ნა-ყოფს. ვიკმაროთ, რაც დღემდის მივსდევდით შინაურულ სა-ზოგადო გაცვეთილ ჩვეულებებს, თორემ ცუდი იქნება, რომ «ერთმანერთის ბაძვით, სახლი ნაგვით აგვევსოს!»

***

ეხლა გავარჩიოთ ისა, თუ როგორნი უნდა იყვნენ თვითონ საზოგადოების სკოლასთან დაახლოებულნი პირნი, ე. ი. მასწავლებელნი და საზოგადოდ ალმზრდელები, რომ მათ თავიანთი საქმე წაიყვანონ კერისა და მოთხოვნილებისამებრ.

ამის პასუხი, პირველის შეხედულობით, ყველასთვის ცხადია, მაგრამ ჩვენ მაინც მივსცემთ ჩვენს თავს ნებას მოკლედ განვსაზღვროთ აქ ამათი მოვალეობა, როგორც მშობლებისა, აგრეთვე მოზარდ თაობის წინაშე.

აუცილებელ თვისებებს ამათთვის უნდა შეადგენდეს შემდეგი: ესენი არ უნდა იყვნენ მოჯამაგირენი, ე. ი. თავის შრომას არ უნდა ათვასებდენ ფულით. არის ზოგიერთი ისეთი მოვალეობა, რომელიც იქამდის კეთილშობილური და პატიოსნურია, რომ ფულისათვის იმის თავის-თავზე მიღება ყოვლად შეუძლებელია; თუ ეს ესე არ არის, მაშინ ამის მომქმედი ამ მოვალეობის ალსრულების ღირსი არ ყოფილა: ეს მოვალეობა არის, ჩემის აზრით, ალმზრდელისა ან მასწავლებლის მოვალეობა, რომელიც ჩინებულად გამოუხატა საზოგადოებას თავის იდეალურს პედაგოგიურს თხზულებებში მეთვრამეტე საუკუნის დიდმა და სახელოვანმა მეცნიერმა ჟან ჟაკ რუსომ, რომელიც ამბობს ერთ ადგილას: «ალმზრდელის მოვალეობა მაღალია!... იგი უნდა იყოს ან მამა, ანუ კაცზედ უფრო მეტი, რომ შეჰქმნას კაცი....» «ალმზდელმა თითქმის უნდა შეაერთოს თავისი არსება თავის ნოორჩ მოსწავლესთან, ცოტა ხნობით მაინც უნდა გახდეს ისეთივე, როგორიც არის მისი მოწაფე, შეიქმნეს მისი ამხანაგი.» ამ სიტყვებს, მგონი, არ სჭირია განმარტება.

ამის შემდეგ ცხადია, თუ ამ გვარ პირების ხელში იქნება

სკოლის საქმე, როგორ საჭირო ამითი დამოუკიდებლობა გისგანაც უნდა იყოს. აქ უთუოდ ისეთი წყობილობა მიეცემა საქმეს, რომელიც პირდაპირ საჭირო ზედ-მოქმედებას იქონიებს მთელ სკოლაზედ, როგორც გონებით, აგრეთვე ზნეობით აღზდაშიაც. მიეცემათ თუ არა «გზა-თვალთა» სკოლის მართვაში, ე. ი. ემაწვილების გონებით ს ზნეობით განვითარებაში, ამასთანავე მათ ექმნებათ საშუალება დაიცვან თავის ინტერესები, ე. ი. სკოლის კეთილ-განწყობილობა, რასაკვირველია, ურთიერთ შორის და შეერთებულის პასუხის გებით «წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წინაშე.

ან. ლულაძე.

შინაური მიმოხილვა

წლევანდელი საზოგადო კრება თბილისის სათავად-აზნაურო ბანკისა—კამათობის საგანი—ანგარიში ბანკისა 1882 წლისა—შენიშვნა კრების წევრისა—რევიზია—კამმისია კამიტეტისა თუ ცალკე—განაჩენი—კანდიტატური ერთისა—ჭორის შედეგი—უცოდინარობა—მნიშვნელობა კრებისა—ცოდნა უნდა—ორში ერთი—ჩვენი რწმენა და იარაღი—ამაოდ ხსენება ახალ-თაობის სახელისა—ახალი განკარგულება მიწათ-მფლობელთა კრედიტის შესახებ.—ძველის რედაქტორის გამოთხოვების გამო.

წლევანდელი კრება ბანკისა მეტად ღირს-საგონები კრება იყო. აქამდე ჩვენი კრება ბანკისა, თუ აშფოთდებოდა და აიმღვრეოდა რაზედმე, მიზეზი მარტო არჩევანი იყო ხოლმე. სხვაზედ კი, მაგალითებრ, თვითონ ბანკის საქმეთა მიმდინარეობის აგ-კარგიანობაზედ თითქმის ხმასაც არ იღებდენ. ამ მხრით ბანკის კრება უჩუმრად და მშვიდობიანად ჩაივლიდა ხოლმე. წელს კი კრებამ თვითონ ბანკის საქმეებს მიაქცია ყურადღება, საღაპარაკო საგნად იგი საქმეები გახადა და კარგად თუ აკად გულ-მოდგინედ მოეკიდა თვითონ საქმის ვითარებასა.

კამათობის საგნად შეიქმნა შარშანდელის წლის ანგარიში. თუმცა ამ საგანზედ ბევრი რამ ითქვა ბევრთაგან, მაგრამ ყოველის თქმულის მოხსენება აქ მეტია, იმიტომ-რომ ის თქმული თვითონ კრებისათვისაც მეტი იყო და რო არ თქმულიყო, უფრო სამჯობინარი იქნებოდა. ჩვენ ვეცდებით, რამოდენადაც შეგიძლებთ, აქ მოგიხსენიოთ მარტო უმთავრესი მდინარეობა

ვზრისა და საუბარისა იმისთანა საგანზედ, რომელნიც ყურადღების ღირსნი არიან. სხვას კი, ესე იგი, წარა-მარა ლაპარაკს თავს დაგანებებთ, რადგანაც ძნელია ამ გვარ ლაპარაკიდამ კაცმა საყურადღებო რამ გამოსწუროს.

კრებას მოხსენდა ანგარიში 1882 წლისა. ამასთანავე მოხსენდა ზედამხედველის კამიტეტის განაჩენი, რომელშიაც ეწერა, რომ კამიტეტმა ეს ანგარიში განიხილა, ყოველითური შეამოწმა, ყოველი ქონება ბანკისა ნასა მთლად და ჯეროვანად შენახული და ამიტომაც წესდების 86 მუხლის ძალით დამტკიცა და საცნობელად წარუდგინა კრებასა. კრებამ, კარგა ხნის ბასის შემდეგ მასზედ თუ კის ეკუთვნის ანგარიშის დამტკიცება, კამიტეტს, თუ კრებას,—გადაწყვიტა: მიიღოს საცნობელად 1882 წლის ბანკის ანგარიში, შემოწმებული და დამტკიცებული ზედამხედველის კამიტეტისაგან. ამ განაჩენამდე და მას შემდეგ ერთი დიდი კამათობა ასტყდა. რაკი მოხსენდა კრებას ანგარიში 1882 წლისა, ერთმა წევრმა კრებისამ შეეტანა ბანკის მოქმედებას სამი ნაკლულევანება. პირველი ნაკლულევანება ორატორის სიტყვით, ის იყო, რომ ბანკს დარჩენია ოთხი ქალაქის მამული, რადგანაც ძვირად მიუღია კირაოდ და იმ ოცასად ველარ გაუყიდნია. ამ ასლების გამო ბანკი ზარალს მოელოდებოდა 17,000 მანათის და ზარალის დასაფარავად ეგ ფული 1882 წლის მოგებიდამ გადუდვიათ. მეორე ნაკლულოვანება ის იყო, ორატორის სიტყვით, რომ ბანკის მმართველობას სოფლის მამულები მეტად იეფად უფასებია. რად უფლებით ჩვენი მამულებიო? ფასი კი სწორედ გამოიყვანონ ღირებულობისამებრ და თუ უნდათ ესხი ნაკლები მისცენ. მესამე ნაკლულოვანება ის იყო, ორატორის სიტყვით, რომ ჩვენის კირაგნობის ფურცლების ფასმა ძალიან დაიწია ლ

ამისი მიზეზი იქნება თვითონ ბანკის მოქმედება იყოსო. ესე ყოველი იმისთანა მძიმე საგნებია, რომ რევიზია დაენიშნოთ გამოსაძიებლად ყოველ ამისა, ძალიან კარგი იქნებაო და თვითონ რევიზია მივანდოთ კომისიასაო. მმართველობა და ზედამხედველი კომიტეტი თანახმა იყო რევიზიისა. შედგა განჩენი მასზედ თუ რა და რა საგანი მიენდოს კომისიას გამოსაძიებლად. ხოლო როცა საქმე მიგვრდა მასზედ თუ რა გვარს კომისიას მიენდოს ეს გამოსაძიებელი საქმე, მაშინ ასტყდა გაცხარებული ბაასი. კრების წევრი იძახდა ცალკე კომისია უნდა ვიარჩიოთო, მმართველობა ბანკისა და ზედა-მხედველი კომიტეტი ამბობდენ, რომ ცალკე კომისია არ ეშესაბამება არც საქმის ვითარებასა, არც წესდებასა. თვითონ ზედა-მხედველს კომიტეტს აქვს მინიჭებული კანონით რევიზიის მოხდენის უფლება და არა ერთხელაც მოუხდენია რევიზია. თუ ეხლა კიდევ საჭიროდ ხედავთ რევიზიას, ცალკე კომისიის არჩევა რად გინდათო. ორში ერთი, ან კომიტეტს ენდობით, ან არ ენდობითო. თუ ენდობით, თვითონ კომიტეტს მიანდეთ გამოიძიოსო ყოველივე ის, რის სურვილიცა გაქვთ და თუ არ ენდობით, ეგ სხვა არისო, კომიტეტი სამსახურიდამ უნდა გადადგესო. მოპირდაპირეთ ბევრი სთქვეს,—თქვენზედ ეჭვი არავის გულშიაც არ გაუტარებიაო და თუ ვითხოვთ ცალკე კომისიას, იმიტომაო რომ ეგრე მკაცრად კრებისაგან ბანკის საქმეების გაჩხრეკა ჩვენის ბანკის სახელს და კრედიტს გაუძლიერებსო. ამის წინააღმდეგ უთხრეს, რომ საზოგადო კრება უმთავრესი ორგანოა ბანკის მმართველობისაო, იგია უმთავრესი მცველი იმ წესისა და კანონისაო, რომელთზედაც დამყარებულია კრედიტიო. ცალკე კომისიის არჩევა, მაშინ, როდესაც კანონით დაწესებული კომისია, ზედამხედველის კომიტეტის სახელით, უკვე არსებობს, კანონის დარ-

ლვევა იქნება და მაგას ეგ უმთავრესი ორღანო ბანკის მმართველობისა ნუ ინდომებსო, თორემა ამით არამც თუ ჩვენის ბანკის საქმე გაკეთდება, არამედ წასდებაო. ვიდრე ზედა-მხედველი კომიტეტი არსებობს და გადაუნებული არ არის, რევიზიის უფლება მას ეკუთვნის და ყოველი ცალკე კომისია მის უფლების დარღვევად ჩაითვლებაო. მოითხოვეს კენჭი. ცალკე კომისიის მომხრეთ ჩსთქვეს, რომ კენჭი რა საჭიროა, საქმე უკვე გადწყვეტილია და ხელმეორედ გადასწყვეტად რად გვიხდითო. ატყდა ახლა ამაზედ ბასი გადწყვეტილია, თუ არა. ზოგნი იძახდნენ გადწყვეტილია, ზოგნი ამბობდენ არაო. მოიტანეს კენჭის ყუთი. ერთ მხარეს დაწერეს ზედა-მხედველი კომიტეტი, მეორეს მხარეს ცალკე კომისია. აშკარაა, თუ გრებს ეს საქმე გადწყვეტილად მიღებული ჩქონდა, კენჭის-ყრაში გამოცხადდებოდა. 80 კენჭი ზედა-მხედველს კომიტეტს გამოუვიდა და 26 ცალკე კომისიას.

დიდი არეულობა მოახდინა ერთის კანდიდატურამ მმართველობის წევრობაზედ. ალმოჩნდა, რომ შარშანდელს გრებას იგი ამოერჩია შეცდომით წევრად ზედა-მხედველის კომიტეტისა, შეცდომით, ვამბობთ, იმიტომ-რომ იგი ბანკის წევრად არ არის დღეს აქამომდე შერიცხული და კანონით თუ არ ბანკის წევრს სხვას არ შეუძლიან ბანკში რაიმე თანამდებობაზედ ამოერჩეულ იქმნას. ერთმა წევრმა მმართველობისამ ჩსთქვა, რომ თუმცა მართალია, იგი წევრი არ არის და კანონით მარტო ბანკის წევრს შეუძლიან კენჭი იყაროს, მაგრამ არის წინანდელთა გრებათაგან დადგენილი წესი, რომლის ძალითაც ყოველს თავადს თუ აზნაურს თბილისის გუბერნიისას, რომელსაც კი სოფლის მამული აქვს, ნება აქვს ყოველს ქამს გახდეს ბანკის წევრად. ამისათვის მარტო თხოვნა უნდა შეიტა-

ნას ზედა-მხედველ კომიტეტში და წარადგინოს თუნდა რამოდენასაც კომიტეტი შეაწერს მისგან განთავისუფლებულთა გლეხთა რიცხვთა მიხედვით და თუ ყმები არა ჰყოლია, ქონებისა და შეძლებისამებრ. ამ წესით სწორედ წინა დღეს მიღებულ იქმნა წევრად თ. ლევან ჩერქეზიშვილი. არ ვიცით, ზოგს რად ეგონათ უკანონობად, რომ იგიც ამ წესით მიღებულ ყოფილიყო.

სხვა შესანიშნავი არა ყოფილა-რა წლევანდელ კრებაში. ჩვენც მარტო ამ ორ საგანს მივაქციეთ ყურადღება იმიტომ-რომ მარტო ამ ორმა საგანმა აყაყანა ჩვენი საზოგადოება, როგორც კრების დროს, ისე კრების შემდეგაც. რასაკვირველია, როგორც რევიზიისა, ისეც შეცდომით კომიტეტში ამორჩეულ წევრის თანაბაზედ, ბევრი სხვა-და-სხვა ეპიზოდები მოხდა, ბევრი სხვა-და-სხვა მართებული და უმართებულო სიტყვა ითქვა, მაგრამ ჩვენ ამაებს ყველას თავი დავანებეთ, რადგანაც ყოველივე იგი არც თქმათა ღირს და არც სასმენლად. სხვამ რაც უნდა თქვას, ჩვენ კი ამას ვიტყვით, რომ კრების გონიერმა გადაწყვეტილებამ რევიზიის და ანგარიშის თანაბაზედ ჩვენი ბანკი დიდ განსაცდელისაგან დაიხსნა. რომ ეს სიტყვა უსაბუთო არ არის, ამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ შემდეგს ამბავსა. 4-ს მაისს ბანკის მმართველობას მოუვიდა პეტერბურგიდამ შემდეგი ტელეგრამმა: «დღეს იბეჭდება ცნობა, რომ თქვენმა კრებამ წლის ანგარიში ურა-ყო და ცალკე სარევიზიო კომისია დანიშნა. მალე პასუხი. გირავნობის თურცლების თვისმა დაიწია.»

ვიდრე ზედა-მხედველი კომიტეტი ამის პასუხს შეამზადებდა, მოვიდა მეორე ტელეგრამმა: «პასუხის დაგვიანება გვაკვირვებს. ჩქარა პასუხი.» აბა იფიქრეთ, რა საქმე დაემართებოდა

ჩვენს ბანკს, რომ ეგ ჭორი გამართლებულიყო, ეს იგი, ის რომ მითამ კრებამ ყარ-ნყო ბანკის ხნგარიში და ცალკე სარეკვიზიტო კამისია დანიშნა. ნუ თუ რომელთაც ეს შეცდომა არ აქმნევინეს კრებას, გასაგიცხნი არიან? ნუ თუ მართლა გრძნობა სიმართლისა, გეთილ-სინდისიანობა, გეთილ-გონიერება აქამდის თვალ-ებმულია ჩვენში, რომ ჩვენი ავი და კარგი ალარ გაგვიგებია? ნუ თუ ესლა ისევ ის რევიზია არ შეიძლება მოხდეს, რომელსაც ითხოულობდენ ზოგიერთნი? ხომ ნება აქვთ მიცემული კრებისაგან მოიწვიონ რევიზიისათვის, ვინც უნდათ. ვინ უშლით, მოიწვიონ თვითონ ისინი, ვიზედაც იული ძიუნდობათ ცალკე რევიზიის მოახრეთა. განსხვავება მარტო იმაშია, რომ ესლა ყოველივე ეს კანონიერი და წესიერი იქნება ლ ცალკე კამისია კი უკანონო იქნებოდა. უკანონოდ ქცევას ამისთანა საქმეში, როგორც ბანკია, ის შედეგი მოსდევს, რაც ტელეგრამამ ბეტერბურგიდამ გვაცნობა და ამაზედ ურეკიცა. ბანკის სულთა-მდგმელი ბირჟაა. ბირჟა კიდევ მეტად ყურ-მასვილია ლ მგრძნობიერი, ამიტომაც უსაბუთოდ აბილაბილება ბანკის მოქმედების თაობაზედ, უსაბუთოდ გაკვნწლა, წინ-დაუხედავად ლაბარაკი თუ არ გვაკვნებს, არას გვარგებს და იქნება ყოველ ამან, თუ არ დავიშალეთ, ეს ერთად-ერთი საქმე, საცა ჩვენვე ვართ ჩვენივე ბატონები, ხელიდამ გამოგვაცალოს.

ჩვენდა საუბედურად, ამ კრებაში ერთმა დიდად დასალონებელმა თვისებამ უადგილო თავ-მოწონებისამ, მეტიჩარობისამ ლ თავ-მოყვარეობისამ გამოიჩინა თავი. ყოველი, ვისაც კი ენის ძვრა შეუძლიან, ვალად ჭსადოდა თავის-თავს ეთქვა რამე ბანკის თაობაზედ. ის კი არ იცოდენ, რომ ვისაც ბანკის საქმე არ ესმის, ის თუ არ წაახდენს საქმეს, სხვას არას გააკეთებს. აკი ვამბობთ, ერთი ალალ-ბედად წამოსროდენილი სიტყვა უმეტ-

რებისა, თუნდაც კარგის განზრახვითაც წარმოიდინარი; ასეთს ხიოვათს მოახვევს თავზედ ბანგსა, რომ მერე ძნელადღა ეშველოს. ბანგი, ნამეტნავად იმ საფუძველზედ ამოუკანილი როგორც ჩვენი საადგილ-მამულო ბანგებია, მარტო ჩვენზედ კი არ არის დამოკიდებული. ათასი სხვა-და-სხვა დამოკიდებულება აქვს იმისთანა კარეშოებასთან და ხალხთან, რომელნიც არც ჩვენ ხელთ არიან არც ჩვენ გვეშველებარებიან. ის კარეშოებანი და ის ხალხნი, მაგალითებრ, მსყიდველნი ჩვენის გირავნობის ფურცლებისა, მეტად ძალე დაიტყობენ ხოლმე ყოველ-გვარს წინ-დაუსედავს სიტყვას და მოქმედებას ბანგის შესახებ. თუ ბანგი ამათს ბატიებს და ნდობას დაჭკარგავს, ფეხსაც ველარ გასძრავს, —ისე შეიკვრის ხ შედგება. ეს ბატიები ხ ნდობა სხვათა შორის მთელს გამგეობაზედ არის დამყარებული. თუ უმთავრესმა ორღანომ ამ გამგეობისამ, როგორც, მაგალითებრ, საზოგადოკრებაა ბანგისა, ქვეყანას თავი უცოდინარად აჩვენა, თუ წარმარა ლაბარაგით სახელი გაითქვა, თუ შენიშვნა რომელსამე თავის ქვემდებარე ორღანოს ბანგის გამგეობისას საფუძვლიანი და საბუთიანი არ მისცა, თუ საგანს საბაასოს და საბჭოს ცნობიერად არ მოეკიდა, მაშინ ქვეყანამ, რომელზედაც დამოკიდებულია ბედი ხ უბედობა ბანგისა, რა უნდა თქვას? მარტო იმას იტყვის, რომ «მე ამისთანა წარმარად ჩხაკანა საზოგადოებას თუალს ვერ ვანდობ.» გირავნობის ფურცელი რა არის? სხვა არათერი გარდა იმისა, რომ თამასუქია ბანგისა, ქვეყანაში გასული ნადღის თუალის საშოგრად. აბა ჩვენ თვითონ ვითვიქროთ: რა თვისი უნდა ჭქონდეს თამასუქს იმისთანა კაცისას, თუ საზოგადოებისას, რომელსაც თავ-ბედისა არა გაეგება-რა.

ეს კარგად უნდა ახსოვდეთ მათ, ვისაც ენა წინ უსწრობს ცოდნასა. ჩვენ ამითი იმისი თქმა კი არ გვინდა, ვითომც ბან-

ვის საქმე ისეთი დიდი და მძიმე რამ იყოს, რომ მარტო «რჩეულთა ამა ქვეყნისათა» შეეძლოთ მისი შესწავლა და სხვას არავის. მაგ საქმეს ყველა ადვილად შეისწავლის, თუ მოინდომებს. ჩვენ მარტო ამის თქმა გვინდა, რომ ვისაც საქმეზედ ლაპარაკი ჭსწყურს, ჯერ თვითონ საქმე უნდა შეისწავლოს. აქ ცარიელი მჭევრ-მეტყველობა, თუნდა საქმის ჩიყვარულითაც თერთასსხმული, არათერში გამოსადეგია. მაგისთანა მჭევრ-მეტყველობა მარტო ყეფა იქნება და არა საბუთიანი სიტყვა, საქმის წამმართებელი და გამასწორებელი. ყეფა—როგორც მოგეხსენებათ—ვერათერი მომწვევია და მომზიდველი ჯერედიტისა. ეგ ჯერედიტს ისე გაათხობს, როგორც მართალი ყეფა თოხილს და ყურ-აცქვეტილს ნადირსა.

ორში ერთი: ან ჩვენი ბანკები მაგნებელნი არიან ჩვენთვის, ან მარგებელნი. თუ პირველია, უნდა გავაუქმოთ და თუ მეორე, ყოველივე ჩვენი ძალ-ღონე უნდა ვიხმაროთ მის წარსაძლებლად და წარსამართებლად. ჩვენის თვალით, ჩვენი ბანკები, რა მხრითაც უნდა გასინჯოთ, გამოსადეგნი არიან ჩვენის ქვეყნისათვის. ამაზედ ჩვენ ბევრჯერ გვილაპარაკნია და აქ ამის განმეორება მეტი იქნება. თუ კოჭლობენ რაშიმე, ეგ თვითონ ბანკების ბრალი არ არის ისე, როგორც წინ-დაუხედავობას და განუსჯელობას ჭვრნია. უმთავრესი და არსებითი ნაკლულოვანება ბანკისა საზოგადოდ იმ საზოგადო სისტემის ბრალია, რომელიც ალიარებულია და რომელს გარეთაც არსებობა ბანკისა აკრძალულია. ამ საგანზედ სიტყვის გაბმა შეუძლებელია. ვტოვებთ ამას და კიდევ იმას მივუბრუნდებით, რომ ჩვენი გულითადი რწმენა ის არის, რომ ჩვენი ბანკები დიდად გამოსადეგნი არიან ჩვენის ქვეყნისათვის. ამისათვის არა ღირს არ დავზოგავთ, რომ მათი კეთილ-დღეობა დავიცვათ და ყოველ-

საკვე იერიშს წინ დაუხედავობისას, განუსჯელობისას წინ ფარ-ხმლით დაგხვდეო. რასაკვირველია, ჭეშმარიტი და ცილი—ეგ უკვდ-რისი ირაღი სულტისა და უკვდრისის კაცის—ჩვენი ირაღი არ იქნება სიმაძის სიმბიელზედ და არც უმართებულად სსენ-ებს ჩვენის ძალვირდაბირისა. ჩვენს თავს არ ვაკვდრებთ ადამია-ნის სიბიდისი—ეგ უძვირფასესი ზნეობით განძი ადამიანისა—საქარულად გავიხადოთ. ადამიანის განძრახვის შესაბლავად იმისთანა საუბარს არ ვიხმარებთ, რომელშიაც იგულისხმება კარ-გიც და აგიც ადამიანის სურვილისა და რომლის მარტო აგ-ხმარეს ჩვიდებს ხოლმე სელს უძლურება და საბრიყვე ადამიანის შესაძწიგვლოვანად მაშინ, როდესაც საბუთში მეორე მსარეც არის; მაშინ, როდესაც საბუთიდამ მეორე დასკვნის გამოყვანაც შე-იძლება სასარგებლოდ ადამიანის განძრახვისა. ეს პირველი ან-ბანი ზნეობისა და ადამიანობისა შერყეულია ჩვენში და ჩვენდა საძწუხარად, შერყეულია ახალ-თაობის სახელითა, ესე იგი, იმ თაობის სახელითა, რომელზედაც დამყარებულია ჩვენის ზნეო-ბის ამაღლების იმედი, ჩვენის განგარგების სასოება. ჩვენ კარ-გად ვიცით, რომ ამ დანაშაულობაში ნამდვილი და ჭეშმარიტი ახალი თაობა არათვის შეაშია და მით უფრო ვწუხვართ, რომ მის წმინდა სახელს ასე ამოდ და მოურიდებლად ამ უკვდრის ქვეშ იხსენებენ. მორეს, მორეს ახალ-თაობისაგან ის, ვინც ადამიანის პირველობებს, ადამიანის სიბიდისს ფეხ-ქვეშ სათელავ მჩვენათა ხდის. რა არის მთელი პროგრესი კაცობრიობისა, თუ არ ის, რომ ადამიანის პირველობა, ადამიანის სიბიდისი, ყოფა-ცხოვრება უსაბუთოდ, უსაფუძვლოდ არავისაგან ხელ-შე-ხებულ არ იყოს, არავისაგან შემწიგვლულ, შეგინებულ და შე-გაწრილებულ. რაც გინდა ჩვთქვით, როგორც გინდა მოიქცით, ოღონდ ახალ-თაობის წმინდა სახელს ნუ მოჭმეთ უკვდრისს

ქცევასა, უკადრისს სიტყვასა. ახალი თაობა სხვა არის, სხვა ნუგეშია, სხვა იმედია. ყველა ჩხავახა ახალ-თაობა არ არის. ახალი თაობა გონიერებაა, ახალი თაობა ვაჟკაცობაა, ახალი თაობა ცოდნაა, მეცნიერებაა, ახალი თაობა საქმეა და არა ჩხავილი. ვისაც ყოველივე ეს ცოტად თუ ბევრად არა სჭირს, შორს მანძილს ვერ გაირბენს მარტო იმითი, რომ ბაღდადები აკეთოს,—ახალი თაობის კაცი ვარო. ვინც ეგრე გულმოდგინედ ყვირის ახალი კაცი ვარო, რატომ არა ვკითხულობთ, რით არის ახალი? ნუ თუ მარტო იმითი, რომ სხვაზედ ჩაინ მოვიდა? რატომ არა ვკითხულობთ რა მოიტანა ახალი? ანა კვალში ჩაუდექით ყოველ მყვირალს, ახალ-თაობის კაცი ვარო, გაუსინჯეთ სიტყვა და მოქმედება, იკითხეთ იმ სიტყვასა და მოქმედებაში ახალი რა არის და მაშინ ნახავთ, რომ იგი ახალის თაობის ბერეკაა და არა ახალი თაობის კაცი. თვითონაც რომ ჭკვითხოთ, ანა ახალო კაცო, ახალი რა მოიტანეო, დამიჯერეთ, ოფლში გასწურავთ მაგ კითხვით და ძნელს საქმეს დააყენებთ. ახალი კაცი ძლიერია თავისის აზრით, მსჯელობით, ცოდნით. იგი თავ-მოსაწონებელს სახელს ახალის კაცისას მარტოლა და ახალის აზრით, მსჯელობით და ცოდნით დაიმსახურებს და არა ყვირილით და თვიცით, ლმერთმანი, ახალი კაცი ვარო.

ვისაც დაუკარგავს თავისის თავის ვაჟკაცი და მაშასადამე სხვისაც—უკადრისობა იმისათვის უცილო იარაღად დაგვითმია. დეე იმან ამ გზაზედ და ამ იარაღით იბრძოლოს. დრო, კეთილ-გონიერება და თვითონ ახალი თაობა თავის უტყუარს განაჩენს თავის დროზედ იტყვის.

სიტყვამ მოიტანა და ჩვენის შინაურის მიმოხილვის სა-

განს გადავცდით. ჩვენ სხვათა შორის დღეს ერთი თერიად შესანიშნავი ⁄ საყურადღებო ამბავი გვსურდა გვეცნობებინა ჩვენის მკითხველისათვის. ამ ბოლოს დროს რუსეთის გაზეთებმა მოიტანეს ამბავი, რომ სახელმწიფო ბანკმა დააწესა ახალი წესი, რომლის ძალითაც მიწათ-მფლობელთ უთავდებო ვექსილით კრედიტი უნდა გაეხსნასო სახელმწიფო ბანკსა და მის განყოფილებაში. ა ის წესები: 1) სახელმწიფო ბანკსა, მის კანტორებს და განყოფილებათ ეძლევათ ნება თუული ასესხონ ზომიერის სარგებლით მიწათ-მფლობელებს ეგრედ წოდებულ სოლოვექსილის ჩამორთმევით, ესე იგი, იმისთანა ვექსილით, რომელზედაც მარტო მსესხებელსა აქვს ხელი მოწერილი. ვადა სესხისა 9 თთვეა დადებული. სესხის დაბრუნების საიმედოდ მსესხებლის მამულს დაედება ყადაღა (запрещеніе) იმ ზომისა, რა ზომისაც დანიშნული ექმნება კრედიტი. 2) რომ ხელი მოუმართონ სახელმწიფო ბანკს, მის კანტორებს და განყოფილებათ მასში თუ ვის რამოდენა კრედიტი დაენიშნოს, მოწვეულ იქმნებიან ოთხი კაცი მამულის პატრონთაგანი, რომელნიც ყველასაგან სანდონი არიან და რომელთაც კარგად იციან ბუბერნიის საქმეონი მდგომარეობა. ეს ოთხი კაცი მოწვეულ იქმნებიან მარშლების და «ზემსკის უპრავის» თავ-მჯდომარის თანხმობითა და ფინანსთა მინისტრის დამტკიცების შემდეგ. 3) თუ ვადაზედ ვალს არ გადიხდის მსესხებელი მემამულე სახელმწიფო ბანკი და მის ქვემდებარე განწესებულებანი გადახდევინებისათვის მიჭმართვენ საზოგადო კანონებს და ამასთან ყადაღას ქვეშ მოქცეულ მამულიდამ, რაცა გასასყიდად ჩაგარდება, ყველაზედ უწინარეს სახელმწიფო ბანკმა უნდა მიიღოს თავისი ფული, გარდა იმ შემთხვევისა, რაცა სხვის ყადაღაა უწინ დადებული და აგრეთვე თუ სახელმწიფო გადასახადია რამე მემა-

მულეზედ. 4) ფინანსთა მინისტრის ნებაზედ არის მიგდებული რომელს კანტორას და განყოფილებას სახელმწიფო ბანკისას მიანიჭოს ეგ უფლება, აგრეთვე დანიშნოს რაოდენობა სარგებლისა და ყოველ ამის თანობაზედ ცალკე ინსტრუქცია (სარისტა) მისცეს.

ბევრი ლაპარაკი არ უნდა, რომ ეს ამისთანა განკარგულება მთავრობისა დიდს შელავათს და შემწეობას მისცემს მიწათ-მფლობელთა. ბირველი სახელმწიფო ბანკისაგან გასესნილი კრედიტი ძალიან იეფი იქნება. მეორე რომ ის ძძიმე და რთული ფორმალობა, რომელიც განონმა მოახვია თავს საადგილ-მამულო ბანკსა და რომელიც ამოდენა ხარჯს, ტანტალს და წვალებას თხოულობს, როგორცა ჩანს ზემო-მოყვანილიდამ, სახელმწიფო ბანკისათვის საჭირო არ იქნება. მესამე, თუმცა-�ა თითე სესხის გადისა მეურნოების განკარგებისათვის მოგლე ხანია, მაგრამ რადგანაც მეურნოებს საზოგადოდ სახანგრძლიოდ განკარგების გარდა ყოველ-დღიურის მუშაობისათვისაც უჭირს ხოლმე ფული და საშოკარი არსად არის,—ეს ცხრა თითეითაც ფულის შოვნა იეფის სარგებლით დიდი სელის გამართვაა. ეს წესები, რომ ეგრე გამართლებულიყო, როგორც ზემო აღვწერეთ, მართლა და დიდად სასარგებლო იქნებოდა ყველა სოფლის მამულის პატრონისათვის. მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ ამ ბოლოს დროს გაზეთებმა მოიტანეს ამბავი, რომ ამ შემთხვევაშიაც «ზალაგოვის» მოწმობის წარდგენა საჭიროდ დაუნახავთ. ჩვენს ამ საგეოიოლო საქმესაც ზედ დაჭრითვია ისევ ის ძძიმე და რთული ფორმალობა, რომელიც ასე აბრკოლებს საადგილ-მამულო ბანკებიდამ ადვილად ფულისგამოტანას.

ესეა, თუ ისე მაინც და მაინც ფრიად საყურადღებო სა-

განია ეს ახალი აბზაცი. რომ შინაგანი ვითარება შევუტეოთ ამ ახალს განკარგულებას ჩვენ მცირეოდენად შევეხებით აქამდის ეროვილს საფინანსო პოლიტიკას თითქმის დღეს აქამომდე საფინანსო პოლიტიკა რუსეთისა იმაზედ იყო განსაკუთრებით მიქცეული, რომ ვაჭრობას ყოველ-გვარი ლოანისძიება მიეცეს ფეხზედ მკვიდრად დადგომისა და განვითარებისა. მიწათ-მფლობელობა, მიწათ-მოქმედება ამ მხრით სრულად უნუგეშოდ დარჩენილი იყო. შორს რომ არ წავიდეთ მაგალითისათვის საკმაოა მარტო ის მოვიხსენიოთ, რომ სახელმწიფო ბანკს ნება არა ჰქონდათ კრედიტი გაეცა ვისთვისმე, თუ არ ვაჭარ-კაცისათვის. სხვა ყოველი არა-ვაჭარი მოკლებული იყო სახელმწიფო ბანკის შემწეობას. ეს შეცდომა, რომელმაც ამ ბოლოს დროს ისე თავი იჩინა რუსეთში მით რომ სოფლის მეურნეობა დაუძლურდა, ეხლა იგრძნეს და ამიტომაც სახელმწიფო ბანკის შემწეობა გაავრცელეს მიწათ-მფლობელებზედაც, რომელთ შორისაც იგულისხმებიან მარტო სოფელში მწარმოებელნი და სოფლის მემამულენი.

გშიშობთ, ვაი თუ ეს ფრიად სახეირო განკარგულება მთავრობისა ჩვენთვის ამიერ-კავკასიელებისათვის უქმად არ დარჩეს. იქნება ფინანსთა მინისტრს არც კი მოაგონდეს აქაურობა და აქაურს განყოფილებას სახელმწიფო ბანკისას არ მიანიჭოს ზემოხსენებული უფლება. ჩვენმა გუბერნიის მარშალმა რომ ამისათვის საგანგებო კრება მოახდინოს თავად-აზნაურობისა და ამ კრების გადაწყვეტილობის ძალით ჭსთხოვოს მთავარ-მმართებელს გეიშუამდგომელოს ფინანსთა მინისტრთან, რათა აქაურს სახელმწიფო ბანკსაც მიენიჭოს ეგ უფლება, არამც თუ ძალიან კარგი იქნება, არამედ ძალიან საჭიროცა. იმედი გვაქვს თვითონ თავად-აზნაურობა თავისის უფლის მარშლების თანხმო-

ბით მოითხოვს გუბერნიის მართველისაგან, რომ ამ საქმის შესახებ საგანგებო კრება მოახდინოს.

---

8 მაისს ჩვენმა საზოგადოებამ კრთს თავ-მოსაწონებელს საქმეში კვლავ იჩინა თავი. ძველმა რედაქტორმა «დროებისამ» თავი დაანება, აკად-მყოფობის გამო, რედაქციას. საზოგადოებამ, ანუ უკეთ ვსთქვათ, იმ ნაწილმა საზოგადოებისამ, რომელსაც განუწყვეტელად გული შეჭსტეიოდა და შეჭსტეიგა ჩვენის ლიტერატურისათვის, რომელმაც ზედ-მიწევნით იცოდა რა წვალება გამოიარა ბ-მა მესხმა ამ ოთხმეტს წელიწადში, პატიცი ჭსცა ბ-ს მესხსა და საღილი გაუმართა ნიშნად მადლობისა და პატივისცემისა. ჩვენ ამისთანა ამბავი, ამისთანა პატივისცემა საზოგადო ასპარეზზედ მოდგაწეთა მიმართ ყოველთვის დიდ ნუგეშად და დიდ ამბათ მიგვაჩნია. ამისთანა ამბავი, ესეიდ გულ-წრფელი მადლიერობა კაცისა, რომელმაც თავისი ძალითი ხელ და სიმრთელე შეალია, შეაკლა საზოგადო საქმეს, ცხადად გვიმტკიცებს, რომ უმადურობა ჩვენი თვისება არ არის, რომ ჩვენც ვიცით პირუთვნელად მადლობის გადახდა საზოგადო ასპარეზზედ მუშაობისათვის. ზოგიერთთა სიტყვაში წარმოთქმულ იყო სადღეგრძელოზედ, რომ ბ-ნ მესხს თუმცა თვალსაჩინო არა დაუწერია-რა, მაგრამ... და სხვანი. ჩვენის ფიქრით აქ ეგ «თუმცა» უადგილო იყო. საკმაო კაცმა იცოდეს, რომ მთელი თოთხმეტი წელიწადი ტანჯვით, კაებით, უფულობით და ვითარ ნაირ დამაბრკოლებელ გარემოებით თითქმის კრთმა კაცმა ატარა თავის მხრებზედ ეგ მძიმე ტვირთი გაზეთისა. საკმაო კაცმა იცოდეს ეს და მაშინ ცხადი იქნება, რომ ბ-ნი მესხი დირსად იცნობ იმ პატივის-ცემისა, რაც საზოგადოებამ აკუთვნა. ნუ თუ თოთხმეტის წლის რედაქტორობა,

ფოგელ-გვარის «შავ-ბედითის» გარემოებით გარს მოხვეული, თვალ-სახინო საქმე არ არის ეველგან და ნამეტნავად ჩვენში? ბ-ნმა მესხმა გაუძლო ფოგელ ამას და რომ ჯანის სიმრთელეს არ ემტეუნა, კიდევაც არ ჩამოცლებოდა ამ მძიმესა და უმადლო საქმესა, რომელიც რედაქტორობაა ჩვენში. არ ჩამოცლებოდა იმიტომ-რომ გამოცემა გაზეთისა ჩვენში თუმცა წვალებაა და ტანჯვა, მაგრამ აუცილებელი საჭიროებაც არის ქვეყნისათვის.

ჩვენ მარტო ამასა ვწუხვართ, რომ ბ-ნი მესხი ისე არ მოქცა წინანდელ მოქმედთა გაზეთის საქმეში და შემწეთა, რომელიც მოქცა მას საზოგადოება. ბ-ნ მესხის გამოთხოვების წერილში არ იყვნენ სხვათა შორის მოხსენებულნი, ვინაც გაზეთის პირველნდელნი მოღვაწენი, ბ-ნი ნიკოლაძე, ბ-ნი ბ. წერეთელი, დ. მიქელაძე, კ. ლორთქიფანიძე, რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღვით ამ გაზეთის საქმეში. არა მცირედ ვწუხვართ იმაზედაც, რომ ბ-ნ მესხის წერილში არ იყო სრულიად მოხსენებული ბ-ნ მელიქოვის სტამბა, რომელიც ამ თოთხმეტ წელიწადს სრულიად უსასყიდლოდ ბეჭდავდა «დროებასა.» ნუ თუ ღვაწლი ზემოხსენებულთ პირთა ლირსი არ იყო ხსენებისა, რაცა შემთხვევამ მოიტანა? ნუ თუ შემწეობა ბ-ნ მელიქოვის მიერ მცირეოდენი საამსახურო საზოგადოების წინაშე, რომ ეგრე უყურადღებოდ დატოვებულ იქმნა?



განცხადება.

ამა 1883 წელს ჟურნალს «ივერიაზედ» ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ მთელის წლით.

თასი მთელის წლისა შვიდი მანეთი.

ხელის-მოწერა მიიღება «ივერიის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება გოლოვინის პროსპექტზედ (ბულვარზედ), ოსანოვის სახლებში № 9 ქ. ეგრეთვე შვეიცარიის საეგენტოში.

ქუთაისში, ჭილაძის მაღაზიაში.

ბათუმში, წერა-კითხვის საზოგადოების სკოლის მასწავლებელ მ. ნათაძესთან.

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთ წერილი ან თვული შემდეგის ადრესით უნდა გამოგზავნონ:

Въ Тифлисъ
Въ Редакцію журнала «ИВЕРІЯ»

კისაც ჟურნალი თავის დროზედ არ მიუვიდეს, ვთხოვთ, მალე აცნობოს რედაქციას.

რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე ან ი. მაჩაბელი.